N11 2016

კრებული

1852

ესეი პოეზია//პროზა//თარგმანი//არტი

ციხე 1852

ყოველთვიური ლიტერატურულ – საზოგადოებრივი ჟურნალი

2016/11

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბაღათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

ჟურნალის გარეკანზე –
გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტი
ილია ჭავჭავაძე (ესკიზი)
მოქანდაკე: **გენადი ზაქარაია**

ჟურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

სარჩევი

გრიგოლ რობაქიძე 3
საქართველოს ხერხემალი

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ. ᲔᲡᲔᲘᲡᲢᲘᲙᲐ
ნინო დარბაისელი-სტრონი 8
პაატა შამუგიას
„არგადარჩენა“ ანუ
„გოდება აღსავალთა“
12

გია ჯოხაძე
ოსიპ მანდელშტამი
და საქართველო 24
ოსიპ მანდელშტამი
აკმეიზმის დილა

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ
დალილა ბედიანიძე 28

ᲞᲠᲝᲖᲐ
გიორგი სოსიაშვილი
მოთხრობები 36

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ
თორნიკე ჭელიძე

ᲞᲠᲝᲖᲐ 52
ნიკოლას მაჩაბელი
ხახვები და ნიორები
მოთხრობა
54

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ
ბადრი სულაძე

ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ
ხორხე ლუის ბორხესი 63
უანგარო მკვლელი ბილ
ჰარიგანი
თარგმნა ***ლალი ბრეგვაძე-***
კახიანმა 69

ვლადას ბრაზიუნასი
ლექსები
თარგმნა ***მარიამ წიკლაურმა***
77

ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ
ბექა ქურხული
ვოვა
82

ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ
ᲝᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ
ბექა ქურხული 87
ვოვა
თარგმნა
რაზიათ ქუმარიტოვმა

ᲐᲠᲢᲠᲔᲕᲘᲣ
ალინა ქადაგიშვილი 92
ტრადიციული მუსიკა,
როგორც ასეთი...

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.

გრიგოლ რობაქიძე

საქართველოს ხერხემალი

ნიკოლოზ მიწიშვილის წერილის „ფიქრები საქართველოზე“ – საპასუხოთ

მწარეა ეს სიტყვები:

„როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას – იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაც შეკონწიწებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართული იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში“.

მწარეა ეს სიტყვებიც:

„იქნება საქართველო გაამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველი მხრიდან. მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს, და სადაა ეს კურთხევა? ნუ თუ ჩვენი აწიოკებული ისტორია კურთხევაა? ნუ თუ ორიათასი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალამ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოარკვევდა საქართველოს, როგორც მოწოდებას, საკუთარის აზრით და დანიშნულებით? ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოდ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს“, რომელიც წინ მიუძღვის ყოველ ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ?!“

თავისმკვლელობაა დასკვნა:

„საქართველო პასსიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ). საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედებით გენიასაც. მოკლებულია, რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს“.

ამას სწერს ნიკოლოზ მიწიშვილი.

არ არის საჭირო არც გაჯავრება და არც აღშფოთება, როცა ასეთ სიტყვებს კითხულობ. არც ის უნდა იფიქრო, რომ ავტორი ბოროტი აზრით არის „ატროვებული“. აქ უფრო „ტკივილია“ ვიდრე „აზრი“. ეს სულის კრიზისია და ასეთი კრიზისი ბევრს განუცდია.

მხოლოდ არ შემიძლია დავმალო, რომ ეს კრიზისი ბოლომდე არ არის დაწურული თუ ამოწურული. ავტორის „ტკივილში“ არის „წყენაც“ (აქა-იქ).

სულის „ტკივილს“ მაშინ აქვს ნამდვილი სიმართლე, როცა „ნაწყენობა“ არ არის არავისგან.

მაგრამ ავტორის სულისკვეთებას მე მაინც ვიღებ როგორც „ტკივილს“.

არ არის საჭირო არც კამათი. აქ მხოლოდ ჩვენებაა საჭირო. (თუ შეჩვენება არა).

შესაძლებელია ამ „ჩვენებაში“ ბევრი რამ გადავაჭარბო – როგორც ქართველმა. ამისათვის ვირჩევ სხვა გზას: ვეცდები ისე ვილაპარაკო, თითქო უცხოელი ვიყო, მაშინ ჩემს სიტყვას სიმართლე ექნება.

წინ ისევ წყეული კითხვა მეჭრება: აქვს თუ არა გენია საქართველოს?

ძველად ასეთი საკითხის გადაჭრა უფრო ძნელი იყო. დღეს კი ცხადია ყველასათვის, რომ ქვეყანაზე არ ყოფილა არა თუ ხალხი, უბრალოდ თემიც კი, რომელსაც თავის გენია არ ჰქონოდეს – (დიდი თუ პატარა, ეს მეორე საკითხია) პრეისტორიულ ხალხების დანატოვარში ჩვენ ხშირად გვხვდება თევზის თუ მამონტის ძვალი, რომელზედაც ამოჭრილია შველი, თუ ნიამორი, თუ უბრალო დანა ისეთი არტისტიზმით, რომელსაც სასახელოდ ჩაითვლიდა ჩვენი დროის დიდი ხელოვანი, თვითონ რომ გაეკეთებია იგი. დღეს „ველურებსაც“ ეწაფებიან: ქვისაგან თუ ხისაგან გამოჭრილ აფრიკის კერპებს გაოცებაში მოჰყავთ ამდროული ხელოვანნი.

კიდევ უფრო ყურადსაღები მოვლენაა. ზანგებს მრავალი თეთრკანიანი, ადამიანადაც არ თვლის.

მაგრამ ზანგების რიტმებმა დაიპყრეს დღევანდელი ევროპა. ეს რიტმები შეიჭრნენ სიმფონიურ ფანტაზიაშიაც. მოდიან რიტმები, როგორც მზის თვალები გაჩენის პირველ დღეებში, ალბად აქ არის პუშკინის საიდუმლო – (პუშკინიც ხომ ზანგი იყო სისხლით). მოვა დრო (არც ისე შორსაა), როცა რომელიმე ავტორი პუშკინის ჯადოსნობას ზანგების ატეხილ რიტმებიდან გამოიყვანს (ეს სხვათა შორის).

და თუ პრეისტორიულ ხალხებს და თანადროულ „ველურებს“ ვანიჭებთ გენიას, დავიჯერო, რომ საქართველოს ასცდა ასეთი მადლი?

მაგრამ ეგ არაფერი.

საქართველოს გენია სხვა მასშტაბითაცაა გამართული.

მიწიშვილი საქართველოში „ღვთის ხელს ვერ ნახულობს“. „ღვთის ხელი“ აქ მეტაფორიული თქმაა და მეც ამ სახით ვიხმარ მას. მართლაც არ არის „ღვთის ხელი“ საქართველოში?

რა არის მაშინ „ქართლის ცხოვრება“.

მე ვლაპარაკობ სერიოზულად და ჩემი თქმა არ არის „ფრაზა“.

მთელს ქვეყანაზე ძვირად მოიპოვება სადარი „ქართლის ცხოვრების“. ეს არის არა მარტო „ისტორია“, არამედ ნამდვილი „ეპოსი“ – (დიდი ეპოსი დიდი ხალხის). და იშვიათია ისეთი პოემა (არა მარტო ჩვენში), რომელსაც შეეძლოს დაუპირისპირდეს ამ მხრით „ქართლის ცხოვრებას“. აქ ყოველი სიტყვა თითქო მითოლოგიური ტაციციტის მიერ არის დაწერილი. და თავი და თავი: სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილია უთქმელი, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც ისუნთქავ მხოლოდ. აქ არის „სურნელი“ გადასულ ხანების – (ნამდვილი ნიშანი გენიის) როგორც ბერძნების „ილიადაში“ და როგორც ბაბილონელების „გილგამეშში“! გეკითხებით მე თქვენ: ნუ თუ „ქართლის ცხოვრების“ ანნალები გენიის ცეცხლის ნატეხები არ არიან?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

„ქართლის ცხოვრება“ დიდია როგორც „ეპოსი“, მაგრამ უფრო საოცარია იგი როგორც „ისტორია“.

და მართლაც „ისტორია“ არ არის უბრალო გროვა ამბების. კაცი ცხოვრობს, ჭამს, სვამს, ცოლს ირთავს, სადილს მიირთმევს, ეს აინტერესებს, იმას ყურადღებას აქცევს, შემდეგ კვდება, ჰქრება – ეს კიდევ არ არის „ისტორია“.

„ისტორია“ არის „მთელის“ გზნება, თითქო ყოველი შენი კუნთი ნაწილია ამ მთელის, რომლის ცენტრი შენს გარეშეა – (ერთი მწერლის ფრაზა რომ ვიხმარო სხვა საგანზე თქმული). „ისტორია“ პირადი განცდაა. ამბავი, მომხდარი ათას წელს უკან – თითქო შენი საკუთარი ამბავია, და შენი საკუთარი ამბავი, მომხდარი ეხლა – თითქო შორეული ამბავია შენი ხალხის. პლატონის გენიალური თქმა რომ ვიხმაროთ, „ისტორია“ არის „მოგონება“ (ანამნეზის), მართალს იტყვის ამდროული გერმანელი ავტორი. „წარსული მისი (ადამიანის) ხალხის მისი პიროვნული ხსოვნაა, ხოლო მომავალი მისი ხალხის – პიროვნული საქმეა“ (მარტინ ბუბერ). დიახ: „ისტორია“ ქმედითი ხსოვნაა.

დააკვირდით ახლა „ქართლის ცხოვრებას“ – არის თუ არა მასში ასე გაგებული „ისტორია“. უთუოდ და აუცილებლად.

ასეთი გზნება „ისტორიისა“ აქვთ ჰებრაელებს (უფრო, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხს). ასეთი გზნება „ისტორიისა“ აქვთ ქართველებს. და ეს გზნება გაღველფილია „ქართლის ცხოვრებაში“. ამ გზნებით არის იგი ამწვარი მთელი თავისი ტვინით. და ის სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილი „სურნელი“, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც იყნოსავ მხოლოდ, არის სწორედ ეს ისტორიული გზნება: „ისტორია“, როგორც ქმედითი ხსოვნა, „ისტორია“, როგორც გზნება „მთელის“ რომლის ცენტრი შენს გარეშეა.

ასეთია „ქართლის ცხოვრება“.

ეგებ „გამოხედვაც“ გინდათ დაინახოთ „ქართლის ცხოვრებიდან“.

აი თუ გინდ ერთიც.

ევროპაში თავი მოსწონთ მარკ ავრელით, რომელიც ომშიაც „ჭვრეტდა“ სამყაროს. ჩვენში დავით აღმაშენებელი ომის დროს „სამოციქულოს“ კითხულობდა – (ეს ზნე კინაღამ საბედისწერო გახდა მისთვის).

გეკითხებით: რით ჩამოუვარდება დავით აღმაშენებელი მარკ ავრელიის?

ან კიდევ სხვა. ევროპაში ლეგენდათაა გადაქცეული „კალეს მოქალაქეთა“ რაინდობა. როდენმა ქვაც კი აამეტყველა მათი რაინდობით. ჩვენში – ასეთი მონუმენტალი სურათი: მონღოლთა ნოინნი სჯიან ქართველ შეთმულებს. მათთან მიდის მაღალი და ნათელი კაცი: დადიანი ცოტნე. იგიც შეთქმულთაგანია, მაგრამ არ დაუჭერიათ (სხვაგან იყო). ცოტნე ამცნევს ნოინებს, რომ მისი ნდომაა – შეთქმულთა ბედი გაიზიაროს, რადგან იგიც შეთქმულია.

მონღოლებს უკვირთ ასეთი სიმართლე ქართველების – და შეთქმულებს ანთავისუფლებენ. რით არის ეს ამბავი ნაკლები „კალეს მოქალაქეთა“ ამბავთან შედარებით? არაფრით, შესაძლებელია მეტიც იყოს.

ჩვენში აქა იქ გაისმის ხმა, თითქო ქართველობაში შინაგანი სიმართლე არ იყოს, რა არის ცოტნე დადიანის ამბავი თუ არა შინაგანი სიმართლე? და რამდენია ასეთი სიმართლე „ქართლის ცხოვრების“ ანნალებში. მარტო სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი რად ღირს! და რამდენი კიდევ სხვა. მაგრამ აქ უნდა შევჩერდე, რადგან მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

ნიკოლოზ მიწიშვილი წერს:

„ორიათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისგანაა – უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არა და – ან რუსთაველი არ არის ქართველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა“.

კიდევ კარგი, რომ ავტორს „ვეფხისტყაოსანი“ გენიალ ქმნილებად მიაჩნია. მხოლოდ – როგორც ჩვენი ცხოვრების ნაყოფი – იგი მისთვის „გაუგებროობაა“ უკეთეს შემთხვევაში. უცუდეს შემთხვევაში? ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი ქმნილება „ნაშოვნი“ საქმეა და ისიც „ადვილი“.

აქ კი ავტორი „დისკუსიას“ მართავს

და ჩემი სიტყვა ცოტა სხვანაირი იქნება.

ნუ თუ ავტორს გონია, რომ რუსთაველით ამოიწურება ქართული გენია? (ეგებ სხვებსაც გონიათ). 1902 წ. ნიკო მარმა იერუსალიმში იპოვა ხელნაწერი „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელის“. ავტორი გიორგი მერჩული.

გამოდის: მეოცე საუკუნის თაურამდე არავინ იცოდა, თუ რა საუნჯე ჰქონიათ ქართველებს. ქმნილება ეკუთვნის მეათე საუკუნის ნახევარს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ქმნილება ქართული გენიის ხალასი ნაყოფია. ქართული სიტყვა აქ მოცემულია ისე, თითქო პირველმიწას რძე სდიოდეს კვლავ ძუძუებიდან. თქმა მოკლე: ნაკვეთი.

სიტყვა – თითქო შედედებული სუბსტანცია, რომელიც წარმოთქმის შემდეგ იშლება, როგორც მდინარის სარკეული ზედაპირი, როცა ფრთებგაშლილი გავაზი დაეცემა მას. არავითარი ხორცმეტი, არავითარი მეჭეჭი. სიტყვა ისეთი, რომელსაც აქვს ქალწულური დარცხვენა და ამავე დროს მორკინალის შემართება: სწორედ ისეთი, რომლითაც ძველად წირვადს ჰქმნიდნენ. არც გასაკვირია: გიორგი მერჩულეს ჰყავდა წინამორბედი – იაკობ ხუცესი (მეხუთე საუკუნე), რომელმაც გასაოცარი აღწერა დაგვიტოვა „წმინდა შუშანიკის“ ცხოვრებისა. გიორგი მერჩულმა, ცხადია, ქართული „საგალოობლებიც“ იცოდა, საცა ქართველი ავტორები ფსალმუნობაში დავით წინასწარმეტყველს ედავებიან.

მაგრამ ამით არ ამოიწურება მერჩულის ქმნილება. აქ არ არის მოცემული ჩვეული აღწერა ჩვეული წმინდანის, საცა სიცოცხლე მლაშეა და წუთხე. აქ მთელი მსოფლგზნებაა – სრულიად თავისებური.

გრიგოლ ხანძთელი – (მერჩულის აღწერით) – ისე დადის დედამიწაზე, თითქოს უკანასკნელი სიმინდის ჯავარი იყოს, რომელიც დატაროებას ელის. მიწა მისთვის არ არის „ბერწი“. პირიქით: მისი ყოველი ნაყოფი „წყაროს თვალია“, რომელსაც მოაქვს ბუნების მადლი.

ამის შემდეგ რასაკვირველია, რუსთაველი აღარ არის „გაუგებრობა“.

მაგრამ რუსთაველამდე კიდევ იყვნენ სხვებიც, რომელთაც ქართულ სიტყვაში გენია გააღვიძეს. ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე. თვითეულს მათგანს ცალკე მონოგრაფი სჭირდება. თუ გერმანელები ლუტერს „ბიბლიის“ გერმანულად თარგმნისათვის გენიალობას ანიჭებენ, რა დააშავეს ჩამოთვლილმა მამებმა, რომლებმაც იგივე „ბიბლია“ ქართულად სთარგმნეს. და მერე როგორ ლუტერის თარგმანი თუ არის ენის-ქმნა, მთაწმინდელების თარგმანიც ენის-ქმნაა ნამდვილი.

თუ რომელი უფრო მძაფრი ქმნაა, ეს კიდევ სადაოა.

ასეთია მაგისტრალი, რომლის ბოლოს რუსთაველი მოსჩანს, როგორც დამთავრება და როგორც ასეთი – ხანდახან როგორც გადახრაც (ოდნავი დეკადენსი). ამის შემდეგ რა აზრი აქვს ასეთს დილემას: „ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა“?

რუსთაველი ქართველია და მის პოემას უდიდესი სიტყვის კულტურა უძღვის წინ. რასაკვირველია, „ადვილად შოვნაზე“ ლაპარაკი ამ კულტურის არცოდნაა. (მაინც წამცდა პოლემიკური სიტყვა).

კიდევ სხვა მაგალითი.

მთელი ლათინური ევროპა ამაყობს ფრანსის ასიზელით. ფრანსის ასიზელს დარჩა ოცი სტრიქონი. ამ სტრიქონებიდან იტალიელებს გამოჰყავთ მთელი იტალიური პოეზია. განსაკუთრებით უყვარს ეს სტრიქონები დ’ანუნციოს.

რასაკვირველია, მარტო ამ ოცი სტრიქონისთვის არ არის ფრანსის ასიზელი საოცარი. იგი ბავშვია და თან ბრძენი. იგი „ჩიტის გულშია“ გადასული და ცოცხლობს ჩიტის გულით. იგი ბუნების ძალთა მხილველია და მათი დამურვებელი (ხოლო – არა ძალადობით).

საკმარისია აქ წერტილი დავსვა, რომ

ქართველმა იმავ წამს მინდია გაიხსენოს. და მართლაც: მინდია იგივ ფრანსის ასიზელია, მხოლოდ საქართველოს მთებში აღმოცენებული, როგორც იშვიათი ყვავილი ალპების. განა მინდიას მითოსი გენია არ არის თვითონ? განა აქ არა სჩანს „ღვთის ხელი“?

კიდევ ერთი მაგალითი.

კათოლიკური ევროპა თავის თავს აღმოსავლურ ქრისტიანობას უპირისპირებს.

აღმოსავლურ ქრისტიანობაში მარტო განდგომაა და ლოცვა. თითქო აქ „მიწა“ არც არის. დასავლურ ქრისტიანობამ აღადგინა „მიწა“. იქ „ღვთის საქმე“ თითქო „მიწიერ“ სხეულს იღებს. აქედან – გოტიკა, მადონნა, მარადი ქალწულობის კულტი, გადასული „მარად ქალურობის“ გზნებაში.

ცხადია, დღეს ეს ბევრისათვის „გადასული ამბავია“. მაგრამ ყოველი ნაშთი კულტურისა „გადასული ამბავია“ – და მე მხოლოდ კულტურის მხრით მაინტერესებს ეს „ამბავიც“.

საქართველომ შეჰქმნა „ჯვარი ვაზის“. ჯვარი – არც ხისაგან, არც ქვისაგან, არც რკინისაგან. რატომ მაინცა და მაინც ვაზის ნასხლევისაგან? ალბად იმისათვის, რომ ვაზი სახეა „მიწის“ ნოყიერების და ნაყოფიერების.

ეს კიდევ არაფერი.

ჯვარი ვაზის შეკრულია ქალის თმებით – (ლეგენდარულ გადმოცემით: ღვთისმშობლის, თუ თვითონ ნინოსი) აქ „მარადი ქალწულობა“, თუ „მარადი ქალურობა“ უკვე უკანასკნელი სიმძაფრით არის მოცემული. კათოლიკურ ევროპას ასეთი რამ არ გააჩნია. ეს არ არის გადამეტება.

ასეთია საქართველო და მისი გენია.

საუკუნედან საუკუნეში მეორდება „ოქროს ვერძის“ ამბავი და მედეას ლეგენდა და არგონავტები ჯერ კიდევ არ სცხრებიან.

ამისათვისაა, რომ უცხოელს იზიდავს საქართველო. არქანჯელო ლიმბერტი, პიეტრო დელლა-ვალე, შარდენ – მოდიან საქართველოსკენ, როგორც მზის ბადეში გაკვალთულ დედოფლისაკენ. დიუმას ფრანგული სიტყვები აღარ ჰყოფნის საქართველოს ქებისათვის.

მაგალითები სხვაც ბევრია.

ხოლო ერთი სამუდამოდ ღერბად სჭირს ამ მხილებას.

პიეტრო დელლა-ვალეს ეუბნებიან, რომ ისფაჰანში ულამაზესი ქალია ქართველი („მაანი“, ალბათ „მანანა“). გაეშურება ამ ქალაქისაკენ.

გაიცნობს ამ ქალს. შეუყვარდება. შეირთავს. რაინდი შახ-აბასს უახლოვდება. ჰსურს – ისპაჰანისგან შეჰქმნას ახალი რომი აღმოსავლეთში. შემდეგ, უეცრად სამშობლოს ნაღველი აუტყდება. გაეშურება – ცოლით.

თან მიჰყავს ქართველი გოგონა „მარუკია“. გზაზე ცოლს საშინელი შხამი შეეყრება. ცოლი არ იმჩნევს ავადობას, ისე მძლე აქვს რასსის გრძნობა. „მაანი“ კვდება. რაინდი ხელდება. მიაქვს ცხედარი რომში და იქ ასაფლავებს. შეირთავს „მარუკიას“, რომელიც ამიერიდან იწოდების „თინათინ ზება“.

ამ ამბავს მოგვითხრობს – (იცით ვინ?) – თვითონ გოეტჰე, ერთი შვიდთაგანი, თუ ცხრათაგანი შობილთა შორის.

მოგვითხრობს, როგორ? სიტყვასა და სიტყვას შუა სტოვებს სურნელს ქართველი ქალით აღტაცებისას.

და როცა თვითონ მისი ბაგედან გადმოვარდება ქართული ნათელი სახელი „თინათინ“ – მაშინ ვინ არ იგრძნობს საქართველოს მადლს?

„ქართული მწერლობა“, 1927, N1.

ნინო დარბაისელი-სტრონი

პაატა შამუგიას „არგადარჩენა“ ანუ „გოდება აღსავალთა“

უფალმაც რომ დაიცვას ქალაქი,
ამაოდ ფხიზლობს გუშაგი –
ვერავინ გადარჩება.

სახლებს ცეცხლი წაეკიდება,
გზები მოირყევა,
ჩვილები აკვნებიდან წამოდგებიან
და თავებს დემონსტრაციულად დაიხოცავენ,
რადგან
ვერავინ გადარჩება.

შორ გზაზე შემდგარს ფეხები დაულღვება
და საკუთარ კიდურებში წელამდე ჩაფლულს
ვერავინ იხსნის,
ლოგინებში გველები აყვავდებიან,
კედლები ორკაპა ენებს გამოიბამენ
და იტყვიან ყველაფერს,
რისი გამოთქმაც აქამდე უხერხული იყო.
ამაოდ ფხიზლობს გუშაგი,
ამაოდ ფხიზლობს დედა –
ვერავინ გადარჩება.

მკითხავები ხელისგულზე ვეღარ წაიკითხავენ,
მკითხველები ლექსებს ვეღარ წაიკითხავენ,
მლოცველები ლოცვებს ვეღარ წაიკითხავენ,
პოლიტიკოსები ხმას ვერ აიმაღლებენ,
ბგერების ნაცვლად სისხლიან გლანდებს ამოანთხევენ –
ვერავინ გადარჩება.

ჭადრები ბეტონის ფოთლებს დაისხამენ,
მგზავრები ჩრდილებს დაკარგავენ,
სიტყვები ქვებივით დამძიმდებიან,
ქვებით პირები ამოგვევსება
და ჩვენ ნაცვლად ჩვენი ჩრდილები იჩურჩულებენ –
ვერავინ გადარჩება.

ძიძები ჩვილებს მიატოვებენ,
ავტომატებს გაიდებენ მხრებზე ჯვრებივით
და ყველა შემხვედრს ტყვიებით აკურთხებენ
მკვდრებს კი საკონტროლო კურთხევას დაახლიან –
ვერავინ,
ვერავინ,
ვერავინ გადარჩება
და ვინც გადარჩება,
ვერც ის გადარჩება,
ვერ გადაურჩება
მიზეზების და კავშირების
უმკაცრეს გადაკვეთას,
ბედნიერების და შემთხვევითობის
ავარიულ ჯახს –
ვერავინ გადარჩება.

სულ ტყუილად ეგონათ,
მიზეზებს მოიდებდნენ,
ალიბებს დადებდნენ
და გეგმებს დადებდნენ,
ამაოდ ფხიზლობს გუშაგი,
ამაოდ ფხიზლობს ქალაქი,
ამაოდ ფხიზლობს მშობელი,
ამაოა ეს ფაციფუცი –
ვერავინ,
ვერავინ გადარჩება.

და შუა თამაშში შენთვის დამიზნებული ხის თოფი უეცრად მართლა გავარდეს და დაგჭრას კიდეც, ასე დამემართა.

ახლა გულგაგრილებულზე წავიკითხავ ამ ლექსს, იქნებ გავარკვიო, რამ იმოქმედა ჩემზე ასე.

ესეც ასე! პირველმა ძრწოლამ გადამიარა. როგორც ავი სიზმრის მნახავი ახალგაღვიძებულზე გამდინარე წყალს უყვება ნანახს, რომ გაატანოს და თან შეშვერილ თითებს ათამაშებს, ახლა მეც კიბორდზე ვათამაშებ თითებს.

პაატა შამუგიას „არგადარჩენაზე“ ვფიქრობ... „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა... ჯერ არ ვიცი, როგორ მიიღო ქართველმა მკითხველმა, მე კი დღემდე ამ ავტორმა, როგორც მკითხველი ისე გამანებივრა თავისი პოეტური თამაშებით, კლასიკის ირონიული გადაკითხვებით, პაროდირებებით და ა. შ., ახლაც ასაყოლად გავემზადე და...

ომობანას სათამაშოდ რომ დაგიძხონ

ფორმით თავისუფალი ლექსია; რიტმულ-ინტონაციური, სინტაქსური, ლექსიკური და კიდევ, რა ვიცი, ყველანაირი პარალელიზმით იმდენად გაჯერებული, რომ ვერლიბრის გენეზისის მკვლევარს მისი ბიბლიური წარმოშობის თეორიისთვის საუკეთესო პარადიგმად გამოადგებოდა.

შინაარსობრივადაც, ბიბლიურ წყაროებთან, უფრო ძველ აღთქმასთან უახლოესი კავშირი, დიდ და მცირე წინასწარმეტყველთა ხილვებთან ზიარება ადვილი საცნობია.

ქალაქის დაღუპვის, როგორც ღვთისმიერი სასჯელის მოტივიც არაერთხელ მეორდება წმინდა წიგნში, ადრე იქნებ ამის საილუსტრაციოდ მაგალითებიც მომეყვანა, მაგრამ ახლა ისედაც ყველამ ყველაფერი იცის.

ლექსის ენობრივი პლანი ძირითადად გათანამედროვებული ბიბლიისა და სლენგით მსუბუქად შეფერილი სალიტერატურო ლექსიკის სინთეზს ეყრდნობა. ნარატიული მონახაზის მოხელთება მიადვილებს ხოლმე პოეტურ ტექსტში ჩაღწევას. ახლაც ვცდი რეპროდუცირებას.

წარსული:

არსებობდა რაღაც ქალაქი-ტექსტი, რომელშიც ყოფა და ყოფიერება „იკითხებოდა“ მრავალმხრივ და მრავალნაირად. ჩვენ ამას აწმყოში ნეგაციის გზით ვგებულობთ:

მკითხავები ხელისგულზე ველარ
წაკითხავენ,
მკითხველები ლექსებს ველარ
წაიკითხავენ,
მლოცველები ლოცვებს ველარ
წაიკითხავენ.

აწმყოში რაღაც ისეთი ხდება ამ ქალაქში, რომ პოეტ-წინასწარმეტყველს მომავლის შემაძრწუნებელ ხილვას აღუძრავს. კონკრეტულად რა, ლექსში მინიშნებულიც არ არის.

მინიშნებული არ ჩანს არც რაიმე ნუგეში, ნათლის სხივი, ყველაფერი უნდა დაიღუპოს!

უნდა დაიღუპოს, მაგრამ, ვინ არის ის ძალა, რომლის ნებითაც უნდა აღსრულდეს ეს სასტიკი განაჩენი?

რაკი ბიბლიის ველში ვიმყოფებით, უნდა გვევარაუდა, რომ ქალაქის დაღუპვა მისი ცოდვების გამო, უფლის განაჩენია, მაგრამ ლექსის პირველივე სტრიქონი აუქმებს ამ ვარაუდს:

უფალმაც რომ დაიცვას ქალაქი,
....
ვერავინ გადარჩება.

სათაურად გამოყენებული სიტყვა „არგადარჩენა“ ქართულ ზეპირმეტყველებაში წყევლითი მიგებაცაა. თუ ქალაქის არგადარჩენით მაწყევრის ნება უნდა აღსრულდეს, ვინაა ეს მაწყევარი?

ტექსტი ამაზე პასუხს არ იძლევა.

მაშ, სად არის გასაღები?

იქნებ სხვა რამითაა გაპირობებული ამ ქალაქის დაღუპვა?

ვერავინ გადაურჩება
მიზეზების და კავშირების
უმკაცრეს გადაკვეთას,
ბედნიერების და შემთხვევითობის
ავარიულ ჯახს. – ნათქვამია ლექსში.

აქ გამონათქვამი „მიზეზების და კავშირების უმკაცრესი გადაკვეთა“ წმინდა ლოგიკის თვალსაზრისით, მცდარია, მაგრამ პოეზიას ხომ თავისი ლოგიკა აქვს.

არსებობს მიზეზთა და შედეგთა კავშირი, ანუ სხვაფრივ, საგანთა და მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. პოეტი ახდენს ამ კონცეფციის დეკონსტრუირებას, რაღაც ნაწილს გვერდზე გადადებს და დარჩენილი ნაწილების ახალი კომბინაციით საკუთარ კონსტრუქციას კრავს. პოეტური ქმნადობის ამ მეთოდს პაატა შამუგია ბევრგან იყენებს დაწყებული „ანტი-ტყაოსანიდან“. უფრო მარტივად რომ ვთქვა, წარმოიდგინეთ სათამაშო კონსტრუქტორი, რომელსაც მოჰყვება ინსტრუქცია. თქვენ კი ინსტრუქციის მიხედვით უკვე აწყობილ მოდელს შლით და მისი რაიმე ნაწილების გამოყენებით რაღაც ახალს, მანამდე გა-

უთვალისწინებელს ქმნით, მაგალითად, **„ბედნიერებისა და შემთხვევითობის ავარიულ ჯახს“** (პაროდია „აუცილებლობისა და შემთხვევითობის“ კანონისა თუ კონცეფციისა).

ეს იქნებ თავისთავად საინტერესოცაა და საკვლევიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ტექსტის გასაღებად ვერც ეს გამომადგება.

●

„ჩრდილის“ კონცეპტი ლექსში ორჯერაა წარმოდგენილი. დასაწყისში ნათქვამია, რომ მგზავრები ჩრდილებს დაკარგავენ, ცოტა ქვემოთ კი, როცა სიტყვები ქვებად იქცევიან და მეტყველების უნარს წაართმევენ ქალაქის მკვიდრთ, მათ ნაცვლად მათი ჩრდილები იჩურჩულებენ.

ჩრდილის დაკარგვის ცნობილი ლიტერატურული მოტივის მაგალითების მოხმობით თავს არ შეგაწყენთ, არა მგონია, რაიმეს მომტანი იყოს. მთელი ეს ლექსი ბიბლიური კონოტაციების ველია, ამიტომ „ჩრდილის“ კონცეპტიც უფრო ამ ველშია საძიებელი. კერძოდ, თუ გავიხსენებთ თეოსოფიიდან, რომ მაცხოვარი მარადიული ნათელია, რომელიც მიწიერებას ეფინება, ამ ნათელსა და მიწას შორის არის ადამიანი. მისი ჩრდილი, რომელიც მიწას ეცემა, მარადიულ ნათელსა და მიწას შორის დგომის შედეგია.

აქ მაცხოვრის ხსენება მიბიძგებს, ლექსის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, ჩვილები თავებს დემონსტრაციულად დაიხოცავენო, დავაკავშირო ჰეროდე მეფის მიერ ჩვილების დახოცვის ამბავთან. შურისმაძიებელი ძიძები, რომელთაც მხრებზე ავტომატები ჯვრებივით გაუდიათ (მინიშნება გოლგოთაზე) დახოცავენ ყველას, რადგან, ალბათ, ყველას დამნაშავედ მიიჩნევენ იმაში, რაც გარდაუვლად მოხდება.

არ-გადარჩენა – ეს არის გადარჩენა, რომელიც არ შედგა. გადამრჩენი-მხსნელი, რომელიც კაცობრიობას მოევლინა, ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, არის მაცხოვარი.

თუ ფიქრთა ამ მდინარებას მივყვებით, მივალთ შთაბეჭდილებამდე, რომ ქალაქის დაღუპვის მიზეზი არის არ-შემდგარი შობა. ქრისტე „არ დაიბადა ამ ქალაქისთვის“, გადამრჩენის მოვლინება არ მოხდა. ამ ქალაქს ახალი აღთქმა არ შეხებია...

„ამაოდ ფხიზლობს დედა“, – აქ ღვთისმშობელი უნდა იგულისხმებოდეს. მისი სიფხიზლე ვერ უშველის ქალაქს, რადგან მისი ძე მასში არ შეუშვიათ.

საბოლოოდ გამოდის, რომ, რაც ამ გარდაუვლად დასაღუპავი ქალაქიდან რჩება, მოჩურჩულე ჩრდილებია.

აღარ იქნება ქალაქი და, ვინ იცის, ვინ გაიგონებს, რა სათქმელი შეატოვა მათ ლექსის ავტორმა!

„არგადარჩენა“ შეხმიანებაა დიდი ბიბლიური წინაპრის სიტყვებთან:

თუ უფალი არ ააშენებს სახლს, ამაოდ გაირჯებიან მისი მშენებლები;
თუ უფალი არ დაიცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობს გუშაგი.

(ფსალმუნნი, გალობა აღსავალთა. 126 (127:1)

ფსალმუნისეული „გალობა აღსავალთა“ თანამედროვე პოეტის არსებაში სასოწარმკვეთ რეალობასა და მომავალს, უფრო სწორად **უ-მომავლობას** დასჯახებია და გაისმის, როგორც **„გოდება აღსავალთა“** და მე მჯერა, პაატა შამუგიას ეს შემზარავი პოეტური ხილვა-წინასწარმეტყველება ერის მთვლემარე ნერვს მწარედ შეარხევს და გამოაფხიზლებს.

ერის გადარჩენა კი მის მიწყივ სიფხიზლეშია.

გია ჯოხაძე

ქართული მითი
ოსიპ მანდელშტამი და საქართველო

მანდელშტამი იშვიათად ყოფილა ბედნიერი...

ან კი პოეტი როდისაა ბედნიერი?

ნუთუ მაშინ, როცა გულით ,,უხორცო აზრები" დააქვს და მათ შობას ელტვის მოსალოგინებელი დედაკაცივით? ან იქნებ მაშინ, როცა უკვე არტიკულირებულ პოეტურ სათქმელს მორიგ ხელმოცარვად მიიჩნევს?

იქნებ ბედნიერად მაშინ რაცხს თავს, როცა ხელისუფლების ჯილდო ზნეობრივი კომპრომისის საზღაური ჰგონია და თავსაც იწყევლის და ჯილდოსაც შეაჩვენებს?

ვაჟა-ფშაველა ამბობს ერთგან: მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებულიო; მანდელშტამი ერთხელ ცოლსაც ჩაჰკითხვია: „ვინ გითხრა, რომ ბედნიერი უნდა იყო?"

კითხვის ნიშნების რაოდენობა ულიმიტოა; ყოველ შემთხვევაში, ისინი იმდენივე მაინცაა, რამდენიც სხვა სასვენი ნიშანი და თუ თვითონ არ მოინდომე, მათ მარად მედინ მადანს ვერაფრით ამოწურავ...

თუ პეპლისთვის სიცოცხლე ბედნიერებაა, მაშინ პოეტის ბედნიერებაც მისას მგვანებია: ბედნიერი მხოლოდ მაშინ არის, როცა დაფრინავს ანუ როცა ლექსებს წარმოთქვამს!

პოეტის ბედნიერების შესაფასებლად ადამიანური საწყაო არ გამოდგება: ხანდახან მგონია, რომ, როცა პოეტი ლექსებს არ წერს, უბრალოდ, ,,ცხოვრებით ტკბება", ანუ გამოცდილებას აგროვებს, სწორედ მაშინ უნდა იყოს ბედნიერი – მომავალი ლექსების იმედით. რა გასაკვირია, პოეტი პოეტს ჰგავდეს? მაგრამ ის, ვისაც ახლა მინდა შევადარო, ორჰან ფამუქის რომანის პერსონაჟი პოეტია, რომელსაც ყოფიერების აუტანლად ტკბილი სიმსუბუქე (,,ისეთი ტკბილი, ისეთი

ტკბილი, რომ მწარე...“) ლექსების წერას ,,გადააჩვევს“ – ლექსთან მხოლოდ თოვლი, სიღარიბე, ტანჯვა ანუ სიყვარული დააბრუნებს.

რა მოხდება, რომ ავიჩემო, მანდელშტამი საქართველოში ყოფნისას ან საქართველოზე ფიქრისას ბედნიერი იყო-მეთქი?

...ლექსებს აღარ წერდა, ახლადშერთული ცოლი გვერდს უმშვენებდა, ომსა და გაჭირვებას გამოქცეოდა, გარს გულღია და გულუხვი ადამიანები შემორტყმოდნენ, სტუმრობდა და მასპინძლობდნენ, ბუნებას ეტრფოდა და ისიც, რომელიღაც აპოკრიფივით აკრძალული, უცხო და უცნობი, ხანდახან მისთვის საგანგებოდ განიხვნებოდა... იქნებ ესაა ბედნიერება, რომლის ბალღობისდროინდელ მოგონებასავით წვდომამ და განცდამ, ვინ იცის, ლექსიც კი დაგაწერინოს?

საქართველო ჯერ კიდევ 1916 წელს ჩნდება მანდელშტამის შემოქმედებაში – ასეა დათარიღებული ლექსი ,,Я потеряла нежную камею…”, რომელიც პირველად დაიბეჭდა ხარკოვულ ჟურნალში ,,კამენა“ (1918, №1, с.9), შემდეგ კი გაერთიანდა კრებულებში: ,,თრისტია” (1922) და ,,ქვა“ (1923):

ნაზი კამეა დავკარგეო, გენთვოდათ ალი
და თან ამბობდით: სადღაც აქვე, ნაპირზე ნევის;
მენანებაო რომაელი – გემაზე – ქალი, –
ცრემლს იკავებდით. ხმა ისმოდა ტალღების რხევის.

ქართლის ასულო, განიქარვე ეგ ურუანტელი,
ღვთიურ აკლდამათ ნაშთი ჟამმა გადაფარაო...
უფაფუკესი ჩამოვარდა კენტი ფანტელი
და ჩამოადნა წამწამებად გაშლილ მარაოს.

თვინიერ კისერს ხრით და წყალიც
იძვრის რკალებად.
აღარც კამეა, არც – ქალწული,
ლათინთა ტომის...
მე შავგვრემანი თინათინი
შემებრალება –
ნევის ნაპირზე – დარდიანი
ქალწული–რომი.

ვინ იყო ეს ,,ქალწულებრივი რომი ნევის სანაპიროზე“, რომელსაც თინათინი რქმევია?

ნ. ხარჯიევი (1903–1996) – ლიტერატორი და კოლექციონერი, აკადემიკოს ვ. ჟირმუნსკის (1891–1971) გამოკვლევაზე დაყრდნობით, გვამცნობს, რომ იგულისხმება თინათინ ჯორჯაძე, რუსული არმიის ოფიცრის, დავით ჯორჯაძის შთამომავალი, რომელიც სერგეი ტანეევის – ნიკოლოზ მეორისა და მისი მეუღლის უახლოესი მეგობრის, ფრეილინა და შემდგომ – მონაზონ ანა ვირუბოვას ძმის – სამეფო კარის ცერემონმაისტერის, შემდგომ – ემიგრანტის – მეუღლე გახლდათ (М. Горгидзе, Грузины в Петербурге, Тбилиси, 1976, с. 366).

1916 წლის დეკემბრით თარიღდება მეორე ლექსი ,,Соломинка” (პირველად დაიბეჭდა ალმანახში ,,Тринадцать поэтов“ (1917, გვ. 25), რომელიც ეძღვნება მეორე ქართველ ქალს – სალომე ნიკოლოზის ასულ ანდრონიკაშვილ–გალპერნს, 1900–დან 1919 წლამდე მამასთან ერთად პეტერბურგში მცხოვრებს. 1916 წელს ის 28 წლის ყოფილა. გარდაიცვალა ლონდონში, 94 წლისა (Г. Шарадзе, Муза двадцатого века, Литературная Грузия, 1983, №3, с. 168_173; Л. Васильева, Саломея или соломинка, не согнутая веком, Огонек, 1988, №3, с. 22_26):

ჩალის ღეროო, როს ვრცელ ტახტზე
არ გეძინება,
და ძილგამკრთალი ელი, როდის
დადგება ჯერი,

რომ კვლავ დაიძრას, ვაგლახ,
დარდის მდორე დინება,
ფხიზელ წამწამზე მშვიდ სიმძიმედ
დაეშვას ჭერი.

ჩალის ღეროო, ხან წკრიალებ, ხან
რჩები მშრალი,
სამსალა სვი და – უფრო სათნოდ ეგ
ყელი მღერის...
თუმც გატყდი მაინც, ვერ გამოდექ
კლდესავით სალი,
არა – სალომე, სალამური ხარ
ჩალის ღერის.

მღვიძარებისას დამძიმებას იწყებს
საგანი
და შემცირებას, როს დუმილი ასე
მწველია...
აკიაფდება სარკმლად ყველა
ბალიშთაგანი,
მრგვალი მორევი რომ ირეკლავს,
სარეცელია.

ჩალის ღეროო, ფარჩით მოსილს
სხვა ვინმეს დავმზერ,
უვრცეს დარბაზში შავბნელ ნევად
გადათრთვილული
და თვე თორმეტი ისევ მოთქვამს
სიკვდილის ჟამზე,
ჰაერში მკრთალი და ცისფერი
წვეთავს ყინული.

ჭავლად ეშვება მოზეიმე დეკემბრის
სუნთქვა,
თითქოს ოთახში შემოიჭრა
ტვირთმძიმე ნევა...
სალომე – არა, ლიგეა ხარ – სიკვდი-
ლი, სულთქმა –
აჰა, ვისწავლე მეც ნეტარი
სიტყვების ფრქვევა.

–2–

აჰა, ვისწავლე მეც ნეტარი
სიტყვების ფრქვევა:
სალომე, ლენორ, ხარ ლიგეა და
სერაფიტა...

უვრცეს დარბაზში შემოჭრილა
ტვირთმძიმე ნევა,
ცისფერი სისხლი მოწანწკარებს
ბროლის დაფიდან.

ნევაზე კრთება მოზეიმე დეკემბრის
სახე
და თვე თორმეტი სიკვდილის ჟამს
გვითვლის გუნდებად...
სალომე – არა, დაფარჩული სხვა
ქალი ვნახე,
მდორე სიმშვიდეს რომ იგემებს და
დარწყულდება.

სისხლში რომ სახლობს,
დეკემბრული ლიგეას თვეა,
მის ნეტარ სატრფოს სარკოფაგთა
წიაღში სძინავს.
ის ჩალის ღერო – ვისაც, იქნებ
სალომეც ჰქვია! –
სინანულს წაჰყვა, აქ ვერასდროს
დაიდებს ბინას!

მანდელშტამს მისთვის 1916 წელს მეორე ლექსიც მიუძღვნია, სახელწოდებით ,,მადრიგალი", რომელშიც ანდრონიკაშვილთა თავადური გვარის საოჯახო ლეგენდის ანარეკლი კრთის:

თავადის ასულ ანდრონიკოვასდმი

ანდრონიკე კომნენოსის მხევალი
ბიზანტიურს მოჰგავს მძლევარს,
ზეციერს!
გეაჯები, ისევ შენ შემეწიე –
მზე დავიხსნათ, ბნელი ღამის
მძევალი.
ვიყო მხოლოდ ტკბილ ჰანგების
მევალე,
სიკვდილს ვძლიო, ისევ შენ შემეწიე!
ანდრონიკე კომნენოსის მხევალი
ბიზანტიურს მოჰგავს მძლევარს,
ზეციერს!

1919 წელს თბილისურ ჟურნალ ,,ორიონში" დაიბეჭდა მანდელშტამის ეს ლექსი:

ბოთლიდან თაფლი იღვრებოდა
ოქროსფერ ჭავლად,
თან ისე ზლაზვნით, დაიღვარა
სიტყვებად ქალი:
შევრჩით ამ მხარეს, თუმც
ტავრიდის გვინდოდა ჩავლა,
სულაც არ ვიწყენთ, – დედაკაცმა
მოგვაპყრო თვალი.

ისღა გშთენია, ყოველ დილით
ბახუსს შეება –
ყველგან – დარაჯი, ყველგან –
ძაღლი, ბინდი მფარავი ...
მძიმე კასრები მიგორავენ
გულმშვიდ დღეებად.
ფარდულში ბჭობენ – მაგრამ
პასუხს გაძლევს არავინ.

დავლიეთ ჩაი. მოვიხილეთ ვეება
ბაღი.
წამწამებივით დაშვებულან
ფარდები ბნელი.
სვეტების მიღმა ჩავიარეთ ვაზების
თაღი,
ჩამოეღვარათ მთვლემარე მთებს
ჰაერი სველი.

ყურძენს ვჭვრეტ სპათა
შერკინებად, ბრძოლის ველად და
ხუჭუჭა მტევნებს თმაკულულა
მეომრებს ვადრი...
კლდოვან ტავრიდას შემატვია
ცოდნად ელადა,
მწკრივი მწკრივს მისდევს, ქარვად
დნება ყოველი ადლი.

მატყლისფერ ოთახს აელვარებს
სითეთრის ბროლი...
სურნელი მაჭრის, ძმრის და ზეთის
სპობს ყველა კითხვას...
ბერძნული სახლი გაიხსენე – ერთ-
გული ცოლი
ელენე – არა, სხვა მისდარი, რომ
ქსოვდა დიდხანს!

ოქროს საწმისო, დამდებიხარ
სულზე ხუნდებად,
სად ხარ? მთელი გზა ზღვის
ტალღები დამშხუის თავზე...
ჰა, დამაშვრალი ოდისევსი სახლს
უბრუნდება,
ხამლგაცვეთილი, მაგრამ სივრცით
და დროით სავსე.

1920 წლის აგვისტოში, ხუთ თუ შვიდ-დღიანი ტაატის შემდეგ, ძველი გემი, რომელიც ადრე მხოლოდ აზოვის ზღვაში დაცურავდა, ბათუმში შეყოვნდა. ამას სტუმართმოყვრულ მიღებას ვერ უწოდებ: მანდელშტამი, ძმასთან, ალექსანდრესთან, ერთად ციხეში ჩასვეს, რათა შემდეგ ვრანგელის მიერ დაპყრობილ ყირიმში დაებრუნებინათ.

ამ განზრახვის ასრულებას ხელი იმან შეუშალა, რომ რსფსრ–სა და საქართველოს ხელშეკრულება დაედოთ, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ბრალდებულთა გადაადგილება იზღუდებოდა...

არსებობს ბათუმის კარანტინიდან მანდელშტამის გამოხსნის ორი ვერსია:

ნინო ტაბიძის მოგონებათა თანახმად, ახალდაქორწინებული ტიციანი და ნინო ბათუმში ისვენებდნენ. ნიკოლოზ მიწიშვილმა, რომელიც იმხანად ბათუმის გაზეთში მუშაობდა, ტიციანის პოეზიის საღამო გამართა.

ერთხელაც ტიციანს ნინოსთვის უთქვამს, რომ, როგორც აცნობეს, ბათუმის კარანტინში იმყოფებოდა ყირიმიდან ჩამოსული პოეტი ოსიპ მანდელშტამი, რომელიც რამენაირად უნდა გამოეხსნათ. ადგილი, სადაც შავი ჭირის ეპიდემიისაგან თავდასაცავად ხალხი შეეყარათ, მავთულით შემოეზღუდათ და იქ არავის უშვებდნენ. ტიციანი შეუშვეს. მალე ძალიან აღელვებული დაბრუნდა უკან. აღმოჩნდა, რომ როცა მანდელშტამზე მიუთითეს, პირველად ვერცკი დაიჯერა, რომ ქვაზე ჩამომჯდარი, წვერგაბურძგნილი, ბინძური კაცი პოეტი და ესთეტი მანდელშტამი იყო. ტიციანს გამომცდელი კითხვებიც კი დაუსვამს,

რომლებზე პასუხის გაცემაც მხოლოდ მანდელშტამს შეეძლო: მაგალითად, მისი რომელი ლექსი დაიბეჭდა ამა და ამ წელს, ამა და ამ ჟურნალში და ა.შ. მანდელშტამს უპასუხია და ხსენებული ლექსი ზეპირადაც კი წაუკითხავს... ტიციანი დარწმუნებულა, რომ ის მართლაც მანდელშტამს ესაუბრებოდა... ნინო და ტიციანი, მანდელშტამთან ერთად, თბილისში დაბრუნებულან (Дом под чинарами, Тбилиси, 1976, с. 41_42).

ამ ამბავს უფრო დაწვრილებით იხსენებს ნიკოლო მიწიშვილი: ტიციანი და ნიკოლო ბათუმში რომელიღაც ბერიკაცს შეუჩერებია, ბათუმის ებრაელთა თემის წინამძღვრად წარდგომია და უკითხავს, იცნობდნენ თუ არა პოეტ მანდელშტამს. დადებითი პასუხის შემდეგ, უთქვამს: – პოეტები მას უნდა დაეხმაროთ: მანდელშტამი დააკავეს და ,,საგანგებო რაზმშიაო". ტიციანსა და ნიკოლოს იქით გაუწევიათ. მათთვის უპასუხიათ, რომ დაკავებულთა შორის მართლაც იყო ვიღაც მანდელშტამი, მაგრამ ვერავინ დაიჯერებდა, რომ ასეთი არაპოეტური გარეგნობის კაცს იცნობდნენ. თვით მანდელშტამი ქართველი პოეტებისათვის არ უჩვენებიათ, რის გამოც ტიციანსა და ნიკოლოს ეჭვი შეჰპარვიათ და ბათუმის ოლქის გენერალ–გუბერნატორთან მისულან. მანდელშტამიც მოუყვანიათ: ,,შემოდის დაბალი, კაფანდარა, მელოტი, უკბილო, ბინძური, დაჭმუჭნილი ტანსაცმლითა და ძირგამოხეული სანდლებით შემოსილი ებრაელი – ჭეშმარიტად ბიბლიური გარეგნობისა. გუბერნატორმა შეხედა მას და ქართულად გვითხრა:

– მართლაც ვიღაც მეგონა! ეს კი საფრთხობელაა, ეშმაკმა დალახვროს. სული რომ შეუბერო, გაფრინდება. უპოვიათ რა სახიფათო ადამიანი!

შემდეგ დასვა, დიპლომატიურად გაარკვია, რომ მის წინაშე მართლაც პოეტი მანდელშტამი იყო, და თავაზიანად მოუბოდიშა მას.

ბელურასავით სკამის კიდეზე ჩამომჯდარი მანდელშტამი ალაპარაკდა:

– წითლებს ყირიმში გავექეცი. ყირიმში თეთრებმა დამაპატიმრეს, თითქოს ბოლშევიკი ვყოფილიყავი. ყირიმიდან საქართველოსკენ გამოვეშურე, აქ კი თეთრად მიმიღეს. რანაირი თეთრგვარდიელი ვარ? რა ვქნა? ახლა თვითონ არ მესმის, ვინ ვარ – თეთრი, წითელი თუ რომელიღაც სხვა ფერის. მე საერთოდ არ გამაჩნია ფერი. პოეტი ვარ, ლექსებს ვწერ და ყოველგვარ ფერზე მეტად ახლა ტიბულუსზე, კატულუსსა და რომაულ დეკადანსზე მეფიქრება..." (Н. Мицишвили, Пережитое, Тбилиси, 1963, с. 164–165).

ეს მოგონება პირველად ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნში ,,ჩრდილი და კვამლი" (1930) დაიბეჭდა. წიგნის რედაქტორი ყოფილა ზ. ჩერნიაკი, რომელსაც ავტორისათვის წერილი გაუგზავნია: ,,ამ დღეებში შემთხვევით პოეტ მანდელშტამს შევხვდი, რომელიც პირიდან ცეცხლს აფრქვევს მასთან დაკავშირებული თქვენეული მოგონების გამო. განსაკუთრებით აუღელვებია ამ ,,ფერადოვან" დახასიათებას (,,მე არც თეთრი ვარ, არც – წითელი"...) და მოითხოვა ამ პასაჟის ხელნაწერიდან ამოღება". ბუნებრივია, რედაქტორს ამის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ამას ნაკლებად დაუმშვიდებია მანდელშტამი: ,,ასე რომ, – წერდა ზ. ჩერნიაკი, – ელოდეთ მის მრისხანე გამოხმაურებას, რომლის სასიკვდილო ქმედება, შესაძლოა, მხოლოდ იმ ათასკილომეტროვანმა მანძილმა შეანელოს, რომელიც გაცილებთ ფიცხსა და აფრიკულად ტემპერამენტულ პოეტს".

ქართველთა მსგავსადვე აღწერს ილია ერენბურგი მანდელშტამის დატყვევების ამბავს, რომლისთვისაც პოეტის ქვრივს – ნადეჟდა მანდელშტამს ქმრის მიერ ნაამბობი ვერსია დაუპირისპირებია: ქართველი პოეტები მართლაც მისულან საპორტო კარანტინში, სადაც მანდელშტამი ძმასთან ერთად დაეკავებინათ. ისინი თავდებად დაუდგნენ მანდელ-

შტამს, რათა რუსი პოეტი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ, ეგ არის, მის ძმაზე აღარ უზრუნიათ. ამ პირობებით, მანდელშტამს საკუთარ გათავისუფლებაზეც უარი უთქვამს. მანდელშტამის თანახმად (იხ. მისი ,,დაბრუნება" და „მენშევიკები საქართველოში"), მას დაეხმარა ბოლშევიკებისადმი თანამგრძნობი ბადრაგი–ჯარისკაცი Чигуа (ჭიღუა?), თუმცა, არც ისაა გამორიცხული, გამგზავრების წინ ქართველ პოეტებს გაეფრთხილებინოთ ბათუმისა და ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი, რომლის ჩარევამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მანდელშტამისა და მისი ძმის ბედი.

1920 წელს მანდელშტამი ცოტა ხანს დარჩა საქართველოში, მაგრამ ბათუმისა და თბილისის სალიტერატურო ცხოვრებას კვალი მაინც დააჩნია. ბათუმური გაზეთები (Эхо Батума, Батумская жизнь) ityobinebodnen o. mandelStaმის საღამოს თაობაზე, რომელიც ბათუმის ხელოვნების მოღვაწეთა საზოგადოებაში გამართულა 16 სექტემბერს. Батумская жизнь-მა გამოაქვეყნა ილია ზდანევიჩის ანგარიში, რომლიდანაც ირკვევა, რომ შესავალი სიტყვა მასვე წარმოუთქვამს (Р. Тименчик, Заметки об акмеизме. Вступление. ღუსსიან გიტერატურე, 1974, N7/8, პ. 25).

ერთ ბერლინურ ჟურნალს 1921 წლის იანვარში მკითხველისთვის უცნობებია: მანდელშტამი 1920 წელს ცხოვრობდა ყირიმსა და კოკტებელში, თეოდოსიის მახლობლად. ამჟამად ამიერკავკასიაშია. ბათუმსა და თბილისში ი. ერენბურგთან ერთად პოეზიის საღამოები გაუმართავს, რომლებზეც თავისი ლექსები წაუკითხავსო (Русская книга, 1921, №1, с. 25). თითქმის იმხანადვე ქართულენოვან ჟურნალ ,,განთიადში" დაბეჭდილა ცნობა იმის თაობაზე, რომ პარიზში ნიკოლო მიწიშვილი ქართული გამომცემლობის დაარსებას აპირებს, რომლის მუშაობაშიც რუსი მწერლების – მანდელშტამის, ერენბურგის, გოროდეცკის – ჩართვას გეგმავს.

თბილისს ჩამოსული მანდელშტამი შეხვედრია ილია ერენბურგს და ცოტა ხნის განმავლობაში პოეტს სადედაქალაქო მხატვრული ცხოვრებით უცხოვრია. 26 სექტემბერს კონსერვატორიის დარბაზში ოსიპ მანდელშტამისა და ილია ერენბურგის საღამო გამართულა, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს გაუხსნია და ახალ რუსულ პოეზიაზე ულაპარაკია (შემდეგ ერენბურგს წაუკითხავს მოხსენება „ხელოვნება და ახალი ერა", რის შემდეგაც ორივე პოეტი საკუთარი ლექსებით წარმსდგარა მაყურებლის წინაშე).

ოდნავ წინ თუ გავიჭრებით, აღმოვაჩენთ, რომ მიხაილ პრიშვინის ერთ–ერთი მოთხრობის (Сопка Маира) თანახმად, მანდელშტამს სურსათის მისაღებ უწყისზე ხელი ქართულად მოუწერია (Литературная учеба, 1980, №1, с. 129).

მეორედ მანდელშტამი თბილისს მეუღლესთან ერთად ესტუმრა – იდგა 1921 წელი. ზაფხული და შემოდგომა წყვილს თბილისსა და ბათუმში გაუტარებია (გემით – ,,Димитрий" ნოვოროსიისკში გამგზავრებულან და ახალ წელს სოხუმში შეხვედრიან, სადაც გემმა შეისვენა).

კოლაუ ნადირაძის მოგონების თანახმად, თბილისში წყვილი თავდაპირველად დაუბინავებიათ ხელოვნების სასახლის (მწერლის სახლი) ერთ–ერთ ოთახში, შემდეგ კი იაფფასიან ბინაში გადასულან, მაშინდელი ღუნიბისა (ბარნოვის) და აგურის (ბელინსკის) ქუჩების კუთხეში რომ მდებარეობდა.

ნადეჟდა მანდელშტამი განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს: ხელოვნების სასახლეში იმიტომ დაგვაბინავეს, რომ უბანი, რომელშიც ვცხოვრობდით, რომელიღაც მიზეზის გამო, მოსახლეობას ერთ საათში დააცლევინეს: ლამის მთელი ქალაქი მოგვატარეს ნახევრად საბარგო მანქანით, რომელსაც ზანგი მძღოლი მართავდაო: ,,მახსოვს, პაოლო იაშვილმა დიდებული ჟესტით უბრძანა შვეიცარს, ჩვენთვის ოთახი გამოეყო... შვეიცარ-

მა შეპასუხება ვერ გაბედა. ქართველი პოეტები არასოდეს დაუშვებდნენ, რომ რუსი თანამოძმე უსახლკაროდ დარჩენილიყო (L'avanguardia a Tiflis, Venezia, 1982, p. 229).

იქ მანდელშტამებმა ერთი თვე დაჰყვეს. სახლის ტერასაზე იკრიბებოდნენ და ცხარედ კამათობდნენ სიმბოლიზმზე, რომელსაც გამუდმებით ესხმოდა თავს მანდელშტამი. შემდეგ ეს განწყობა გაცხადდა მანდელშტამის სტატიაში „ცოტა რამ ქართულ ხელოვნებაზე".

შემდეგ ეს განწყობა გაცხადდა მანდელშტამის სტატიაში ,,ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე":

რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული ტრადიცია. გასული საუკუნის რუსი პოეტები როცა საქართველოს ეხებიან, მათი ხმა განსაკუთრებულ ქალურ სირბილეს იძენს და თვით ლექსიც თითქოს რბილ, ტენიან ატმოსფეროში იძირება: «На холмы Грузии легла ночная мгла» (პუშკინს უწერია: «На холмах Грузии лежит ночная мгла...», გ.ჯ.). ალბათ, მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ დაიძებნება ისე ქ ა რ თ უ ლ ა დ მთვრალი და ქ ა რ თ უ ლ ი სურნელით გაჯერებული ორი სტროფი, როგორებიც წარმოთქვა ლერმონტოვმა: «Пену сладких вин пьяный льет Грузин...» უნდა ითქვას, რომ რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული მითი, რომელიც პირველად პუშკინმა გამოამზეურა: «Не пой, красавица, при мне ты песен Грузии печальной» და შემდეგ ლერმონტოვმა სრულქმნა მითოლოგიურად. ამ მითის შუაგულში თამარი დგას.

საინტერესოა, რომ ამ მითად, პოეზიის ამ აღთქმულ ქვეყნად რუსული პოეზიისათვის საქართველო იქცა და არა სომხეთი.

საქართველომ აცდუნა რუსი პოეტები თავისებური ეროტიკით, ეროვნული ხასიათისათვის დამახასიათებელი ტრფობით, მსუბუქი სიმთვრალის უბიწო სულით, ერთგვარი მელანქოლიური და საზეიმო თრობით, რომელშიც დავანებულია ამ ხალხის სულიცა და ისტორიაც. ქართული ეროსი – აი, რა იზიდავდა რუს პოეტებს. სხვისი სიყვარული ჩვენთვის მუდამ საკუთარზე ძვირფასი და ამაღელვებელი იყო.

საქართველოს კი სიყვარული შეეძლო! მისი უძველესი ხელოვნება, ხუროთმოძღვართა, ფერმწერთა, პოეტთა ოსტატობა განმსჭვალულია სიყვარულის უფაქიზესი უნარით და ჰეროიკული სინაზით.

დიახ, კულტურას შეუძლია, დაგათროს. ქართველები ღვინოს გრძელ, ვიწრო ქვევრებში ინახავენ და მიწაში მარხავენ. ესაა ქართული კულტურის პირველსახე: მიწამ შემოინახა მისი მხატვრული ტრადიციის ვიწრო, მაგრამ კეთილშობილი ფორმები, დატვიფრა დუღილითა და ამო სურნელებით აღსავსე ჭურჭელი. ის, რასაც, შეუძლებელია, შთაწვდე გონისმიერ მონაცემებში, დაგროვილი სიმდიდრის აღწერილობაში, სწორედ თრობის სულია, იდუმალი შინაგანი დუღილის პროდუქტი: მიწაში ჩაფლული, ღვინით სავსე, თიხის ვიწრო ამფორა.

რუსულ კულტურას საქართველოსთვის არასოდეს მოუხვევია თავს საკუთარი ფასეულობები. ამ ქვეყნის რუსიფიკაცია არასოდეს გასცდენია ადმინისტრაციული მართვის ფორმებს. გასული საუკუნის რუსი ადმინისტრატორები ვორონცოვ-დაშკოვის მეთაურობით ამახინჯებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას, ჩაგრავდნენ საზოგადოებას, მაგრამ ხელუხლებელს ტოვებდნენ ყოფას და უნებლიე პატივისცემით ეკიდებოდნენ. საქართველოში კულტურულ რუსიფიკაციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია! ამიტომ საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური თვითგამორკვევა, რომელიც მკვეთრად იმიჯნება ორ პერიოდად – გასაბჭოებამდე და მას მერე – უნდა იქცეს საკუთარი თავის წინაშე ქართველთა ერთგულების გამოცდად. კულტურული რუსეთი, მთელი საუკუნე სიყვარულით

რომ ადევნებდა თვალს საქართველოს, დღეს შეშფოთებით უმზერს ქვეყანას, რომელიც მზადაა, თავის კულტურულ მოწოდებას უღალატოს: ქართული კულტურის არსი ის იყო, რომ აღმოსავლეთისკენ პირმიქცეული, იმავდროულად, არასოდეს შერწყმია აღმოსავლეთს, განცალკევებით იდგა მისგან. მე ქართულ კულტურას ორნამენტულ კულტურათა რიგს მივაკუთვნებდი. ქართველები არშიას შემოავლებენ ხოლმე ვეებერთელა, დასრულებულ ნაწილს უცხო კულტურისას, ისრუტავენ, ძირითადად, მის მოხატულობას და, თანაც, შინაგანად ეწინააღმდეგებიან ძლიერ მეზობელ ქვეყანათა მტრულ დედაარსს.

ამჟამად საქართველოში მოთქმით გაიძახიან, „შორს აღმოსავლეთისაგან, წინ – დასავლეთისაკენ! ჩვენ არა ვართ აზიელები, ევროპელები ვართ, პარიზელები!“ რა მიამიტია ქართველი მხატვრული ინტელიგენცია! აღმოსავლეთისაგან დაშორების ტენდენცია ყოველთვის არსებობდა ქართულ ხელოვნებაში, მაგრამ ეს გამოითქმოდა არა უხეში ლოზუნგით, არამედ – მაღალმხატვრული ფორმის საშუალებით.

შედით ქართული მხატვრობის ტფილისის ეროვნულ მუზეუმში: თვალწინ წარმოგიდგებათ, ძირითადად, ქალთა მკაცრი პორტრეტების გრძელი მწკრივი, რომელიც თავისი ტექნიკითა და ღრმა სტატიკური სიმშვიდით გერმანულ ფერწერას მოგაგონებთ. იმავდროულად, ფორმის სიბრტყითი აღქმა და კომპოზიციური ხაზი (ხაზის რიტმი) სპარსული მინიატურების ხერხებით სუნთქავს. ხშირია ოქროსფერი ფონი და ოქროსავე მდიდრული ორნამენტი. ამ უცნობ მხატვართა ნამუშევრებით ქართულმა ხელოვნებამ ჭეშმარიტად გაიმარჯვა აღმოსავლეთზე, და რა უსუსურია მათ წინაშე პიკასოს მიერ ოდესღაც გადამტვრეული ვიოლინოს აცეკვებული ნარჩენები, დღეს ასე რომ დაუტყვევებია ქართული ფერწერა. ეს ისტორია ბერების გაიძვერულ რელიკვიათა ამბავს მოჰგავს: ვიოლინო ერთი ცალი იყო, იგი ერთხელ გატყდა. არადა, ვერსად ნახავთ ქალაქს, სადაც ამ ვიოლინოს ნატეხს არ შემოგაჩეჩებენ, როგორც – პიკასოსეული ვიოლინოს ნაწილს!

ენის ცხოვრება ყველასთვის თვალნათლივ მიმდინარეობს – ყველა მონაწილეობს ამ დინებაში, თითოეული წარმოთქმული სიტყვა ცხელ კვალს ტოვებს ენაზე. მხატვრულ ენაზე დაკვირვების შესანიშნავ საშუალებას იძლევა ტფილისური დარაბები, რომლებიც ჩვენ თვალწინვე ამოიზრდება ფიროსმანის ძლევამოსილ ხელოვნებად. ნიკო ფიროსმანაშვილი აბრების ერთი უბრალო, უსწავლელი მხატვარი იყო. იგი მუშამბაზე ხატავდა და, ძირითადად, სამ ფერს იყენებდა – ჟანგმიწას, მწვანე მიწასა და შავს (რუხის ყველა ვარიაციით) (შდრ. გ. ქიქოძე: „მისი პალიტრა ღარიბია ფერებით. მას უყვარს შავი ფერი, ჩალისფერი ყვითელი, მუქი ლურჯი, ღვინისფერი და თეთრი“, ნიკო ფიროსმანაშვილი, ტექსტი ტ. ტაბიძის, გრ. რობაქიძის, გ. ქიქოძის, კ. ზდანევიჩის და კ. ჩერნიავსკის, ტფ. 1926, გვ. 70, გ.ჯ.). მისი დამკვეთები – ტფილისელი მედუქნეები – საინტერესო სიუჟეტს სთხოვდნენ და ისიც უსრულებდა სურვილს. ფიროსმანის ტილოზე თავად ვნახე მისივე ხელით მიწერილი: «Шамиль со свего караулом» (ზუსტად წარწერა ასე იკითხება: «Шамирь са свего караулом;», გ.ჯ.). შეუძლებელია, მუხლი არ მოიდრიკო მისი „უწიგნური“ (არაანატომიური) ლომების, საუცხოო აქლემების, ადამიანის ფიგურებისა და კარვების წინაშე, რომელთაც სიბრტყე მხოლოდ ფერით დაამარცხეს. ფრანგებმა რომ იცოდნენ ფიროსმანაშვილის არსებობის შესახებ, საქართველოში ივლიდნენ და ფერწერას შეისწავლიდნენ, თუმც მალევე დაეუფლებოდნენ რადგან, დაუდევრობის წყალობით, მისი ნამუშევრები თითქმის სრულად გაიტანეს საქართველოდან.

ქართული თანამედროვე ხელოვნების მეორე ევროპულად ღირებული მოვლენა

– პოეტი ვაჟა–ფშაველაა. „ნარკომპროსი“ ხელმეორედ გამოსცემს მის თხზულებებს და ახალგაზრდა საქართველოში წარმოიქმნება ვაჟა–ფშაველას კულტის მსგავსი რამ. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა მცირეა ვაჟას გავლენა ახალგაზრდა ქართულ პოეზიაზე! ვაჟა იყო ნამდვილი ურაგანი სიტყვისა, საქართველოში რომ შემოგრიგალდა და ხეები ფესვებიანად ამოყარა: ,,Твой встречи _ люди мирные Непохожие на война Темнокудрый враг железо И деревья выкорчевывает” (ო. მანდელშტამმა 1921 წლის ნოემბერში დაამთავრა ვაჟას პოემა „გოგოთურ და აფშინას“ თარგმნა. შდრ. „შენ გიცარცვია ვინაცა, საბრალო არი, ბეჩავი, თვის დღეში ომუნახველი, დიაცთ ნალახის მხვეტავი, არ შაგხვედრია შავფერა მკლავ–მსხვილი, რკინის მკვნეტავი”, გ.ჯ.).

თავიანთი ეპიკური სიდიადით ვაჟას თითქმის შუასაუკუნეობრივი პოემების სახოვანება სტიქიურია. მათში განივთებულია ხელშესახებობა, მყოფობა. ყოველივე მის მიერ თქმული სახედ იქცევა, მაგრამ პოეტს მხოლოდ სიტყვა არ აკმაყოფილებს – იგი თითქოს კბილებით ფლეთს მას, ფართოდ სარგებლობს ქართული ფონეტიკის ისედაც ვნებიანი ტემპერამენტით. ახალგაზრდა ქართულმა პოეზიამ ქარიშხლის ქროლვასავით გადაიტანა ვაჟა-ფშაველა და აღარ იცის, რა მოუხერხოს მის მემკვიდრეობას!

ქართული პოეზია ამჟამად წარმოდგენილია ე. წ. „ცისფერყანწელთა“ ჯგუფით, რომლის რეზიდენცია ტფილისშია და, რომელსაც პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე მოთავეობენ. საქართველოში „ცისფერყანწელები“ მხატვრული სფეროს უზენაეს მსაჯულებად ითვლებიან, თვითონ ისინი კი ღმერთმა განსაჯოს! ფრანგული მოდერნიზმის წინაშე მონურად ქედდადრეკილი „ცისფერყანწელები“ საკუთარ თავსაც და მკითხველსაც ბოდლერიანობის, არტურ რემბოს სიშლეგის, გაუბრალოებული დემონიზმის იაფფასიან ნაყენს ასხურებენ. ყოველივე ეს ყოფის ზედაპირულ ეგზოტიკასთანაა შეზავებული. მათი თვალთახედვის მიღმა აღმოჩნდა ბოლო ოცწლეულის აყვავებული რუსული პოეზია. ჩვენთვის ისინი იგივეა, რაც – პენზა ან ტამბოვი. მათზე მკაფიო გავლენის მომხდენი ერთადერთი რუსი პოეტი ანდრეი ბელია, ეს უცხოელთათვის მისტიკური – რუსი ვერბიცკაია ... (ანასტასია ვერბიცკაია (1861–1928) – რუსი მწერალი ქალი, გ.ჯ.).

ქართული ლიტერატურის მეორე შტო კონსერვატიული, სავსებით უფერულია. ლიტერატურული ცხოვრება უჩვეულოდ ხმაურიანია და მყვირალა: აუარებელი დისპუტი, კამათი, ბანკეტი, განხეთქილება...

ამ ამაოებათა ამაოებას, ალბათ, შემოქმედის ლომური ბრდღვინვაც კი ვერ გადაფარავს: „თქვენ არც დასავლეთი ხართ, არც – აღმოსავლეთი, არც – პარიზი, არც – ბაღდადი; ისტორიულ მიწაში ძაბრივით ჩაჭედილა თქვენი ხელოვნება, თქვენი მხატვრული ტრადიცია. ღვინო ინახება და ესაა მისი მომავალი, კულტურა დუღს და ესაა მისი სიახლე. გაუფრთხილდით თქვენს ხელოვნებას – თიხის ვიწრო ქვევრს, მიწაში ჩამარხულს!“

გარდა იმისა, რომ მანდელშტამი უპირისპირდებოდა სიმბოლიზმს, როგორც ლიტერატურულ მოვლენას, პოეტს არც ის ესმოდა, რომ ერს, რომელსაც ჰყავდა ვაჟა-ფშაველა და რომელიც ურაგანივით შემოგრიგალდა ქართულ პოეზიაში, შემოგრიალდა და ხეები ფესვებიანად ამოყარა, მონურად დაედრიკოს ქედი ფრანგული მოდერნიზმის წინაშე და საკუთარი თავისთვისაც და მკითხველისთვისაც ბოდლერიანობის, არტურ რემბოს სიშლეგის გაუბრალოებული დემონიზმის იაფფასიანი ნაყენი შეეთავაზებინოს! რაც უნდა გასაკვირი იყოს, მანდელშტამს ზოგან იმპერიული სულისკვეთებაც სძალავდა და ისიც აღიზიანებდა, რომ ქართველ თანამოკალმეებს რუსულ პოეზიაში მიმდინარე გარდამტეხი პრო-

ცესები გამორჩენოდათ და პირდაპირ ევროპულ სალაროს მისდგომოდნენ; თანაც პოეზიის მეტრად მას საკუთარი თავი წარმოედგინა, ქართველებმა კი ის მოძღვრად არ აღიარეს!

მანდელშტამმა 1921 წლის ნოემბერში დაამთავრა ,,გოგოთურ და აფშინას" თარგმნა და სწორედ საქართველოში დაწერა თორმეტსტრიქონიანი გარდამტეხი ლექსი:

ხელ-პირს ვიბანდი. ეზო იყო
წყალივით ცივი.
ცის კიდეები უხეშ ბზინვას ხომლად
ირთავდნენ.
ცულის პირს ეცხო მარილივით
ვარსკვლავთა სხივი.
ვეება კასრი სავსე იყო მართლაც
პირთამდე.

დახშულ კარიბჭეს ღამის სუსხი
ეხვევა ბინდად.
დრტვინავს სოფელი – გაექცევი ან
მარად მტერს სად?
ტილოს სითეთრე – არც რა არის
იმაზე წმინდა,
მისებრ საძირკველს ვერ იპოვი ვე-
რასდროს ვერსად.

ვეება კასრში მარილივით
ვარსკვლავი დნება.
უფრო შავია წყალი – ჭავლთა ისმის
სხმარტალი,
უფრო წმინდაა სიკვდილი და
მლაშეა ვნება,
უფრო კუშტია დედამიწა, უფრო
მართალი.

ნადეჟდა მანდელშტამი წერს: ,,ამ თორმეტ სტროფში უჩვეულოდ შეკუმშულად განფენილა მოწიფული პოეტის ახალი მსოფლაღქმა და მათში იხსენიება ის, რაც ახალი მსოფლშეგრძნების დედაარსად იქცა: ყველაზე წმინდა და მართალი, რაც კი გვრგებია – სიკვდილი და ცისკიდურზე – უხეში ვარსკვლავები" (ყოველივე ამის ფონად იქცა ხელოვნების სასახლეში ცხოვრების ერთი დეტალი: მდიდრულად მოწყობილ სახლში წყალგაყვანილობა არ იყო: წყალი მოჰქონდათ და ეზოში მდგარ უზარმაზარ კასრს პირთამდე ავსებდნენ).

კოლაუ ნადირაძე იხსენებს: ,, ქართულ ლექსებს მუსიკასავით უსმენდა, ითხოვდა, ოდნავ ნელა წაეკითხათ, მელოდიას გამოარჩევდა (საინტერესოა, რომ ამასვე ითხოვდა ა. ბელიც და, მოგვიანებით, პასტერნაკიც, გ.ჯ.), მნიშვნელობას კი ხანდახან არც გეკითხებოდა. ზოგი ლექსის ჟღერადობა ისე აჯადოებდა, მათ დასწავლას ცდილობდა, რუსული ბგერებისათვის უცხო ქართულ სიტყვებს რუსულ ფონეტიკურ ეკვივალენტებს უძებნიდა. ყველაზე მეტად ბარათაშვილითა და ვაჟა–ფშაველათი აღფრთოვანდა, ზეპირად იცოდა ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ თარგმნილი ბარათაშვილის ,,საყურე".

მანდელშტამებმა ნახევარი წელი დაჰყვეს საქართველოში, როგორც ჩანს, Вестник литературы–ს ამ ვითარებამ ათქმევინა, პოეტი მანდელშტამი თბილისს გადასახლდაო (Вестник литературы, 1922, №2, с. 23).

ამ განწყობას თვალსაჩინოდ გამოხატავს ეს ლექსიც:

მესიზმრება კუზიანი თბილისი,
სევდიანად მოთქვამს საზანდარი...
ხიდს აწყდება ვაჭარი და დალაქი,
ხალიჩას ჰგავს ძველი დედაქალაქი,
ქვემოთ ბორგავს და ხმაურობს
მტკვარი.

მტკვარზე ბევრი ტაბლა და დუქანია –
შთანთქავ ფლავს და ღვინოს –
ქარვის სადარს.
მედუქნეს თუ ღვინომ ხელი დარია,
მასპინძლობა ორმაგად უხარია,
ჯამს მოგაწვდის და გაგიხსნის მადას.

კახურის სმა დაუბრუნებს ფხას
უნდილს –
შენც სარდაფში უნდა მოილხინო,
იქ სიგრილეს არც ყულფი აქვს, არც
– ხუნდი,
მაშ, დაწყნარდი, დაწყვილდი და
დარწყულდი,
ოღონდ მარტომ არ დალიო ღვინო!

ციცქნა დუქანს შეადარებ განა
სხვებს?
იქ მაცდური თლის სიცრუის ისრებს...
,,თელიანს" სვამ, დროს არ კარგავ
ჭამაში,
თბილისქალაქს ნისლი შეათამაშებს,
შენც გაჰყვები ბოთლში მცურავ ნის-
ლებს!
სიბერეა კაცის გულის დამრცხვენი,
კრავს, ძუძუთას, თოთო ელის მოლი...
კაფანდარა მთვარე თავ ზე
დამცქერის,
ვარდისფერი ღვინის მოჩქეფს
ჩანჩქერი,
ცისკენ მიდის მწვადისფერი ბოლი.

შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის საქართველოში მანდელშტამები თავს კარგად გრძნობდნენ. მათ გარს ეხვეოდნენ ქართველი პოეტები, რუსეთის საელჩოს მუშაკები, ელჩ ბ. ლეგრანის მოთავეობით, რომელიც ადრე ჟურნალისტობდა და გუმილიოვის გიმნაზიისდროინდელი მეგობარი გახლდათ.

მიხაილ ბულგაკოვი, რომელიც მანდელშტამებს თბილისში შეხვედრია, ასე ახასიათებდა მათ ცხოვრებას: ,,ღარიბული, ამაყი და პოეტურად უზრუნველი" (С. Ермолинский., О михаиле Булгакове, Театр, 1965, №9; М. Чудакова, Булгаков_читатель. Книга. Исследования и материалы. Сб. 40, М., 1980, с. 173_174).

პირველი ცნობა მანდელშტამების მიერ ამ ნახევარი წლის თბილისში გატარების თაობაზე დაიბეჭდა ა. პარნისის სტატიაში ,,ჩანაწერები 1921 წელს საქართველოში მანდელშტამის ყოფნის შესახებ" (L' avanguardis a Tiflis., Venezia, 1982, p. 211_223).

აქ ლაპარაკია ბათუმის ცენტროკავშირში 1921 წლის აგვისტოში ბლოკის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მანდელშტამის მიერ წაკითხული ლექციის, თბილისის ,,პოეტთა ამქრის" სხდომებზე ორი პოეტური გამოსვლისა და 1921 წლის 5 ოქტომბერს რუს მწერალთა კავშირის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ. მანდელშტამს მწერალთა კავშირი ფულითაც დახმარებია.

პოეტი თანამშრომლობდა გაზეთ ,,ფიგაროსთან", მონაწილეობდა სხვადასხვა დისპუტსა და საღამოში, ასწავლიდა ცნობილი რუსიმსახიობის, ნ. ხოდოტოვის (1878–1932) მიერ თბილისში დაფუძნებულ თეატრალურ სტუდიაში... (Ходотов Н. Н., Близкое_далекое., Л_М., 1962, с. 267).

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, თარგმნა სძულდა, მანდელშტამმა ქართული პოეზიის ბევრი ნიმუში თარგმნა თბილისში: პირველ რიგში, ,,გოგოთურ და აფშინა", როგორცზემოთაც აღინიშნა: პოემის პწკარედი ტ. ტაბიძესა და პ. იაშვილს მოუმზადებიათ. იგივე ტექსტი უთარგმნია ვინმე ა. კულებაკინს. ხელოვნების სასახლეში ორივე ვერსია წაუკითხავთ, რის შემდეგაც უკამათიათ (О. Мандельштам., Стихотворения, переводы, очерки, статьи, Тюилиси. 1990., С. 383).

მანდელშტამმა ,,ცისფერყანწელების" პოეზიაც თარგმნა: ტიციან ტაბიძის ,,ბირნამის ტყე", ვალერიან გაფრინდაშვილის ,,მეხუთე დაისი", ნიკოლო მიწიშვილის ,,დამშვიდობება" და გიორგი ლეონიძის ,,ავტოპორტრეტი". მასვე ეკუთვნის იოსებ გრიშაშვილის ორი ლექსის თარგმანიც. მანდელშტამს უთარგმნია სომეხი პოეტი–ფუტურისტის, ყარა-დერვიშის (აკოფ განჯანი) გრიგორ რობაქიძისადმი მიძღვნილი ნაწარმოები ,,როკვა მთებში".

1930 წლის გაზაფხულზე მანდელშტამები კვლავ სწვევიან თბილისსა და სოხუმს, სადაც პოეტმა სომხეთში გამგზავრებამდე ექვსი კვირა გაატარა ე.წ. ,,ორჯონიკიძის სახლში". ცნობილია, რომ

მიმდინარეობდამოლაპარაკება ბ. ლომინაძესთან (1897–1935), რომელსაც იმხანად ამიერკავკასიის კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი სჭერია: მანდელშტამს, თითქოს, არქივში უნდა ემუშავა. მანდელშტამი შეხვედრია გამოჩენილ სომეხ პოეტ ეგიშე ჩარენცსაც (1897–1937). არსებობს ერთი მოკლე ჩანაწერი ვ. გოლცევისა სიმონ ჩიქოვანის რუსულად გამოსაცემი ,,რჩეულის" ხელნაწერზე: ,,სასურველია, მანდელშტამმა თარგმნოს!"

ეს არ მომხდარა, რადგან 1934 წელს მანდელშტამი დააპატიმრეს და სამი წლით შორეულ ურალში, კერძოდ ჩერდინში გადაასახლეს, ბოლოს კი ვორონეჟში ყოფნა აკმარეს!

1937 წლის თებერვალში მონატრებულმა თბილისმა კვლავ დაიდო ლექსში ბინა:

ჯერაც სხეულზე შერჩენია ამ ჩექმის ცვეთა,
ოდესღაც სქელი, გალეული –
ამჟამად ლანჩა...
მრავალჰანგიანს მეც ვიგონებ
გალობას ხეთა,
მის შავ კულულებს, მთას, სად მამა
დავითი დარჩა.

განახლებული – კედლისპირზე –
ცარცი და ცილა,
ქუჩები – ვიწრო, მიწისთხილის
ჩენჩოთაფერი,
რცხილა–ცხაური–ცხენი–ცარცი და
– ისევ რცხილა,
მუხა, ჭადარი, ძეწნა, სითბო, ხვატი და
მტვერი,

ჯაჭვი ხუჭუჭა ასოების – ქალურად
წყნარი,
შუქით რომ გთენთავს, და მშველელი
მხოლოდ ძილია;
ქალაქი – მარჯვე, ყურმახვილი,
ქალაქი – მყარი,
ზაფხულმრავალი ბერიკაცი და
ყმაწვილია.

მანდელშტამს ანდერძი არასოდეს დაუწერია: არც სიკვდილს ფიქრობდა, არც დასატოვებელი გააჩნდა რამე. მხოლოდ ქართულ კულტურაზე ნათქვამი სიტყვები შეგვიძლია მივიჩნიოთ პოეტის უკანასკნელ ნება–სურვილად:

,,თქვენი ხელოვნება, თქვენი მხატვრული ტრადიცია ძაბრივით ჩაჭედილა ისტორიულ მიწაში. ღვინო ინახება და ესაა მისი მომავალი, კულტურა დუღს და ესაა მისი სიახლე. გაუფრთხილდით თქვენს ხელოვნებას – თიხის ვიწრო ქვევრს, მიწაში ჩამარხულს".

ოსიპ მანდელშტამი

აკმეიზმის დილა

I

ხელოვნების ნაწარმოებებით აღძრული დიდი ემოციური მღელვარებისას, სასურველია, მასზე საუბრისას დიდი თავშეკავებულობა გამოვიჩნოთ. უმეტესი ადამიანებისათვის ხელოვნების ნაწარმოები მომხიბვლელია იმდენად, რამდენადაც მასში ხელოვანის სამყაროს აღქმაა გამოხატული. ამასთანავე, ეს აღქმა მისთვის ისეთივე იარაღი და საშუალებაა, როგორც ჩაქუჩი კალატოზის ხელში. ერთადერთ რეალობას კი თვით ნაწარმოები წარმოადგენს.

იარსებო – ეს ხელოვანის უმაღლესი თავმოყვარეობაა, ყოფიერების გარდა, სხვა სამოთხე მისთვის სასურველი არ არის და, როდესაც ჭეშმარიტებაზე ესაუბრებიან, მხოლოდ მწარედ თუ ჩაეცინება ხოლმე, რადგან იცის, რომ ხელოვნება უსასრულო სინამდვილეს გამოხატავს. როცა ხედავ, რომ მათემატიკოსს დაუფიქრებლად აჰყავს კვადრატში რომელიღაც ათნიშნა ციფრი, ეს ერთგვარი გაკვირვებით გვავსებს, მაგრამ ხშირად მხედველობიდან გვრჩება ის, რომ პოეტს მოვლენა ათნიშნა ხარისხში აჰყავს და ხელოვნების ნაწარმოების მოკრძალებული გარეგანი სახის მიღმა საოცარი შემჭიდროებული რეალობა იმალება.

ეს რეალობა პოეზიაში – სიტყვაა, როგორც ასეთი. ახლა, მაგალითად, აზრის გადმოცემისას, შესაძლებისამებრ ზუსტ, მაგრამ არაპოეტური ფორმით, არსებითად, ნიშნებით ვსაუბრობ და არა სიტყვით. ყრუ-მუნჯნი შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს და სარკინიგზო სემაფორები ერთობ რთულ დანიშნულებას ასრულებენ ისე, რომ სიტყვებს არ მიმართავენ. ამგვარად, თუ აზრს შინაარსად მივიჩნევთ, ყოველივე რაც კი სიტყვაშია, მხოლოდ მექანიკური დანამატია აზრის სწრაფ გადმოცემას რომ აძნელებს. ნელა იბადებოდა „სიტყვა როგორც ასეთი“. თანდათან, ერთმანეთის მიყოლებით, სიტყვის ყველა ელემენტი ფორმის გაგებაში თავს იყრის და მხოლოდ გაცნობიერებული აზრი, ლოგოსი, დღემდე ნებსით თუ

უნებლიედ, შინაარსად ითვლება. ამ არასაჭირო უპირატესობის მინიჭების გამო, ლოგოსი მხოლოდ აგებს. ის ითხოვს მხოლოდ თანასწორობას სიტყვის სხვა ელემენტებთან. ფუტურისტმა, რომელიც ვერ გაუმკლავდა გაცნობიერებულ აზრს, ზღვარს იქით დატოვა იგი და, არსებითად, წინამორბედთა უხეში შეცდომა გაიმეორა.

აკმეისტისათვის სიტყვის გაცნობიერებული აზრი, ლოგოსი, ისეთივე მშვენიერი ფორმაა, როგორც მუსიკა სიმბოლისტებისათვის. და, თუ ფუტურისტებთან სიტყვა როგორც ასეთი, ჯერ კიდევ ოთხ ფეხზე დაფოფხავს, აკმეიზმში ის პირველად საკმარის ვერტიკალურ მდგომარეობას იღებს და თავისი არსებობის ქვის საუკუნეში შედის.

II

აკმეიზმის მახვილი არც სტილეტია და არც დეკადენტობის ნესტარი. აკმეიზმი მისთვისაა, ვინც შენების სულით მოცული, სულმოკლედ, უარს კი არ ამბობს საკუთარი ტვირთის სიმძიმეზე, არამედ სიხარულით იღებს მას, რათა გააღვიძოს და გამოიყენოს მასში არქიტექტურულად მიძინებული ძალები. ხუროთმოძღვარი ამბობს: ვაშენებ, ესე იგი მართალი ვარ. საკუთარ სიმართლეს ყველაზე მეტად პოეზიაში ვპოვებთ. ზიზღით უარს ვამბობთ ფუტურისტების ჩხირკედელაობაზე, რომელთათვისაც ყველაზე დიდი სიამოვნებაა საქსოვი ჩხირი გამოსდონ რთულ სიტყვას, სიტყვებში გოტიკა შემოგვყავს ისე, როგორც ეს სებასტიან ბახმა დაამკვიდრა მუსიკაში.

რომელი უგუნური დათანხმდება შენებას, თუ მას მასალის რეალობისა არ სჯერა, რომლის წინააღმდეგობაც უნდა დაამარცხოს. რიყის ქვა ხუროთმოძღვრის ხელში სუბსტანციად იქცევა და შენებისთვის არ არის დაბადებული ის, რომლისთვისაც ქვის ტეხვისას, სატეხის ბგერა მეტაფიზიკური მტკიცებულება არ არის. ვლადიმირ სოლოვიოვი განსაკუთრებულ წინასწარმეტყველურ შიშს გრძნობდა ფინური თეთრი რიყის ქვის მიმართ. უტყვი მჭევრმეტყველება გრანიტის ლოდისა მას ისე აღელვებდა, როგორც ბოროტი ჯადოქრობა. მაგრამ ტიუტჩევის ქვა, რომელიც „მთიდან დაგორდა დაბლა ველზე და თვისით მოწყდა ან განზრახ ჩამოაგდო ვიღაცის ხელმა“ – უკვე სიტყვაა. მატერიის ხმა ამ მოულოდნელ დაცემაში დანაწევრებულ მეტყველებასავით ისმის. ამ გამოწვევას მხოლოდ არქიტექტურით თუ ვუპასუხებთ. აკმეისტები მოწიწებით მაღლა სწევენ ტიუტჩევის იდუმალ ქვას და თავისი შენობის საძირკველში დებენ.

ქვას თითქოსდა სხვა ყოფიერება სწყუროდა. მან თვითონ აღმოაჩინა მასში დამალული დინამიკის პოტენციალური შესაძლებლობა – თითქოს ითხოვა „ჯვაროვან გუმბათში“ შესვლა თავის მსგავსთა სიხარულით სავსე ურთიერთქმედებაში მონაწილეობის მისაღებად.

III

სიმბოლისტები ცუდი შინაყუდები იყვნენ. მოგზაურობა უყვარდათ, მაგრამ ცუდად გრძნობდნენ თავს საკუთარი ორგანიზმის გარსში და იმ მსოფლიოს გარსში, რომელიც თავისი კატეგორიების დახმარებით კანტმა ააგო. იმისთვის, რომ წარმატებით აშენო – პირველი პირობა გულწრფელი პიეტეტია სივრცის სამი განზომილებისადმი – უყურო მათ არა როგორც ტვირთს და უბედურ შემთხვევითობას, არამედ როგორც ღვთით ბოძებულ სასახლეს. მართლაც: რას იტყვით უმადურ სტუმარზე, რომელიც მასპინძლის ხარჯზე ცხოვრობს, სარგებლობს მისი სტუმართმოყვარეობით, გულში კი სძულს იგი და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ მოატყუოს ჭკუაში. შენება შეიძლება მხოლოდ „სამი განზომილების“ სახელით, რაც ხუროთმოძღვრის სამკუთხედია. აი, რატომ უნდა იყოს არ-

ქიტექტორი კარგი შინაყუდა, სიმბოლისტები კი ცუდი ხუროთმოძღვრები იყვნენ. აშენო – ნიშნავს ებრძოლო სიცარიელეს, მონუსხო სივრცე. გოტიკური სამრეკლოს კარგი სამიზნე – ბოროტია, რადგან მთელი მისი აზრი ზეცის ჩხვლეტაა, საყვედურია იმის გამო, რომ ის ცარიელია.

IV

ადამიანის თავისებურებაში, რაც მას პიროვნებად ხდის, ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ ის ორგანიზმის უფრო მნიშვნელოვან ცნებასთან არის დაკავშირებული. აკმეისტები იზიარებენ ფიზიოლოგიურად-გენიალურ შუა საუკუნეებთან ერთად ორგანიზმისადმი და ორგანიზაციისადმი სიყვარულს. დახვეწილობის დევნაში XIX საუკუნემ ჭეშმარიტი სირთულის იდუმალება დაკარგა. ის, რაც XIII საუკუნეში ორგანიზმის გაგების ლოგიკური განვითარება გვეგონა, გოთიკური ტაძარი, - დღეს ესთეტურად მოქმედებს ჩვენზე როგორც საოცარი – Notre Dame, – და ეს არის ფიზიოლოგიის ზეიმი, მისი დიონისური თავაშვებულობა. ჩვენ არ გვსურს ხელუხლებელი, უფრო უღრანი ტყე-ღვთაებრივი ფიზიოლოგია, ჩვენი ბნელი ორგანიზმის უფრო უსასრულო სირთულე.

შუა საუკუნეები, რომლებიც თავისებურად განსაზღვრავდა ადამიანის ხვედრით წონას, ყოველივე ამას თითოეულში გრძნობდა და აღიარებდა მისი დამსახურებისაგან დამოუკიდებლად. მეტრის ტიტულს სიამოვნებით და უყუყმანოდ იღებდნენ. ყველაზე მოკრძალებულ ხელოსანს, თვით უკანასკნელ კლერკსაც კი, იდუმალი, სოლიდური მნიშვნელობა, ღვთისმოსავი ღირსება ჰქონდა, რაც იმ ეპოქისათვის ესოდენ დამახასიათებელი იყო. დიახ, ევროპამ დახვეწილ-აჟურული კულტურის ლაბირინთში გაიარა, როდესაც აბსტრაქტული ყოფიერება, არაფრით შეულამაზაბელი არსებობა საგმირო საქმედ ითვლებოდა. აქედანაა, არისტოკრატული ინტიმურობა ყველა ადამიანს რომ აერთიანებს, რაც სულით, ასე უცხოა დიდი რევოლუციის „თანასწორობისა და ძმობისათვის“. არ არის თანასწორობა, არ არის მეტოქეობა, არის არსებულთა თანამონაწილეობა შეთქმულებაში სიცარიელისა და არყოფნის წინააღმდეგ.

გიყვარდეთ საგნის არსებობა თვით საგანზე მეტად, საკუთარი არსებობა საკუთარ თავზე მეტად – აი, აკმეიზმის უმაღლესი მცნება.

V

A=A-ს: რა მშვენიერი პოეტური თემაა. სიმბოლიზმი იტანჯებოდა, წვალობდა იდენტობის კანონით, აკმეიზმი მას თავის ლოზუნგად აქცევს და გვთავაზობს მას საეჭვო A realibus ad realiora-ს მაგივრად. გაკვირვების ნიჭი პოეტის მთავარი სიკეთეა. აბა, როგორ არ უნდა გვაკვირვებდეს კანონთა შორის ყველაზე ნაყოფიერი იდენტობის კანონი. ვინც განიმსჭვალა ამ კანონის მიმართ მოწიწებული გაკვირვებით, ის ჭეშმარიტი პოეტია. ამგვარად, ვაღიარებთ რა იდენტობის კანონის სუვერენიტეტს, პოეზიაში სამუდამოდ ლენურ მფლობელობაში გადადის ყოველივე არსებული პორობითობისა და შეზღუდვების გარეშე. ლოგიკა ეს მოულოდნელობის სამეფოა. ლოგიკურად აზროვნება განუწყვეტლივ გაკვირვებას ნიშნავს. ჩვენ მტკიცებულების მუსიკა შევიყვარეთ. ლოგიკური კავშირი – ჩვენთვის სიმღერა ჭივჭავზე კი არ არის, არამედ სიმფონიაა ორღანითა და სიმღერით, ისე რთული და შთაგონებული, რომ დირიჟორს მთელი თავისი ძალების მოკრეფა უხდება ხოლმე, რათა მორჩილებაში ამყოფოს თავისი ქვეშევრდომნი. ო, რა დამაჯერებელია ბახის მუსიკა! მტკიცებულების რა ძალაა!

ამტკიცო და ამტკიცო გაუთავებლივ: ხელოვნებაში რომ მხოლოდ სიტყვა ხელოვანს არ შეჰფერის, ეს ადვილი და მოსაწყენია...

ჩვენ არ დავფრინავთ, მხოლოდ იმ კოშკებზე, ავდივართ, თვითონ რომ შეგვიძლია ავაგოთ.

VI

შუა საუკუნეები ჩვენთვის ძვირფასია იმიტომ, რომ ზღვრისა და ზღუდის მაღალი ხარისხის გრძნობას ფლობდა. არასოდეს არ ურევდა სხვადასხვა გეგმებს და საიქაოს მიმართ უზარმაზარ თავშეკავებულობას იჩენდა. გონივრობისა და მისტიკის კეთილშობილური ნარევი და სამყაროს აღქმა როგორც ცოცხალი წონასწორობისა, გვაახლოვებს ამ ეპოქასთან და გვიბიძგებს ძალები ვიპოვოთ იმ ნაწარმოებში რომანულ ნიადაგზე რომ აღმოცენდა დაახლოებით 1200 წელს. მოდით, ვამტკიცოთ ჩვენი სიმართლე ისე, რომ პასუხად მიზეზთა და შედეგთა მთელი ჯაჭვი ალფადან ომეგამდე ძრწოდეს, ვისწავლოთ ვატაროთ „უფრო მსუბუქად და თავისუფლად ყოფიერების ბორკილები“.

რუსულიდან თარგმნა ***ქეთევან თუხარელმა***

დალილა ბედიანიძე

●

რადგან სცენაზე იცინის ცეცხლი,
მაშ ანარეკლი თვალებსაც ხვდება,
კვლავ ოცდაათი ჩხრიალებს ვერცხლი,
საკვირველია, რაც ჩვენს თავს ხდება.

სიცოცხლე არის დღესასწაული
და დასასრული სიკვდილი არის
და მაინც დღემდე ცოცხლობს საული,
ფურცლავს ბიბლიას სხივები მთვარის.

და ყველაფერი სცენაზე მოჩანს,
ჩაბნელებულა დარბაზი სავსე
და გრგვინავს ტაში – გათავდა, მორჩა,
ეკლის გვირგვინი დაგედგა თავზე.

შენ კი არ უწყი ეს ყველაფარი,
გაოცებული უყურებ ყველას
და იქარგება მთვარის ძაფებით
ფარდა, ატყვია მას ცისარტყელა.

რადგან სცენაზე იცინის ცეცხლი,
ჩვენც გავიცინოთ ცეცხლს მივცეთ ბანი
და ბნელში ელავს თვალი ნაკვერცხლის,
რომ არ ჩამქრალა ამდენი ხანი.

●

მოღრუბლული დღეა,
მოღრუბლულა გული.
გულში დარდის ტყეა
მოთამამებული.

და მღელვარე ზღვასთან
ვდგავარ, ვდგავარ მარტო.
ტალღა ნაპირს გასცდა,
რომ მე მომემატოს.

ცას და მიწას შორის
შემაერთი ხე ვარ,
მართალი და სწორი,
მონანიე ევა.

ღმერთო, მომიტევე,
რაც აქამდე ვცოდე
და ნუ გამაძევებ,
გევედრები, ვგოდებ.

ღრუბლიანი გულით
ვდგავარ და მზეს ველი,
მოხდეს სასწაული!
მზე აღმოხდეს მცველი!

●

მოდი, დავწეროთ ლექსი!
ლექსის დაწერა უდრის
ზღვიდან ამომავალი მზის დახატვას აკვარელით,
რომელიც ზღვის წყალშია გაზავებული.
ღრუბლების ჭერზე ჩანან მზის ნაფეხურები
და მზე ნებივრობს აღსავლის კართან
აღმოსავლეთით ამაღლებული.
მოდი, შევხედოთ მზეს!
როცა მზეს მარტო ვუყურებ
ვგრძნობ, რა გადამდებია
მისი თბილი მარტოობა.
როგორც ჩიტის ფრთის ქვეშ,
ისე თბილა მზის ფრთის ქვეშ,
როცა მზეს შენთან ერთად ვუყურებ
ვგრძნობ, როგორ ვწყვილდებით მე და მზე
და როგორ ვიფარავთ ერთმანეთს,
როცა მზეს ვხატავ,
ფუნჯი მზის ნებაზე გამირბის და
ხატვის ძალა ციდან გადმოდის ჩემში
და როგორც ლექსის დაწერა,
მთლად ისეთია მზის დახატვა,
მზისა, რომელიც ჩემშია და
რომელშიც მე ვარ.

●

თავი მოვხსენი ზღაპრების გუდას
და ზღაპრიდან ზღაპრამდე
ჯადოსნური ბაღი მაქვს გადასავლელი,
ბაღი, რომელშიც რიგი ხე ყვავის,
რიგი მკვახეა და რიგი – მწიფე.
თავი მოვხსენი ზღაპრების გუდას
და მსმენელები მხოლოდ დიდები არიან და
არა ბავშვები,
რადგან ჩემს ზღაპრებს მხოლოდ ის გაიგებს,
ვინც უთვალავი წელი იარა
ჯადოსნურ ბაღში
და უკვდავების წყლის მოსატანად
არის ნამყოფი
და ჩემს ზღაპრებს ზღაპრებით უპასუხებს,
იმ ზღაპრებით,
განვლილი ცხოვრება რომ ჰქვია,
თავი მოვხსენი ზღაპრების გუდას.
გაქვავებულ კოცონთან ვზივარ
და ვუყურებ – ზღაპრის სმენისას
ცეცხლი ცოცხლდება.

●

ახლა წვიმს, წვიმა წამოსცდა ზეცას
და მე ამ წვიმას რა კარგად ვიცნობ.
მზე მიიმალა, ფრთები დაკეცა
და წვიმის ხმაზე ყური დაიცო.

ახლა წვიმს და მე წვიმაში მოვყევ,
ვსველდები ნელა და გემრიელად.
ვით მზით დასიცხულ ძველმოდურ მოყმეს
წვიმა გამიჩნდა ხსნადა და შველად.

ახლა წვიმს, დიდი გვალვების შემდეგ,
კვლავ გამოწვიმდა შვებად ლექსები.
და გემოს ვატან წვიმას და შევდექ
წვიმის ქვეშ, მე რომ მეალერსება.

ახლა წვიმს, ზეცა სველი ჭერია,
ხეები – სახლის სველი სვეტები,
სისველის გრძნობა მე მომერია,
მივიმღერი და მივეხეტები.

ახლა წვიმს, წვიმა წამოსცდა ზეცას
წვიმაა ჩემი თავშესაფარი.

ჰა, კიდევ ერთი წვეთი დამეცა
და დამთავრდება წვიმის ზღაპარიც.

●

გამარჯვებისკენ მიიწევს ყველა,
ქვა და ფოთოლი, ცეცხლი, ბალახი
და ისე, როგორც ოდესღაც, ძველად
ცხრა მთა, ცხრა ზღვა გვაქვს გადასალახი.

გამარჯვებისკენ მიიწევს ყველა,
ლომი, ირემი, სპილო, თვით ბუზიც,
ჭრელი პეპელა, რომ დაფრენს ნელა,
პოეტიც, წმინდა მსახური მუზის.

გამარჯვებისკენ მიიწევს ყველა –
მდინარე, წვიმა, ქარი და ნისლი,
ფუტკარი, დათვი, კურდღელი, მელა
და ყველგან მათი ფეხისხმა ისმის.

გამარჯვებისკენ მიიწევს ყველა,
თუმც გამარჯვება ყველას არ ელის.
ეს გზა გაგრძელდა და გაიწელა,
ბოლო ვის ელის გასახარელი?

გამარჯვებისკენ მიიწევს ყველა,
მზე გამარჯვების მხოლოდ ერთია,
ვის უწევს ლოცვა? ვის უწევს წყევლა?
ეს ფიალაში ბოლო წვეთია.

●

მე ამ წყვდიადში სინათლეს ვეძებ,
აქ ძმა ძმასა მტრობს და ეშუღლება.
ვფიქრობ ბედკრული სამშობლოს ბედზე
და ცრემლი თვალებს შეეუღლება.

მე ამ წყვდიადში სინათლეს ვეძებ,
გამოსავალი მხოლოდ ერთია,
გავერთიანდეთ, დავიდგათ ქედზე
უნაგირები, მოვრჩეთ ხეტიალს.

მე ამ წყვდიადში სინათლეს ვეძებ,
რომელიც სწორ გზას გამაყვანინებს
და ვერიდები ეკლებს და ძეძვებს,
ღმერთია ჩემთან და განმარინებს.

მე ამ წყვდიადში სინათლეს ვეძებ,
შემომჯარვიან ირგვლივ ღრუბლები.
ვარსკვალავებს, როგორც მოჩხუბარ ვერძებს
უელავს წითლად შავი შუბლები.

მე ამ წყვდიადში სინათლეს ვეძებ,
რომ მომიშუშოს სულში იარა,
ვფიქრობ ბედკრული სამშობლოს ბედზე
და მათზე, ხალხმა ვინც აღიარა.

●

რაც არ უნდა ქროდეს ქარი,
მაინც არ ჭირს მიგნება –
საქართველო იყო, არის,
საქართველო იქნება.

მრავალი გვაქვს საწუხარი,
მაგრამ არის ღვთის ნება –
საქართველო იყო, არის,
საქართველო იქნება.

ყველა კუთხის, ყველა მხარის
სიმღერა შეიქება –
საქართველო იყო, არის,
საქართველო იქნება.

გაიარა სისხლთა ღვარი,
მტერთა წინ ჩაფიქრება –
საქართველო იყო, არის,
საქართველო იქნება.

ერი ასე მეომარი
მუდამ მოდგებ-მიდგება –
საქართველო იყო, არის,
საქართველო იქნება.

რითაც ვთესეთ მიწა-მყარი
იგივე მოიმკება –
საქართველო იყო, არის,
საქართველო იქნება.

რეკავს, რეკავს, რეკავს ზარი,
გმირნი იქცნენ ჯიქებად –
საქართველო იყო, არის,
საქართველო იქნება.

●

არ არის, არა გამოსავალი,
თუმცა მიცდია გზები მრავალი.

ყველაფრის ბოლო სიკვდილი არის,
ყველაფერს წაშლის სივკდილის ქარი.

ბოლოს დარჩება ფერფლი და მტვერი,
მიწას შეერთვის მოყვარეც, მტერიც.

ჩვენ კარგად ვუწყით სიცოცხლის ფასი,
მაგრამ ცხოვრება დიდია ფარსი.

მაგრამ ცხოვრება არაფერს გვაცლის,
თუმც ბედისწერას სულ ებრძვის კაცი.

სიკვდილი არის ყველაფრის ბოლო,
ხსნა საქმეშია მხოლოდ და მხოლოდ,

მაგრამ საქმესაც აქვს დასასრული,
მარადიული გვაქვს მხოლოდ სული.

სულს იქით არცრა არ გაგვაჩნია,
ამაოებას გაუმარჯვია.

ყოველი არის ამაოება
და ფუჭი არის ყველა დროება.

არ არის, არა გამოსავალი,
თუმცა გზებია ქვეყნად მრავალი.

●

ყველა სიტყვიდან ამოდის ლექსი
ამ წუთისოფლის ჭუჭყსა და ლექში.

ამოიზრდება, როგორც ყვავილი
და მე ამაყად ავივლ-ჩავივლი.

მადლობა უფალს, რომ მომცა სიტყვა.
და მე სიტყვაში უფალი მიყვარს

მისი ხელდასხმით და მისი ნებით
ჩვენ, პოეტები ლექსებად ვდნებით,

გადავიქცევით ცხელ-ცხელ ლექსებად
და სიყვარული დაგვეწესება.

სიყვარული და ლექსი ერთია
და ღვთაებრივი მათში მეტია,

ვიდრემდე ყოფა ადამიანთა,
რომელთაც მოსვლა დაგვაგვიანდა.

ნეტავ, სულ მქონდეს წერის ხალისი,
სანამ ჩემს სულში უფლის ხმა ისმის.

ყველა სიტყვიდან ამოდის ლექსი,
არაფერია სხვა უკეთესი.

●

იღელვე მშვიდად! მშვიდად იღელვე!
გულში წყალქვეშა დინებების მორევია
და ყინულს ებრძვის,
რომელიც არის ირგვლივ და ყველგან,
ხეებს ფესვები აზრებათ და
ბალახი მიწას ჩაკვდომია
და მზე ცას ისე შეჰყინვია,
რაც არ უნდა მძლავრად ანათოს,
ყინულს მაინც ვერ ერევა.
იღელვე მშვიდად! მშვიდად იღელვე!
ზღვა გაყინულა – ფეხით გაივლი,
მაგრამ რად გინდა, უგზოობაა,
გზები არსაით აღარ მიდიან
და დაწყვეტილი საბელებივით
ყრიან მიწაზე ბილიკები და შუკა-შარები.
იღელვე მშვიდად! მშვიდად იღელვე!
ამ ღელვაში არის რაღაც სითბოს მომფენი
და ვით სიზმარში, ცუდ სიზმარში
სული ღმერთს შესთხოვს
გამოღვიძებას.

●

ახლა ყველანი ზეცაში არიან,
ვინც საქართველოს იფარავდა და
საქართველოსთვის მფარველი სულებით სავსე ზეცა
ვისაც იფარავს.
ზეციურო საქართველო, მიწიერი საქართველო
დაიფარე, შეგთხოვ

და წყალობას ნუ მოგვაკლებ,
ნუ გაგვწირავ, ღმერთო!
ჩვენ ყველა, ერთხელაც იქნება,
ქართულ ზეცას შევეხიზნებით
და იქიდან გადმოვხედავთ
ჩვენს პაწაწინა სამშობლოს,
რუკას რომ ძლივს აჩნია;
ახლა იქ ვილოცებთ საქართველოსთვის,
რადგან გვჯერა, ჩვენს ლოცვას შეისმენს უფალი
და შეგვეწევა.
ზეციურო საქართველო, მიწიერი საქართველო
დაიფარე, შეგთხოვ,
მეოხ-გვეყავ, დაგვამშვენე,
სულ გვაშენე, ღმერთო!

●

გრძელდება ჩემი გზა და ამ გზაზე
მე დამებედა ცვალებადი მოღრუბლულობა
და ღრუბლიდან ღრუბლამდე წვიმა
და ლექსები ჩიტებივით ფრთხებიან
წვიმის ფეხის ხმაზე
და მე სიტყვების საკენკს ვუყრი,
რომ გამოვკვებო და მივიზიდო.
ცვალებადი მოღრუბლულობა დამტრიალებს
და მიწას აჩნია წვიმის ნაფეხურები
და გუბეებში პატარ-პატარ ქარები ჭყუმპალაობენ
და შხეფები მზის შუქზე ბრჭყვიალებენ,
როგორც ყალბი ბრილიანტები,
რომლებიც ახლა მოდაშია
და რომლებიც ასე უხდება ქალბატონ დედამიწას.
მე არ ვიცვლები, ამინდები იცვლებიან
და ამ ცვალებად მოღრუბლულობაში
ჩემი უცვლელი გზა მიდის აღმა,
უცნობი მთისკენ,
საიდანაც სიზიფეს ლოდი აღარ დამიგორდება.

გიორგი სოსიაშვილი

დასასრული და დასაწყისი

მივდიოდი და ვგრძნობდი, რო ბოლო გზა იყო. დამთავრებას ვგრძნობდი, ვთვლიდი ნაბიჯებს, თითქო ფეხები არ მემორჩილებოდა. ერთი ორჯერ შევჩერდი, გზას ავხედე – იტყოდი, რო ღრუბლებში მიიკლაკნებოდა ეს დალოცვილი აღმართი, ლეგა ღრუბლებში უჩინარდებოდა. სული მაწვებოდა – ამოსვლას ლამობდა. ვუძალიანდებოდი, ვეხვეწებოდი, ამ ბებერ სხეულში გამომწყვდეულ ნატანჯ სულს, ყვავილივით რო დაეკენკა ცოდვებს და ეგრე შრამებად დარჩენილიყო; ცოდვის ნაკვალევი სამუდამოდ ჩარჩენოდა. სულ ცოტა ხანი დამაცადე, აემ გზას ავივლი, როგორმე ავიტან, ავათრევ სხეულს, რომელსაც მატლი შესეოდა უკვე, მიწასაც აღარ დაელოდნენ, ფუთფუთი გაუდიოდათ დამშეულ მატლებს. ბატკნის კიკინი მომესმა, ყური წავუგდე. კრავის ხმაზე თითქო დავმშვიდდი, ღვთის ხმასავით ჩამეღვარა და გასაფრენად გამზადებული სული მცირე ხანს ჩააცხრო. თვალი დავხუჭე და თითქო რამდენიმე წლის წინ ნანახ სიზმარში აღმოვჩნდი, ახალნაწვიმ ბაღში; შიშველი ფეხებით ვიდექი სველ მიწაზე. ნაწვიმარ ძურწას კიკნიდა წითელნაჭერშებმული ბატკანი. გვერდით გარგარი ყვაოდა. თბილი გაზაფხული შეესწრო მამაჩემის დარგულ გარგარს და იპატარძლა, მიწიდან ამომძვრალი ყვავილებით შეიმოსა.

ვიდექი და მციოდა, ფეხის გულები თითქო გაყინული მქონდა. ხანდახან ბატკანს ვუმზერდი; თავს არ სწევდა მიწიდან, ლამის დაკვდომოდა წვიმიან ძურწას, ხანდახან დაიკიკინებდა. თავაუწევლად გამოსცემდა უცნაურ ბგერებს, რომელიც საიქიოში, ალბათ, სიტყვებად ჩამესმოდა, მიწიერ ყოფაში კი ჩვეულებრივი კიკინი იყო და მეტი არაფერი.

შორიახლო იდგა ჭაღარა კაცი და მიღიმოდა, სიკეთის მზე იღვრებოდა მისი მწვანე თვალებიდან. მამაჩემი იყო... თითქო... თითქო არა. უცნაური ნათელი ეფინა სახეზე. წინ მიიწევდა ბატკანი და მეც ნელ-ნელა მივდიოდი, ტალახიანი,

შიშველი ფეხებით მივდევდი.

მაშინ ასეთი დასკვნა გამოვიტანე სიზმრიდან: ალბათ, ცხვარი უნდა შემეწირა სალოცავისათვის. ვეება თოხლი ვიყიდე და მთავარანგელოზის ტაძართან გავუშვი. იქაურებმა დაიჭირეს. ვიდექი და ვუმზერდი რქაკავშა არსებას, გვერდით ლურჯი საღებავი რო ესვა. ხან მთავარანგელოზის ტაძარს შეხედავდა, ხან ჩემკენ გამოექცეოდა თვალი. ალბათ, მოლოდინი ჰქონდა, რო დავკლავდი და ოხშივარს ავადენდი ტაძართან დანთებულ ცეცხლზე შემომდგარ კარდალს. იქაურებმა მკითხეს – ჩვენ რო წავიყვანოთ ცხვარი, ხო შეიძლებაო.

გამოვბრუნდი. გზადაგზა მომდევდა ცხვრის ბღავილი, იქვე, ტაძრის გვერდით, ცხონებული დათიკოს ბაღთან, წამოაქციეს, ტაძრის ცქერითაც ვერ მოასწრო რო გაეძღო თვალი იმ საცოდავ ვარსკვლავზე გაჩენილ არსებას. ვერ მოასწრო. წამოაქციეს და გამოუსვეს მასათზე ალესილი დანა, მერე თვალის დახამხამებაში ჩამოატყავეს. მოვდიოდი და ცხვრის ბაღავილი ჩამესმოდა. შევწირე... შევწირე... ჩემი ხმა მესმოდა, ჩემი ხმა მესაუბრებოდა...

სიზმარი, სიზმარი... სულაც სიზმარი არ არის ყველაფერი? იქნებ სიზმარია ცხადი და ცხადია სიზმარი. მეც ეხლა ახალი ვთქვი ვითომ რამე. როგორც ჩემი სული აწყდება სხეულს და ცაში აჭრას ლამობს, მეც ეგრე აბდაუბდა ფიქრები მაწყდება. ბოლო ფიქრებში ვარ, ჩემთან ერთად დამთავრდება ფიქრიც, არადა ფიქრმაც ხო იწვალა მთელი ცხოვრება, ფიქრსაც ხომ არ მივეცი მოსვენების საშუალება. ასეთი დასასრული უნდა ყოფილიყო.

არგანზე ჩამოყრდნობილ ბერიკაცად ქცეულს უნდა ამევლო ეს საოცარი აღმართი და ნისლში შემალულ სალოცავში ავსულიყავი. თითქო იქ მიცდის ღმერთი, თითქო აღმართის ბოლოს მელოდება, ავალ და ნაყვავილარ სულს ჩავაბარებ. დაფუთფუთებენ სხეულზე მატლები. ეს ჩემი ცოდვით სავსეები, ესენი... ჭამენ ამ ჩემს სხეულს და ივსებიან ჩემი ცოდვებით. ძლივსძლივობით ავითრიე ჯანდაკი სხეული. სიკვდილმა დამახმარა ხელი, იტყოდი, რო ბოლო წუთებში სიკვდილსაც შევებრალე და ტაძრამდე მისვლაში წამეშველა. სალოცავის კარამდე მიმაცილებს და მერე წამავლებს კარებში ხელს.

იქვე დაიკიკინა ბატკანმა, მივიხედ-მოვიხედე, მომეჩვენა. მარტოდმარტო ვიდექი. როგორც იქნა, გადავდგი ნაბიჯი.

ტალახზე გამიცურდა პირდაღრენილი, რაიკომისდროინდელი ფეხსაცმელი, ფრატა-ფრუტით რო დამაქვს ეხლა. აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა?! ცხოვრება ამას და ჯანდაბა, როგორ მასხარად გვიგდებს, როგორ გვაპამპულავებს.

მაშინ რო ეთქვა ვინმეს, მოვა დრო და ბოლო გზას ამ ფეხსაცმლით აივლიო... აი, აი, აი. ყველაფერი მთავრდება, რაიკომის მდივანო, ყველაფერი ძველდება, დროს კუჭის ქარად არ ჰყოფნის შენი თანამდებობა და სხვა რაღაცები. მხოლოდ მოგონებები ჩარჩენილან და თვლემენ, მიყუჩებულები არიან, თითქო არც უნდათ გაღვიძება. არც უნდა გააღვიძო, არც უნდა დააფეთო, ტვინი ზოგჯერ მოგონებების სამარეა და როგორც მიცვალებულების შეწუხება არ შეიძლება და მათი ძვლების შერხევა, ისე ამ მოგონებებს არ უნდა ხელის ხლება. რაც დამთავრდა, ის ხელახლა არ უნდა დაიწყო, გაიგე? დამთავრდა და მორჩა. როგორც დამთავრდა, დამთავრდა, უკვე წარსულს ეკუთვნის. მოგონებების სასაფლაოა ეს ოხერი ტვინი, მიცვალებულებივით გარინდებულები, გაყუჩებულები წვანან, უდროობაში ჩაძირულან, მოგონებებიც ისეთივენი არიან, როგორც სააქაოს გასული არსებები – ზოგი უდროოდ წასული, ზოგიც შედარებით ხანდაზმული. რა ვიცი ერთი...

ისევ დაიკიკინა ბატკანმა, ვიხედები აქეთ-იქით, მეჩვენება... საიდან ჩამყვა ბატკნის ხმა, იქნებ, მე თვითონ ვარ ეს შესაწირი არსება. ბოლო აღმართს რო შევუყევი და, როგორც გაურჩებულ ცხვარს, ფეხები უკან რო რჩება, მეც ისე მივათრევ ამ ჩემს ბებერ სხეულს. ნისლში

დამალული სალოცავი მიცდის. ნელ-ნელა ვაი-ვაგლახით ავაღწევ, ტაძრის კარიბჭემდე როგორმე მივიტან სულს, მერე შემოვატარებ ამ ჩემს ძალაგამოცლილ სხეულს და უკანასკნელად ავიხედები ცაში...

●

– დავანგრიე! – იცინის ბენო და რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეს თვალებში აკვირდება, რას ეტყვის არტემიჩი, როგორ შეაქებს ან რა ჯილდოზე წარადგენს.

– ერთი იქაური გოთვერანი მიწევდა წინააღმდეგობასა, ვიღაც ქალაქიდან ჩამოთრეული მხატვარი. წინ გადამიდგა კაცო! ლამის მანქანა გადავატარე და მივაჭყლიტე ეგრევე. ჯერ სხვებიც აყაყანდნენ, მთელი ბირჟა იქ მოგროვდა, მაგრამ რო გადავბღვირე, ხმა გაკმიდეს. მერე მარტო ის მხატვარი ძალაობდა. საცოდავი ხარო! ვერც კი წარმოგიდგენია რას სჩადიხარ, რამხელა ცოდვასა ჰკიდებ შენს შთამომავლობასო, ცოდვასაო, – ხითხითებს ბენო. – შენ თვალწინ დაიტანჯებიან შენი შვილები და შვილიშვილები, ხელი არ ახლო, არ გაბედოო.

– მერე? – ჰკითხა არტემიჩმა და თვითონაც ღიმილი შეეპარა წითურ სახეზე.

– რა მერე, არტემიჩ, რა დაგივალებია და არ შემისრულებია? – ბენომ ყვითელი კბილები გამოაჩინა.

– აბა მითხარი... – ჩააცივდა ბენო.

არტემიჩი თითქო ჩაფიქრდა და თავი გააქნია, – არაფერი, ყოჩაღი კაცი ხარ.

– მერე, მერე იმ მხატვარმა...

– რა ვიცი, რაღაცებს მიედ-მოედებოდა, ისტორია არ გაპატიებთო, ღმერთი სასტიკათ დაგსჯითო, სად არის ღმერთი, აბა, მაჩვენე-მეთქი, – ისევ ჩაიქირქილა ბენომ. – ღმერთი რო არსებობდეს შენისთანა მაიმუნებს კი არ გააჩენდა-მეთქი...

– მაიმუნები ვინ იქნებიან, ამას შთამომავლობა იტყვისო.

– ერთი სიტყვით, – წვერი მოიქექა ბენომ. – კარგა მივტყიპე ის მხატვარი, წინ გადამიდგა ჯარისკაცის მამასავით, ცოტაღა დამაკლდა და ლამის ეგრევე გადავსრისე.

არტემიჩი მშვიდად აკვირდებოდა ბენოს.

– ნეტა დაგენახა, არტემიჩ, როგორ ბღაოდა, თროკიალით გამოვიყვანე ის... – გინება ყელში გაუჩერდა, არტემიჩისა მოეხათრა.

– დრო მოვა და მუხლებზე დაჩოქილები მოხვალთო, მაგრამ გვიანი იქნებაო. ბეხლერწმა გერომ მოაყენა მერე ტრაქტორი და დაანგრია.

თქვე შობელძაღლებო მადლობლები არ ხართ-მეთქი? კაცი კლუბს გიშენებთ, ახალგაზრდობა გაიზრდება, კინოებს გაუშვებენ, ისევ თქვენ არ გამოგადგებათ-მეთქი?

– მართალიაო, – ერთი-ორმა დამიქნია თავი. სხვები ისე შესცქეროდნენ ჩამონგრეულ კედლებს, ლამის ტირილი დაეწყოთ...

„სამსახურეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის, პარტ.ორგანიზაციის წევრი ბენო... ს, გამოეცხადოს მადლობა და დანიშნულ იქნას პარტორგანიზაციის კოლმეურნეობა „ლიახვის“ განყოფილების ხელმძღვანელად“.

რაიკომის მდივნის კაბინეტიდან გამოსულ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ხელმძღვანელს ბენო მუხლებში ჩაუვარდა და იქვე, მისაღებში მდგომი რამდენიმე ქალბატონის დანახვა თითქო არც მოერიდა, ფეხები დაუკოცნა.

– ხო დავანგრიე არტემიჩ, ხო დავანგრიე. კიდე დავანგრევ, თქვენ მარტო მითხარით და კიდე დავანგრევ. იმ მხატვარსაც აქ ჩამოგითრევ, მარტო დამავალე...

არტემიჩმა გვერდით მდგომ მღიმარ მანდილოსნებს, რაიკომის მდივანთან რო იყვნენ მიღებაზე ჩაწერილი, თვალი ჩაუკრა, მერე დაიხარა და ჭაღარაშერეულ თავზე ხელი მოუთათუნა მის ფეხებთან მოკეცილ „პარტორგს“.

– კარგი ბენო, კარგი, საკმარისია.

ოღონდ ბენომ ვერ გაიგო, რა იყო საკმარისი, მადლობის გადახდა, ფეხებზე მთხვევა თუ ტაძრის დანგრევა.

ნისლი უფრო გაძლიერდა. ადგილის

დედამ თითქო მარმაშის ქსოვილი წამოახვია სალოცავის მთას. ხან გამოჩნდება ტაძარი, ხანაც ნისლში შეიმალება, თითქო ბისტი გადაეკრა თვალებზე, ყველაფერი სითეთრეში ჩაინთქა. მთაც სითეთრეში ჩაიძირა, სალოცავიც...

„ისე არ მომკლა, გევედრები, ეს ერთი ნატვრა ამისრულე სანამ სულს ჩაგაბარებ, მერე როგორც გინდა დამსაჯე, როგორც გინდა მტანჯე. გევედრები... ველარაფერს ხედავს, ცისკენ კი იმზირება, მაგრამ არაფერი არ ჩანს... ღმერთოო, ღმერთოო... ჩადენილ ცოდვებთან ნუ დამტოვებ, ტაძრამდე მიმიყვანე, გევედრები. ჩემი აღდგენილი სალოცავი დამანახე უკანასკნელად... სიცილის ხმა მოესმა. მიიხედ-მოიხედა, ვერაფერი დაინახა, ისევ მოისმა სიცილი, ყური წაუგდო, შვილის ხმას მიამსგავსა და ამოიბღავლა:

– შვილოო, სად იმალები, გამოდი შვილოო, – ის ხმაც სადღაც ჩაინთქა წამიერად, მერე ისევ ჩაესმა სიცილი... თითქო თვალის ჩინი დაუბრუნდა.

თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა თეთრი ნისლიდან გამოსულ შვილის ლანდს. როგორც ჩარჩა მეხსიერებაში შვილის ცხედარი, ისეთი იხილა.

– შენა ხარ შვილოო?

ლანდი უხმოდ იდგა.

– რატო გამწირე შვილო, რატო დამღუპე, ჩემი ცოდვები არ მეყოფოდა? ჩემი ტანჯვა არ მეყოფოდა? ჩემი წილი ჯოჯოხეთი... ის ჯოჯოხეთი მანატრებინე ამ ჯოჯოხეთს. განა რა ტანჯვაა, განა რა წამებაა, განა რა გეენაა, ამას რო აღემატებოდეს, – ღაპა-ღუპით წამოუვიდა ცრემლები. უცბად გაურბინა ცხოვრების კადრებმა, თითქო საზვერეებზე ცეცხლოვანმა ანგელოზებმა თვალწინ გაუცოცხლეს ცხოვრების თითოეული წამი.

ვეება შენობისკენ მიაბიჯებს და ამალა მისდევს უკან.

სიტყვით გამოდის და გასუსული დარბაზი თვალებში შესცინინებს რაიკომის მდივანს...

აჯილდოებენ და ნეტარებით ანთებული თვალებით გასცქერის დარბაზში პირველ რიგში მჯდომ მეუღლეს.

გადაცემა გადის და მთელი ოჯახი სულგანაბული მიშტერებია ტელევიზორს, გატაცებით ლაპარაკობენ რაიკომის მდივნის წარმატებებზე.

სულ ტაში, ტაში, გრიალებს დარბაზი, ეს ხმა ჩარჩება სიცოცხლის ბოლო წუთამდე და ჯოჯოხეთის ხმად ექცევა სულის ამოსვლამდე.

წითელი დროშები ფრიალებს ირგვლივ. დროშები, დროშები, მედლები... ტაში... ის კადრიც გამოჩნდა, რაიკომის მდივნის ოჯახი გაუჩინარებულ შვილს დაეძებს ორ კვირაზე მეტი, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ ვერ გაიგეს, გადაატრიალეს მთელი ქვეყანა, არსად ჩანს ეფრემიჩის ერთადერთი ვაჟი. ჭორებმა ააფუსფუსა მთელი რაიონი, საზღვარგარეთ გაქცეულა თურმე ეფრემიჩის ბიჭი, უცხოეთში ბევრი ფული წაუღია. ეძებენ... ეძებენ... ვერსად მიაგნეს. ბოლოს მეგობრის პაპის მიტოვებულ სახლში თვითონ წაადგა შვილის ცხედარს ეფრემიჩი.

ფანჯრის სახელურზე გამოება მავთული და ყელზე წაბმული მიწოლილიყო, ეგრე თვალებღია შეგებებოდა სიკვდილს.

მაშინ გაიგეს პირველად რაიკომის მდივნის ბღავილის ხმა. შვილის გაყინულ სახეზე დამხობილი არამიწიერ ბგერებს გამოსცემდა...

ამ უცნაურ ხილვაში იყო. სალოცავის ფერდობზე გვიანი შემოდგომის თელხი აფრიალებდა შვილის წერილს:

„იცი, არ მინდოდა, რომ ასე გამემწარებინეთ, ბევრი ვიფიქრე... არ არის ეს ადვილად გასაკეთებელი, ამას ნურც ლაჩრობას დაარქმევთ და ნურც გმირობას, ჩემს თავს გავექეცი და მორჩა, ადამიანს არაფრის უფლება დაუტოვა ღმერთმა და პარტიამ, ყველაფერი უნდა აკეთო, რაც უფალს სურს და რასაც პარტია გიკარნახებს... მცნებები... მცნებები... მოწოდებები... იმდენი ვიფიქრე ადამიანის დანიშნულებაზე, რომ საბოლოოდ ვერანაირი დასკვნა ვერ გამოვი-

ტანე. არანაირი მისია, არანაირი აზრი... რაიკომის მდივნის შვილობა კი არა ეხლა, ის კიდევ... გავჩნდი და დამნაშავე ვარ. ეს დანაშაული უნდა დამთავრდეს.

მაპატიე, მაპატიე, მაპატიე, შენც, შენც, შენც და რა ვიცი, ყველამ...

ქარი აფრიალებს წერილს, ბოლოს სახეზე აეკრა თვითმკვლელი შვილის წერილი და ისევ აღმოხდა ბღავილი... არ უნდა გაგეწირე ასე, არ უნდა გაგეწირე...

●

ეს ერთი კეთილი საქმე როგორმე უნდა გააკეთო. სალოცავი ინგრევა, ღვთის სახლი ნადგურდება, ტაძრის ლოდებს სახლში ეზიდებიან. ანაფორიანი კაცი ესაუბრება. უმზერს, თან აქეთ-იქით იყურება, ვინმემ არ დამინახოს, ვინმემ არ შემამჩნიოს. დავიღუპები, დავიღუპები, ყველაფერი დამთავრდება, ყველაფერი ჩამოიქცევა. ჩააკანკალა, რო წარმოიდგინა დანგრეული ცხოვრება, რაიკომის მიღმა გატარებული წლები. ცეკაში გაიტანენ ჩემს საკითხს. თითქო ცეკას პირველი მდივნის კაბინეტის მისაღებში დგას, ფეხები უბრუჟდება, პირი უშრება, ყოველ ჩქამზე გული აშვებული ნაგაზივით აწყდება ღობემკერდს. გაიწკრიალებს ცეკას პირველი მდივნის მდივნის (მდივნის... მდივნის – მაგარია!) ტელეფონი და შუბლის საწვიმრებიდან ჩამოუწკანწკარდება ოფლი. მისი კოლეგა რაიკომის მდივნებიც იქ ირევიან, ზვარაკის სახიან „მეგობარს“ უმზერენ. ეს რა ჩაგიდენია კოტეეე! რა გიქნია, კაცო, აურიე? რა გეშველება, რისთვის დაინგრიე ცხოვრება. კოტე, შე მართლა კოტე შენა, რა ღმერთისა და ხატისა აგიტყდა, მღვდლები და ანაფორები გიშველის, ღმერთი რო მოკვდა, ერთად არ ვიყათ პანაშვიდზე?! ღმერთი... ეჰ, კოტე, კოტე!

იქნებ გადავრჩე, იქნებ საყვედური მითხრან, გაფრთხილება. რაა ერთი გაფრთხილება, არასოდეს მქონია, თითით საჩვენებელი რაიკომი გვქონდა, რა მიყო იმ წუწკმა მღვდელმა, საიდან შემომიჩნდა, როგორ გამაბრიყვა. დამღუპა! გამათავისუფლებენ?

რომელიღაც კოლეგა რაიკომის მდივანი ჩასჩურჩულებს ჰალსტუხმოღრეცილ, სასოწარკვეთილ, ყბაჩამოვარდნილ კოტეს. ეს-ეს არის გამოვედი...

– მერე? – კუთხეში დაყენებული შერისხული მოსწავლის თვალებით შეაცქერდა.

– ვერ გეტყვი, განხილვა მიდის... გაცოფებული კია, ისე... რა ეკლესიები და მღვდლები აგიტყდა. ეგ კი არა, მე დღეობებიც კი ავაკრძალინე, დღეობები, – ნაცრისფერი თვალები მოწკურა კოტეზე ერთი თავით დაბალმა მდივანმა და მწვანეზოლიანი ჰალსტუხი შეისწორა, თან მდივანს გახედა, რომელიც ჟურნალ „საქართველოს ქალს“ ჩაჰკირკიტებდა, თუმცა ცალყურდაცქვეტილი უსმენდა რაიკომის მდივნის ჩურჩულს. კოტეზე ერთი თავით დაბალს რა გამოეპარებოდა და სწორედ იმიტომ უწევდა ხმას, რო მდივანთან უფრო კანთიელად მისულიყო მისი სიტყვები.

– რანაირად შეიძლება ესა, დღედაღამ ხუთწლედის გეგმები ტრიალებს თავში, ხუთწლედი, მღვდელი კი არა, ტოროლა.

– შევდივართ უკვე, ამქვეყნიური სამოთხე აგერ არის, ა, – ხელით რაღაცა ფორმა შემოხაზა. – კომუნიზმში მღვდლების ადგილი არ არის. რაც ამ კაცმა სისხლი და ოფლი ჩაანთხია, – თითი ცეკას მდივნის ბინდისფერ, ტყავგადაკრული კარისკენ გაიშვირა. – მართლა ამაზე უნდა ვლოცულობდეთ, ჭკუა რო გვქონდეს.

ღვარად ჩამოსდის ოფლი კოტეს და თითქო ხელის მტევნები არ ჰქონდეს ან სისველეს ვერ გრძნობდეს.

– ვიცი, რო არც შენ გიყვარს მღვდლები და ეკლესია. რაღაც გაუგებრობა მოხდა ალბათ... – მხრებს იჩეჩავს კოტეს მეგობარი...

ყოველ ჩქამზე გული უხტის. ცოტაც და დაიწკრიალებს წითელი ტელეფონი.

– უხმეთ რაიკომის მდივანს! – გაოფლილი ხელით შეაღებს ცეკას პირველი

მდივნის კაბინეტს. – ვაი!..

ინგრევა ყველაფერი. მტვერშია გახვეული. თქვენ ვერ ხედავთ, მაგრამ ასეა! არ გჯერა? ვიცი, რო ვერც წარმოგიდგენიათ. სულ ასე გინდა, რომ იყოთ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილები, ყელში ჰალსტუხწაჭერილები, სინამდვილეში ეშმაკი გიჭერთ ხელს და სუნთქვის საშუალებას არ გაძლევთ. მტვერია, მტვერი. ნგრევის მტვერი, ცოტა ხანში ამ დანგრეული შენობის კედლები ერთიანად ჩაიქცევა და ჩაიმარხებით. ვერც კი წარმოგიდგენიათ. წითელი დროშის და ნამგლიანუროიანი გერბის გარდა, ვერაფერს ამჩნევთ ცოდონი ხართ, შვილო! ღმერთს არც თქვენ ეჯავრებით, მაგრამ საკუთარ სულს ასე როგორ ექცევით, ეშმაკზე უარესად სძიძგნით. ტკბილია მიწიერება, ტკბილია ამქვეყნიური დიდება, მაგრამ იმაზე ადრე დამთავრდება, ვიდრე თქვენ გგონიათ.

– რა გინდა ჩემგან? – საცვლებიანი წამოხტა მძინარე კოტე. ცოლი არ გაუღვიძებია. შეშლილივით ახამხამებდა თვალებს. თენდებოდა, დილა იბადებოდა მშობიარეცის წიაღიდან და იისფერი შუქი ჟონავდა რაიკომის მდივნის საძინებელში.

არავინ ჩანდა. ესიზმრა ის უცნაური ანაფორიანი ლანდი, ვინც ცხოვრება კინაღამ დაუნგრია, არც ცეკას მდივნის კაბინეტთან დგას ხელებგაოფლიანებული კოტე. როგორ გაუხარდა, რიჟრაჟის შუქივით შეიჭრა სიხარული, მძინარე ცოლს აკოცა.

– მღვდელი, მღვდელი... – ჩაიბუტბუტა. – რამ დამასიზმრა, – ჩაეცინა. რაიკომის მდივნის სიზმარში საიდან გაჩნდა, მღვდელი. – კიდევ კარგი, რო სიზმრებსაც ვერ ხედავენ ჩემი მტრები, თორემ... სიზმრებსაც მიართმევდნენ ცეკას მდივანს: – „ა, ბატონო, ინებეთ თქვენი ნაქები რაიკომის მდივნის სიზმრები. მღვდელი სტუმრობს ყოველღამ და ეკლესიის აღდგენას სთხოვს.“ – ხმამაღლა გაიცინა და მის როხროხზე სიზმრებში დაკარგულმა მეუღლემ, რომელიც გაუჩინარებულ ქმარს დაეძებდა, გვერდი იცვალა.

ველარ დაიძინა. ახალი დღის დაბადებას უმზერდა ვეება არაბული ტახტიდან.

●

– რა არის, აბა, ბედნიერება, მითხარი.

– ?!

– რა არის-მეთქი.

– გითხრა რას ფიქრობ?

გარინდებული მისჩერებია.

– გითხრა?

– მითხარი, მითხარი.

– მე რომ ვარ, ისეთი მდგომარეობაა ბედნიერებაო.

– საიდან მოიტანე, ცხვირზე დაადო თითი.

– თვალებზე დაგაკვირდი. ბედნიერება გეწერა, კმაყოფილი იყურებოდი. ცხოვრება ხო ჭამს ადამიანებს. აი, შენ ცხოვრებაგადასანსლული ადამიანის თვალები გაქვს, მაძღარი თვალები.

– ბედნიერება, ბედნიერება, არ მიფიქრია, არც უბედურებაზე მიფიქრია.

– ვაი, დედა!

– რა იყო, – შიშველ მკერდზე გადაუსვა ხელი. კენჭივით მოხვდა ნეკის წვერისხელა კერტი. დაიხარა და ბაგეებით შეეხო. ქალმა თვალები მილულა.

– რაიკომის მდივნის შვილი რო არ იყო...

ამრეზით დახედა და შიშველ მკერდს მოსცილდა, ხელახლა აყელყელავებული ვნება ძალით დაიოკა.

– ასე მგონია, ნამდვილ სიყვარულს ვერასოდეს ვერ იგრძნობ, იქნებ ასეც არ იყოს, მაგრამ მე ასე ვიფიქრე, – შესცინა ქალმა. ბიჭმა მის ძალით მღიმარ თვალებს დამრუხული მზერა დაუბრუნა.

– ცოდონი ხართ მდიდრები, ღმერთს არ უყვარხართ. რამდენჯერ დავწოლილვარ შენთან და ასეთი აზრები არასოდეს ამკვიატებია.

ბიჭი ისევ გამჭოლი მზერით დასცქეროდა. მისი მჭრელი მზერა ქალში ძვრებოდა.

– აღარასოდეს დავწვები შენთან! – ჩაილაპარაკა ქალმა და შიშველ მკერდზე

საბანი წაიფარა. – მერე რა, რომ რაიკომის მდივნის შვილი ხარ, რაიკომის მდივნების შვილებზე აღარ გავქირავდები.

– მოგზავნილი ხარ! – დაასკვნა ბიჭმა. წამოდგა, შარვალი ამოიცვა, პერანგის სახელოებში გაჰყო მკლავები.

– ხო, მოგზავნილი ვარ, აგენტი ვარ, – ღიმილით ჩაილაპარაკა ქალმა. – როცა დიდი კაცის შვილი აღარ იქნები, მოდი და მერე ვილაპარაკოთ.

ქალის ცემა მოუნდა. სისხლი მოაწვა, უნდოდა ლოგინიდან იატაკზე ჩამოეთრია და მისი შიშველი სხეული დაელურჯებინა, მაგრამ თითქო მამის ხმა ჩაესმა: „შარში გაეხვევი, თავი დაანებე, თავი დაანებე-მეთქი“. ადგა და უხმოდ დატოვა სასტუმროს ოთახი, კარიც ისე გაიხურა, ვერ შეატყობდი, რო ნერვები ერთმანეთში ჰქონდა გადახლართული.

„ბედნიერება და უბედურება“... „ბედნიერება და უბედურება“. – ჩადიოდა კიბეზე და სიზმარში ეგონა თავი...

●

– ამაზეც დამსჯიან, ამაზეც... არავინ არ უნდა გაიგოს. ცხოვრება დამენგრევა. არ მინდა საკუთარი ცხოვრების ნანგრევებში მოვყვე გესმის? კრინტი არსად დაძრა. ხო გესმის?!

– მესმის, – თავს უქნევს ტუჩმობრეცილი ქალი.

– მთელი ცხოვრება მებრძვიან, მთელი ცხოვრება ტალახისა და ფურთხის მეტი არაფერი მინახავს. ასე მარტივად და იოლად არ მოსულა ყველაფერი, ჯოჯოხეთური წვალება და ტანჯვა სდევდა ყველაფერ ამას. ღმერთი კი არ მწამს, მაგრამ სახარებაში მეც ჩამიხედავს. ის საშინელი აღმართი მეც ავიარე, წვალებით ავიარე... სისხლი ჩავანთხიე, კირის ქარხნის მუშა ვიყავი და რაიკომის მდივანი გავხდი. რაც უფრო მაღლა ადიხარ, უფრო გეშინია ჩამოვარდნის. მეც მეშინოდა, ახლაც მეშინია. ბევრი ვიწვალე, ბევრი ვიტანჯე. რაღაც შევქმენი, მაგრამ ამ შექმნილით ტკბობის საშუალება არ მაქვს, ამ შექმნილის დაკარგვის შიში მტანჯავს. რაღა დაგიმალო და... – მარია კოვზით ნაზად ურევდა თეთრ ფინჯანში დასხმულ ყავას. – ჰო, რაღა დაგიმალო, ცოლზეც ვეჭვიანობ. არა, ისე არა, როგორც ქმრები ეჭვიანობენ ხოლმე, კაცებზე რო ეჭვიანობენ. მე სხვა ეჭვი მიღრნის გონებას. არ მინდა, ამ ეჭვმა მომკლას. დღითიდღე მიმძაფრდება, მემატება ეჭვი. ხანდახან თავს დავიმშვიდებ ხოლმე... იქნებ, ჩემს ავადმყოფ გონებაში დაიბადა ეს ეჭვი და მე ვარ ამ მავნე აზრების შემოქმედი, მაგრამ ველარ ვიგერიებ ამ ეჭვის მატლებს... თითქო ცხედარი ვარ... მოდიან და მოდიან.

ცოლიც, მგონია, რო გადაიბირეს, მოჩენილი ჰყავთ, ჩემი ცხოვრება ხელის გულზე უდევთ, ცოლი...

ბევრჯერ წამოვჯდები ლოგინზე და ვაცქერდები ჩემს მძინარე მეუღლეს.

ვინ იცის, რა დავალება აქვს მიღებული, ვინ იცის, როგორ გადაიბირეს, რას დაჰპირდნენ, იქნებ თავიდანვე გადაბირებული ჰყავდათ, რას გაუგებ...

მარიამ ყავას თავი მიანება და კოტეს დაბნეულ, დამფრთხალ თვალებში მიაჩერდა. გადავწყვიტე კიდეც, დავისვა და დაველაპარაკო, საბოლოოდ ვუთხარი ჩემი სათქმელი. იმისაც მეშინია, რო ატეხოს ერთი ამბავი და გახმაურდეს. რაიკომის მდივანი, ოჯახის დანგრევა, აგენტობის დაბრალება ცოლისადმი – გადამიყოლებს ეს ამბავი. არ ვიცი, მირჩია, შენ ხომ ყოველთვის მაძლევდი რჩევებს. დადუმდა კოტე. სოხუმური „მარლბოროს“ წითელი კოლოფი გახსნა. – ის კი არა, თითქო სიტყვა ყელში გაეჩხირა... – შვილზეც ვეჭვიანობ.

მოღრეცილ ტუჩზე მანიკურიანი თითი ნერვიულად გადაისვა მარიამ.

– საეჭვო ბიჭებს დასდევს. არაფერი გასაკვირი არ არის, რო ესეც გადაებირებინოთ. მაგის მეტი კი არაფერი იციან. საკუთარ ოჯახს აგიმხედრებენ თუ მოინდომეს. ოჯახის წევრებს შეაჭმევინებენ შენს თავს. ვერავის ვერ ენდობი. შვილი...

შვილია, გასაგებია, მაგრამ შვილსაც გამოიყენებენ.

– შენ რას იტყვი? – თითქო უკანასკნელ იმედად მკითხავი მარიაღა ჰყავდეს სასოწარკვეთილ რაიოკომის მდივანს. მარია მდუმარე მისჩერებოდა. წამოხტა კოტე, ველარ მოითმინა, ნერვები უარესად გადაენასკვა.

– რისთვის მოგიყვანე, რას დამუნჯდი, შენი თავის გამოდებაღა მაკლია. ლამის თვალებში შეაქცია ყავა. თუ ამბობ რამეს, თქვი, თუ არა და შენი ფეხი აღარ ვნახო. მარია ადგა. სიბერეშერეულ სხეულზე გატკეცილი კაბა შეისწორა და წასვლა დააპირა.

– ამას უყურე ერთი! – უარესად აენთო კოტე.

– აქეთ მომხედე.

მარიას თავი არ აუწევია.

– შენ გეუბნები, აქეთ მოიხედე-მეთქი... – ნიკაპზე ორი თითი ამოსდო და თავი ააწევინა, ფულები აღარ გინდა?

მარიამ თავი გააქნია უარის ნიშნად.

– ნათელმხილველობის უნარი რახანია დავკარგე, ვერაფერს გეტყვი. ძალიან კი მეცოდები, მეცოდები... – თავი დახარა ქალმა. – შენც ხო ადამიანი ხარ, – თქვა და კარისკენ წავიდა. გასვლამდე მოუტრიალდა კოტეს.

– ის კაცი, ფულს რო გთხოვს, მიეცი.

– ვინ კაცი? – თითქო ვიღაც სხვა ადამიანმა იკითხა კოტეს ნაცვლად.

– ანაფორიანი კაცი რო გეცხადება და ტაძრის აღსადგენ ფულს გთხოვს, მიეცი, თუმცა... კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ დუმილი არჩია, კარი გაიხურა და წავიდა.

●

– დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსაააა... პირჯვარს იწერს კოტე და თან აქეთ-იქით გაურბის თვალი, ტაძარში მასთან ერთად რამდენიმე ადამიანია, მაგრამ სახეზე ვერც ერთ მათგანს ვერ არჩევს.

ამბიონზე დგას მოძღვარი და ხელებაპყრობილი ასცქერის გუმბათს.

...დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი... ნეტა თუ მიცნობენ, ნეტა თუ იციან, ვინც ვარ, ხელები უცახცახებს რაიკომის მდი-

ვანს. საიდან მოხვდა აქ, საიდან გაჩნდა. ალბათ, ისევ სიზმარია, იმ ანაფორიანმა კაცმა ქნა ყველაფერი. თუ სიზმარია, ჯანდაბას, როგორმე გათენდება ეს ღამე და გადაივლის ყველაფერი. ხვალ ისევ რაიკომის მდივანი იქნება.

მოძღვარმა ლოცვა შეწყვიტა და გადაიხარხარა.

– ღვთის სიტყვას მდივნობა გიჯობს, კოტე? ნუ გეშინია, არავინ დაგაბეზღებს, არავინ ჩაიტანს ამბავს. ხო არ ჩაიტანთ? კოტეს სიახლოვეს მყოფ მწირველებს მიმართა მოძღვარმა, ახლა ყველას სახე დაინახა კოტემ, კელაპტრების შუქზე სათითაოდ დააკვირდა... ყველა იღიმებოდა.

– ხომ არავინ დააბეზღებს კოტეს. – ისევ გადაიხარხარა მოძღვარმა და რაიკომის მდივანს მიუახლოვდა.

– აჰა, ეს კელაპტარი გამომართვი.

კოტეს თითქო მუხლებში ძალა წაერთვა, მოწყვეტილი დაეცა და აფართხალდა.

– მიშველე, მამაო, მიშველე, – დუჟი წამოუვიდა. – პირჯვარსაც გადავიწერ, ეკლესიასაც აღვადგენ. ყველაფერს გავაკეთებ. არა გჯერა, მამაო? – მოძღვარმა ხელი შეახო და ძალა დაუბრუნდა კოტეს.

თვალი გაახილა, ოთახს მოავლო მზერა. საშინელი ტკივილი იგრძნო, თითქო დალეწილი ჰქონდა სხეული. თავის აწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. მკერდზე თავმომწვარი კელაპტარი ედო.

– მამაო! – დაიჩურჩულა კოტემ.

– მამაო! – უფრო ხმამაღლა წარმოსთქვა. კვლავ არავინ დაპასუხებია.

– მამაო! – ძალ-ღონე მოიკრიბა, ისევ სცადა თავის აწევა, მაგრამ თითქო კისერი ჰქონდა გადამსხვრეული.

– მამაოო! – დაიღრიალა და დალეწილ სხეულში ენით უთქმელმა ტკივილმა დაუარა.

– მიშველეთ, მიშველეთ! – განწირული ხმით ღრიალებდა.

– კოტე, კოტე, კოტე! – თავზე დაადგა ცოლი. – შემომხედე კოტე, შემომხედე კოტე, – კოტემ წამიერად გაახილა თვალი და თავზე წარმომდგარ ცოლს, რომლის სახეს ბუნდოვნად ხედავდა, მომაკვდავის მზერით მიაშტერდა.

– კოტე, კოტე... მე ვარ, შემომხედე. შემომხედე, – ლოყები მოუსრისა ცოლმა.

– მამაომ გამოგგზავნა?

– ვინ მამაომ, მე ვარ, შემომხედე, შემომხედე!

– სად არის ის კაცი?

– ვინ კაცი, – ხმა აუკანკალდა ქალს.

– დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა, – ნიკაპი უთრთოდა.

– თუმცა, კი არ დამთავრდა, ალბათ, დაიწყო. დაიწყო თუ დამთავრდა.

– ნუ გეშინია, კოტე...

– არ მეშინია... არ მეშინია... ტაძარი უნდა აღვადგინოთ.

– კელაპტარს ხედავ?

ცოლი თვალებს არ უჯერებდა.

– ტაძრიდან წამოვიღე, მამაომ მომცა, ტაძარი უნდა აღვადგინოთ, გესმის?

ცოლი ქვითინებდა. კოტეს მეუღლის ცრემლები სახეზე დასდიოდა.

– მე თვითონვე ვეტყვი ყველას. აღარ მინდა თანამდებობა. უფრო შემიყვარდებით ყველა. უფრო დაგინახავთ, ეხლა ვერ გხედავ კარგად, შემიყვარდებით, შემიყვარდებით...

●

– ტაძართან კახაბერი დაგხვდება, – მამაოს ხმა ჩაესმის კოტეს, თითქო თვალები დაეწება, ვერ ახელს.

– კოტე!

ხელებს აფათურებს სიბნელეში. წყვდიადია ირგვლივ, ვერაფერს ხედავს რაიკომის მდივანი.

– აქ ვარ, კოტე.

– ვერ გხედავ მამაო, ვერ გხედავ... – ლამის ატირდეს კაცი, უაზროდ იქნევს ხელებს, ვითომ წინ მიიწევს, მაგრამ მთვრალი კაცივით ბარბაცებს წყვდიადში.

– მოვა დრო და დამინახავ.

– ეხლა ვერა? – სასოწარკვეთილი ხმა აქვს კოტეს.

– კახაბერი გელოდება. მორჩილია კახაბერი. თვითონაც გიცნობს, რო მიხვალ.

– მას გადაეცი... როდის წახვალ?

კოტე არც დაფიქრებულა.

– ეხლავე წავალ, – ანაფორიანმა ჯვარი გადასახა. – დიდ საქმეს აკეთებ და ღმერთი შეგეწევა. ეს ტაძარი თქვენ დაანგრიეთ და მადლობა ღმერთს, შენი ხელით აშენდება.

– კახაბერი... – ჩაიბუტბუტა კოტემ.

– ჰო, კახაბერი. გიცნობს კახაბერი, არ უნახიხარ, მაგრამ გიცნობს.

– მიცნობს, მიცნობს, – ბუტბუტებს კოტე. – კახაბერი, კახაბერი...

გზას გაუდგა კოტე, მიდის ბარბაცით, ფულით სავსე პარკი ამოუდია იღლიაში. ჩულუნ წყვდიადში მიდის და ისეთი შეგრძნება აქვს, რაღაც საშინელი ტვირთი ადევს მხრებზე, ველარ ერევა, თავს ძალას ატანს. როგორი მძიმე ყოფილა ცხოვრება, როგორი მძიმე ყოფილა ფული, დედამიწაზე მძიმე, ჭახაჭუხი გააქვს ძვლებს, რამხელა ტვირთის აღება შეგძლებია, კოტე, – ჩაქირქილებს უჩინარი. – ეგეც შენი რაიკომის მდივნობა, ეგეც შენი მილიონები... აქამდე შენთან მოჰქონდათ, ეხლა შენ მიგაქვს, თან სად მიგაქვს, ეს რომ შენთვის ვინმეს გაებედა, ციმბირს აქეთ დაატოვებინებდი, მაგრამ ხომ ხედავ, რა მამაძაღლია ცხოვრება. რაიკომის მდივანი სიბნელეში ტყეღრეში მიდიხარ, მიბანცალებ და რაც კი ოდესმე ფული გიშოვია, ერთ ახალგაზრდა მორჩილს უნდა ჩააბარო. მერე ამ ფულით ტაძარს აღადგენენ, მერე იტყვიან, რო ეს ტაძარი რაიკომის ყოფილმა მდივანმა კოტემ აღადგინაო.

შეჩერდა კოტე, სული მოითქვა. უფრო და უფრო გამუქდა, ჩაშავდა ყველაფერი, გაკუნაპეტდა ისედაც ყურჭთვალა ღამე. წვიმის ვეება წვეთი დაეცა კოტეს სახეზე, მაგრამ თითქო ვერც იგრძნო. აქეთ-იქით უაზროდ გააცეცა თვალები.

– აქეთ ვარ, კოტე, აქეთ.

ვერაფერს ხედავდა.

– ვინა ხარ, ეშმაკი ხარ?

ისეთი ხმით გადაიხარხარა უჩინარმა, მის ხარხარზე თითქო ყველაფერი შეზანზარდა.

– ეშმაკიო... ვინ არის ეშმაკი, ეშმაკები თქვენ ხართ და სხვაგან სად ეძებთ. თქვენვე მოუწყვეთ ერთმანეთს ჯოჯოხეთი. შენ თვითონ ხარ შენი თავის ეშმაკი.

ღრმად ჩაისუნთქა კოტემ, ფუთა ისევ იღლიაში ამოიდო და გზა გააგრძელა.

– ჰე, ჰე, ჰეე, კოტეე... გგონია რო ამით გადარჩები? ქრთამი მიგაქვს ღმერთთან კოტე? ქრთამი... – ნაბიჯებს აუჩქარა კოტემ და ვეება წვეთები წამოუვიდა, თითქო ყინულის ნატეხები დაეყარა სახეზე, ქარი ამოქროლდა, ფულით სავსე ფუთა უფრო გულმოდგინედ ამოიდო, წვიმის შოლტი გადაუჭირა სახეზე ქარმა. ცოტა ხანში კოკისპირულად დაასხა, ერთიორჯერ ისეთი ელვა გაკრთა ცაზე, მთა და ბარი განათდა, გორაკი სადაც ტაძარი იდგა, კანთიელად გამოჩდა.

ძალ-ღონე მოიკრიბა კოტემ და გზა გააგრძელა. გალორთხილი მიაბიჯებდა თავსხმაში, ერთი-ორჯერ ფეხი დაუცურდა და წაემხო, ტალახში ამოიგანგლა, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა. თითქო სხვისი სხეულით მიაბიჯებდა. ისეთი გრგვინვა გაისმა, თითქო ჩამოვარდნილმა მეხმა შუაზე გახეთქა დედამიწა, წურწურით გასდიოდა წყალი, სველ იღლიაში მდივნობის დროს ნაშოვნ ფულს საგულდაგულოდ მალავდა. თითქო ვეება ლოდს მიათრევდა და, სადაც იყო, მიიტანდა დანიშნილ ალაგზე, მიიტანდა და გათავისუფლდებოდა, ლოდისგან გათავისუფლდებოდა. მთელი ცხოვრება ამ ლოდს მიათრევდა, მთელი ცხოვრება იმ ლოდის თრევაში დაეხარჯა და მთავრდებოდა ეხლა ეს ტანჯვა.

●

– კახაბერი ხარ? – აკანკალებული ხელით შეეხო.

– კახაბერი ვარ, – ასანთი გაჰკრა და ჭრაქი აანთო ტანმაღალმა მორჩილმა. ჭრაქის შუქზე მისი გრძელი, შავ წვერში შემალული, ყვრიმალებამოყრილი, გამხდარი, ნამარხულევი სახე შეეფეთა კოტეს. არამიწიერი თვალებით უყურებდა ტალახში ამოგანგლულ, წვიმაში გალუმპულ რაიკო-

მის მდივანს და გასაცოდავებული კაცის ხილვაზე სიბრალული გაუკრთა.

– მამაო...

– ვიცი...

იქვე მაგიდაზე დადო წვიმით გაჟღენთილი ფუთა.

– შეგიწიროს უფალმა, ბატონო კოტე!

●

ბებერი ძაღლივით სიკვდილის მოახლოვება ვიგრძენი. როგორც ყველა ადამიანს, გაფიქრებაც კი მზარავდა, როგორ მოვკვდებოდი. რაც უფრო შორს ვიყავი სიკვდილთან, უფრო მეძნელებოდა, უფრო მეტი ტკივილი ახლდა ამ საშინელ ფიქრს. ეხლა უფრო მეადვილება. ცხვარი გიადვილებს სიკვდილს, ფეხზე რო გაბია.

– „გახსოვს ის ღამე კოტე? წვიმასა და ქარში რო ამოხვედი“.

მახსოვს, რა დამავიწყებს. დიდება უფალს და მადლობა უფალს ყველაფრისათვის. კოტემ პირჯვარი გადაიწერა.

ბატკანმა დაიბღავლა, მაგრამ ამჯერად აღარ მოსჩვენებია, კოტეს გვერდით, სალოცავის გზაზე, ორი ახალგაზრდა კაცი მიუყვებოდა აღმართს. ერთს ბატკანი მოეგდო მხრებზე, რომელიც გაურკვეველი მზერით იყურებოდა დაბლობში და ბღაოდა. ჯოხზე ჩამოყრდნობილი კოტე მღიმარი თვალებით მიშტერებოდა ბატკანს.

ცოტა ხანში მლოცველებით გაივსო გზა. მობღაოდა შესაწირი. ნისლი შემოეწმინდა მთას და ციდან ღვთის ხომალდივით გამოცურდა ტაძარი.

პირჯვარს იწერდნენ მლოცველები.

„აი იმ კაცმა, დიდი საქმე გააკეთა, მიწისძვრამ ეს ტაძარი მიწასთან გაასწორა. ამბობენ, სასულიერო პირებიც დაიღუპნენო. მე ასე გამიგია ყოველ შემთხვევაში. კომუნისტების დროს ეკლესიის აღდგენა ხუმრობა საქმე არ იყო. კარგა ხანია, რაც ის კაცი გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს, ბუნებაში არაფერი იკარგება, შვილო, არაფერი. ღმერთი ყველაფერს ხედავს“.

შუახნის ჭაღარა კაცი შვილიშვილთან ერთად მიუყვება სალოცავის გზას და „გარდაცვლილ“ კოტეზე ესაუბრება. კოტეც მიუყვება აღმართს, ცოტაღა დარჩა და...

დიდი ხუთშაბათი,
18 აპრილი, იგრიკა
2016, დიცი

ადამი(ა)ნგელოზი

მე ხო სულ უხეირო როლში ვარ. თან არა მთავრდება ეს როლი – სცენა ჭუჭყიანია. მტვერი, მტვერი, ოხ, ოხ, ოხ, თფუ... ყელი რო ჩაგეწვება, ხო გრძნობ მტვრის გემოს პირი ხო ამოგევსო, კნაწაკნუწი გააქვს მიწის თუ ქვიშის ნამცეცებს...

მერე დაბლა მიიწევს, ფილტვებისკენ გარბის მტვერი. სული გეხუთება, ხო გრძნობ მტვრის გემოს, გამოტყდი, გამოტყდი-მეთქი. როლში ხარ, უხეირო როლში. ოხ, ამ სცენისა რა ვთქვა, ფეხები ვარდება დაბლა, დამპალ ფიცრებზე ვდგავარ, დამპალ ფიცრებზე... მატლებს თავები ამოუყვიათ, იტყვი, რო ფიცრების გამოხვრას მორჩნენ და ახლა მე დამესევიან, დამესევიან და რამდენიმე წამში საკუთარ გვამს მაღლიდან დავუწყებ მზერას, როგორ დაფუთფუთებენ მატლები, ჭამენ, პირს იტკბარუნებენ ჩემი ხორცით, ამ დასაწველი ხორცით, არადა, როგორ მიყვარდა, როგორა... ხორცი მეგონა ყველაფერი, ხორცი. მეგონა, სულ ასეთი უჭკნობი და ქორფა იქნებოდა. ამ დროს ბნელში ისხდნენ ჩემი მატლები და ელოდნენ როლის დასრულებას...

მთავრდება ეს უხეირო როლი, მთავრდება, თითქო არც დაწყებულა, ისე მთავრდება... რო არ დაიწყება და ისე დამთავრდება. წავა ყველაფერი, აბა, რა გეგონა ან სცენაზე უნდა გამიმართლოს, ან რეჟისორში, ან მაყურებელში, ბოლობოლო დარბაზი ხო მაინც უნდა იყოს განათებული... რა დარბაზი, რა სცენა, ვინ მომცა მაგის იღბალი... ჰო იღბალი,

აკი, არ არსებობსო. რა ვიცი, აბა, არ არსებობს? ან ის ვინ გაიგო, არსებობს ან ის ვინ დაასკვნა, რო არ არსებობს. დავუშვათ, რო არსებობს, ყოველ შემთხვევაში, რაღაცა ხოა ბედის წიგნივით, აი, წინასწარ რო ჩაგიწერა უხილავმა არსთა გამრიგემ შენი აღმართ-დაღმართის წერტილ-მძიმეები, ძახილის ნიშნები, კითხვის ნიშნები და მრავალწერტილები... როგორ

გავუტიე, როგორ მიწყრება ღმერთი. რა ქნას, იმანაც რამდენ ჩემნაირს უნდა გაუძლოს, ჩვენი როლები კი მთავრდება, სრულდება ჩვენი ტანჯვა, მაგრამ მისი ტანჯვა რო არ სრულდება, ვჩნდებით და ვჩნდებით... მივდივართ და მივდივართ. ეე, თიხა ბევრია, ღმერთიც არის და გვიბერავს და გვიბერავს სულს. ქარი მისი სულია, აბა, რა არის. ასე ვუნდივართ, ეს ტანჯვა, ჩვენი ყოფნით, ამქვეყნად მოსვლით გამოწვეული წამება არ ბეზრდება და ამიტომაც არის კაცობრიობა და, აბა, ვინ უნდა იმარჩიელოს ახლა ამ რაღაცების დასასრული, ვინ რა იცის, როდის დაიღლება ამ ყველაფრისაგან ის დალოცვილი, როდის დაამთქნარებს (მაპატიე, უფალო!) და ფაფუ დედამიწა ჩადებს შურდულში რიყის კენჭივით და უყარე კაკალი.

ირყევა სცენა და მეც ვყანყალებ. ეეე, ვყვირივარ... ცარიელ, ბნელ დარბაზს ასკდება უხეირო მსახიობის ყვირილი. სად არი რეჟისორი... რეჟისორი კი არა, ბებიაშენისამ, სამეფო თეატრიდან ჩამოვიდოდნენ ახლა შენი გულისთვის. ამას უყურე, რამხელა წარმოდგენა ჰქონია თავის თავზე.

ეგ რო ეგრეა, არ იცი?

– რა ვიცი, – მეკითხება დამტვერილ ფარდებს უკან დამალული ორეული თუ ვიღაც ჩემი ფეხები.

– რა და ყველას განსაკუთრებული ჰგონია თავი.

– ვაი შენს პატრონს!

– და მერე ამაში რა არის ცუდი.

– რაში, ბიჭო, ხიბლში რო ხართ, საკუთარ თავს რო ვერ ხედავთ, უფალს ლამის რო შეეჯიბროთ და ბრძოლა გამოუცხადოთ?

– არა, არა, უფალი რა შუაშია. მე იმას ვგულისხმობ, რო რაღაცნაირად თავისი ეშხი აქვს ცხოვრებას და საინტერესოა, რო ისეთები ვართ, როგორებიც ვართ. თუნდაც ის, რო გვაქვს ჩვენი ჭეშმარიტება და გადამეტებული წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარ „მეზე“. ასეთი წარმოდგენაც ხომ მან მოგვცა, ვინც შეგვქმნა და ყველას ჩვენ ჩვენი ჭეშმარიტება ჩამოგვირიგა. შიშვლები რა სანახავები ვიქნებოდით...

– რა შიშვლები? – მოგუდული ხმა თითქო ფარდებში ჩაინთქა.

– რა შიშვლები და ყველას რო ერთი ჭეშმარიტება გვქონოდა და სინამდვილეში დაგვენახა ჩვენი თავები ისეთები, როგორებიც ვართ, დედამიწაზე დასრულდებოდა ყველაფერი.

– რაებს ბოდიალობ, – ისევ შეირხა ფარდა.

– ვერ აგიხსენი კარგად... – ვიქექავ კეფას – ფილოსოფოსი მაინც ვყოფილიყავი, ამის დედა ვატირე, ილბალი არ გინდა? ჩამოვარაკრაკებდი ფილოსოფოსთა ენაზე იმას, რასაც ახლა ვფიქრობ და განვიცდი, მაგრამ...

– აი, რა ვიგულისხმე იცი? ყველას ჩვენ ჩვენი ჭეშმარიტება რო გვაქვს, ხო ვართ სიყალბეში.

– მერე.

– ამით იქმნება დედამიწა და ზეცაც იმიტომ არსებობს, რო მერე ამ ჩვენი ჭეშმარიტებიდან ერთ დიდ ჭეშმარიტებაში გადავინაცვლოთ. თუ ეს სიყალბე არ იქნება, თუ ეს ჩვენ ჩვენი ჭეშმარიტებები არ გვექნება, მაშინ ზეცის არსებობას რაღა აზრი აქვს. აქვე ჩამოვიდოდა უფალი და იცხოვრებდა ამ გათახსირებულ პლანეტაზე კახპა ქალივით ფერუმარილებით რო მალავს თავის სიჩათლახეებს.

– გარეკე...

– შენ რო არ მითხრა, ეგ მე არ ვიცი. აბა, რა მინდა აქ, შუა სცენაზე, დამპალ სცენაზე, მიტოვებულ თეატრში მარ-

ტოდმარტოს, რეჟისორის მოლოდინში ცარიელი დარბაზი გახსნილ სამარესავით რო მომჩერებია და ერთი-ორი ტაშის დამკვრელიც არ ზის, ანუ სამარის პირზე დევს ჩემი ცხედარი და მიწის მიმყრელი არავინ ჩანს. ერთი-ორი მაინც გამოჩენილიყო ვინმე. დავიჯერო, ჩემნაირ უხეირო მსახიობს, ერთი-ორი უგემოვნო, გზადაკარგული მაყურებელი მაინც არ ჰყავს?! აკი ალხანას ჩალხანა არ დაელევაო. აგერა ვარ ალხანა და სად ჯანდაბაში არიან ჩემი ჩალხანები.

●

შუაღამისას გამომეცხადა. მძინარე წამოვვარდი. ჯერ თითქო ადუღებული წყალი დამასხეს სახეზე, მიშველეეთ!.. მიშველეეთ!.. მეგონა, ერთიანად დამეფუფქა სახე, ერთიანად გადამეცალა ჩახარშული ხორცი და ცარიელი თავის ქალა დარჩა. უთვალო, უცხვირპირო... მიშველეეთ!.. ვინ არის ჩემი მშველელი, კუნაპეტ ღამეს შემოუჭვდია მიწისთვის ხელები, მილეული მთვარე ყურში უძვრება ღამეს, თითქო აღიზიანებს, აბრაზებს, მაგრამ ძალაგამოცდლილი ღამის მნათობის შეხებას ვერცა გრძნობს ყურჭთვალა სიბნელე – ეს ჩემი ცოდვით სავსე. სხვისთვის უფრო ადვილად თენდება, ალბათ, სხვისთვის უცბათ თავდება ღამის აჩრდილთა როკვა, ჩემთვის... ჩემთვის ჯოჯოხეთია ეს ოხერი. თან ყოველი ღამე უმთვარო. ალბათ, სხვებისთვის არის მთვარე, რა ვიცი. მთვარეშიც არ გამიმართლა. ცოტაც და გათენდება, ცოტაც და წავა, ეს შავტუხა გოლიათი.

ამასობაში „დამასხეს“ ადუღებული წყალი და წამოვვარდი, ვაიმე!.. აწკავწკავდა ჩემს განწირულ ყვირილზე ეს საცოდავი მეძებარი, რომელსაც მაინცდამაინც ჩემი პატრონობა არგუნა განგებამ. დაფეთებული მიაწყდა ბუნაგს.

წვამ თითქო გამიარა. ხელი მივისვმოვისვი სახეზე. ხორცი რო ვიგრძენი, ბავშვივით დავიწყე ცქმუტვა. ალბათ, სიზმარში ვიღაცამ გადამასხა ადუღებული წყალი. თანდათან დავწყნარდი, გულიც ჩამიმშვიდდა, ფეხები აღარ მითრთოდა, მაძებარიც თითქო მე მელოდა, ისიც ხანდახან თუ წამოიწკმუტუნებდა და ძაღლური ცნობისწადილით სავსე ძილგამფრთხალი თვალები გამოურბოდა ჩემი სარკმლისკენ.

თვალები გავახილე და უცნაური ნათელი შემოიჭრა ჩემს მზერაში, თითქო ჩამფერფლა. მეგონა, რო დავკარგე მხედველობა, უსინათლო დავრჩი, თუმცა ისედაც უსინათლო არ ვიყავი? ნათლის ნამცეცები, თუ ნამსხვრევები დამრჩა...

ვიღაც შემეხო და მერე ფრთების ფართქუნის ბგერები ჩამესმა, თითქო სიო მომელამუნა. თვალის ჩინიც დამიბრუნდა და სხეულიც ისევ ვიგრძენი.

– ცოცხალი ხარ, ცოცხალი... – ვერავის ხმას ვერ მივამსგავსე და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გავიგონებდი ასეთ ხმას. ისევ ვიგრძენი შეხება.

– გაახილე თვალები...

დავემორჩილე. მთელი სხეული ამ საოცარი არსების ხმით აივსო.

– ღმერთო! ღმერთო! შემეშინდა. რაც კი ცხოვრებაში ბავშვობიდან დღემდე შიში მქონდა განცდილი, ყველას ერთად აღემატებოდა.

– კანკალებს სხეული... ღმერთო!

ნათლის თითი დამადო ბაგეზე და თითქო შეხორცდა ბგერების გამოქვაბული. მაგრძნობინა, რო ღმერთი აღარ უნდა მეხსენებინა.

ნელ-ნელა, მძიმე-მძიმედ, როგორც მომაკვდავმა, ისე შევხედე. მზის სახე ჰქონდა, ვეება ფრთებიდან ნათლის სვეტები ეშვებოდა. უნებურად ისეთი განცდა გამიჩნდა, იტყოდი, რაც კი ცხოვრებაში სირცხვილის შეგრძნება მქონია, ყველა გაერთიანდა და ამ დიდმა სირცხვილმა ერთად დაბზარა. ასე მეგონა, თიხის სხეული მქონდა და როგორც უხეირო მეთუნის ნახელავი ისე სკდებოდა და იშლებოდა ჩემი თიხის ტანი.

– შენი მფარველი ანგელოზი, შენი მფარველი, – ჩამჩურჩულა ვიღაცამ.

ეს ხმა მეცნო. მეცნო... კი ის იყო, მი-

ტოვებულ თეატრში, დამპალ სცენაზე რო ვიდექი, იქ მესმოდა ეს ხმა, დამტვერილი ფარდის უკან იდგა ვიღაც უჩინარი და იქიდან მესაუბრებოდა. „ჭეშმარიტებებზე“ რო ვიკამათეთ, ჩემს ხმას ჰგავდა. ჩემი ორეულიც თან მოჰყვა მფარველ ანგელოზს.

მოვიდა ჟამი. ხომ მიგრძნობდა გული, დამთავრდა როლი. მიტოვებული თეატრი, ძველი სცენა წინ უძღოდა ამ ამბავს. შემთხვევით არაფერი ხდება. ძველი სამოსივით გამხდის სხეულს ეს სპეტაკი არსება, რომლის არსებობაშიც სულ მეპარებოდა ეჭვი და... თურმე არსებულა. თითქო უკვე ვხედავ. სულს უჭირს სამოსის გახდა, უჭირს გაშიშვლება, ქვრივი ქალივით ეთაკილება, შიშველი ჯერ არავის დაუნახავს, პატრონის გარდა, ახლა კი სულ შიშველი დარჩება და ყველა დაინახავს ისეთს, როგორიც არის. მარტო სიმორცხვე არ ახლავს... ტკივილი, ტკივილი გაუსაძლისი. თითქო სხეულის ყველა კაპილარს ერთად წყვეტენ... სად წავალ მერე... ეს მარტო ამან იცის. ამ ნათებამ გვერდით რო მიზის. მფარველი ანგელოზი, სიკვდილი... არ მჯეროდა რაღაცების და სულ იმის ფიქრში ვიყავი რო ერთ მშვენიერ დღეს დავმთავრდებოდი, სამუდამოდ. რა სული, რის სული... ყოფილა... აი, ახლა რა ვქნა, რამდენი რამ მომეკითხება და სულ ტანჯვა მერე... არაუშავს, არაუშავს, დამთავრებას ტანჯვა ჯობია, ტანჯვაც სიცოცხლეა. სიცოცხლე იმიტომაც ფასობს, რო ტანჯვაც უნდა ახლდეს. დამთავრება სიკვდილია. ყოფილა...

– ჯერ არ დამდგარა ჟამი... ჯერ აქ იქნები. როცა წასაყვანად მოვალ, სხვანაირს მნახავ. ბგერები შემოდის ჩემში.

„აბა, ახლა“... – გავიფიქრე.

– ახლა იმისთვის მოვედი, რომ... ვერ ამოიკითხავდი ჩემს ფიქრებს თუ რა.

– ძველ თეატრში რომ იდექი სცენაზე და საუბრობდი როლზე, მე მგონი, სწორად მახსოვს. მარტოდმარტო იდექი.

„კი“, – გავიფიქრე.

მეთანხმები, – ვიცი. იქ საუბრობდი როლზე. რაღაც ჭეშმარიტებებზე. არ უნდა მესაუბრა. უმწეოდ ვფიქრობ.

– არა, მაგას არ ვგულისმობ, კარგია ადამიანი როცა ძიებაშია, ძიებამ შეიძლება ის დაწებებული თვალიც აუხილოს. თვალი ხომ დაგწებებია ძილით. დილით რომ ვერ ახელ. ისე გაქვთ ადამიანებს გონების თვალი დაწებებული და ვერ გრძნობთ იმ თვალის არსებობას. ძიებამ შეიძლება ის დაწებებული თვალის ახელამდე მიიყვანოს ადამიანი და ჩვენც ეს გვინდა...

ვიფიქრე, ვიფიქრე და რამდენი ადამიანი არ ჩაუბარებია ჩემთვის უფალს, რამდენი არსებისთვის მიდევნია მთელი ცხოვრება და ასეთი რამ არასოდეს გამიფიქრებია. რაღაცნაირად მომინდა, რომ ხილულად დაგნახვებოდი, იმიტომ კი არა, რომ ჩემი არსებობა დამემტკიცებინა შენთვის, ახლოს მენახე ისეთი, როგორიც ხარ. ბოლოს და ბოლოს ჩვენც ხომ თქვენთვის ვარსებობთ. შენ იქ, სცენაზე თქვი, რომ ეს ჭეშმარიტებები რომ არ იყოს, იმ ზეციურ ჭეშმარიტებასაც აზრი დაეკარგებოდაო. მინდა, რომ დაგეთანხმო. რაღაც ან ვიღაც, რაღაცისთვის ან ვიღაცისთვის არსებობს. მე შენზე მეტი გონება მაქვს, იმიტომ რომ შენ ადამიანი ხარ, მაგრამ ვერც შენი და ვერც ჩემი გონება ამ ყველაფერს ვერ ახსნის. რატომ შეიქმნა ასე, რა მიზეზით. ეს მარტო შემოქმედმა იცის, კანონზომიერებები მან დაადგინა და რაღაც ადამიანური ან თუნდაც ანგელოზური ლოგიკა ამას ვერ ახსნის და არც უნდა ვეწვალოთ ამისთვის.

მე სხვა სამყაროდან ვარ, დრო ჩემთვის არ არსებობს, მე უფლის შექმნილ ადამიანებს ვმფარველობ. აღარ მოვყვები, რას ნიშნავს ეს მფარველობა და რა ტანჯვის მომტანია. ჩვენ, თქვენსავით ტანჯვისთვის გავჩნდით, მაგრამ ამ ტანჯვით ვნეტარებდით. ადამიანები ცხოვრებისთვის ეტანჯებიან. უფრო სწორად ადამიანებს ცხოვრება გტანჯავთ, ჩვენ კი თქვენ გვტანჯავთ და არის ასე დაუსრულებლად. თქვენც ნეტარებთ ტანჯვის დროს, იმიტომ რომ ზეცა გელოდებათ.

ჩვენც ვნეტარებთ, იმიტომ რომ უფალს ვემსახურებით და ფრენა შეგვიძლია.

თუ გინდა, მცირე ხნით გავცვალოთ როლები.

ვეღარაფერს ვიგებ, ტვინში თითქო ქარბუქია. კორიანტელია, ყვირილი მინდა, მაგრამ ვის მივმართო, მშველელი აქვე მიზის. აბა, რა ვქნა. გაფიქრებაც არ მინდა, ყველაფერს ხვდება.

– მე გავხდები მცირე ხნით „შენ“.

ისე დავპატარავდი, ასე მეგონა, რო გავქრებოდი თოვლის ფიფქივით (თოვლის ფიფქსაც რო შევადარე ჩემი თავი). არ გინდა, რომ მცირე ხნით ადამიანთ მფარველ ანგელოზად გადაიქცე? ფრთები გამოგესხმება. უსხეულო იქნები... ცა გახდება შენი სამყოფელი. იფრენ, იფრენ, შენ არ იცი ფრენა რა არის, ოღონდ მცირე ხნით, სულ მცირე ხნით და ვერც იმას შეგპირდები, რომ უზენაესს ნახავ. გამიწყრებიან ამ საქციელზე, მაგრამ ავიტან საყვედურს. ამდენი რამ ამიტანია შენ გამო და ერთ საყვედურსაც ავიტან, თუმცა, არ ვიცი... როგორ სასჯელს დამადებენ. რაც ანგელოზი და ადამიანი არსებობს, პირველად ხდება ასეთი რამ. მინდა, დაგანახო შენი თავი. მაღლიდან დაგანახო. ვინ ხარ, რა ხარ. მერე იწუწუნე ძველ თეატრში, როგორი როლი გერგო. უცნაური რამ იქნება.

მეც აქ ვიქნები, არსად წავალ... მცირე ხანს გავჩერდები. შენი არსება ორად გაიყოფა – ანგელოზად და ადამიანად... შენში მყოფი კეთილი ძალა ფრთოსან ანგელოზად იქცევა და დროებით შენს მფარველობას მას დავუთმობ. აი, მას მინდა დავანახო დედამიწაზე მყოფი „შენ“.

თვალები დავხუჭე. თითქო შუაზე გაირღვა ჩემი დაჩიავებული სხეული. რაღაც სიმსუბუქე ვიგრძენი. თვალი გავახილე, აღარ ჩანს ჩემი მფარველი ანგელოზი. ხელით მინდა შევეხო ჩემს სხეულს, მაგრამ, ფაფუ... სადღა მაქვს ხელი, ვეება ფრთებით ვკიდივარ ცაში. იქვე, ჩემ გვერდით, ღრუბელში, დედიშობილა კოტრიალობს ეს უსირცხვილო მთვარე. ვარსკვლავებს ბებერი კაცებივით ეხუჭებათ თვალები.

ჰე, ჰე, ჰეე, სულ ცაა, აქეთაც, იქითაც, დაბლაც და მაღლაც. დავიქნიე ფრთები და თვალის დახამხამებაში გავიჭერი წინ. მივქრივარ, მივაპობ სივრცეს, რამხელა ფრთები მაქვს, მაგრამ ისეთი თეთრი და კაშკაშა არ არის, როგორიც ჩემს მფარველ ანგელოზს ჰქონდა, ეს ხომ ადამიანგელოზის ფრთებია.

ადამიანგელოზი რაღაა – რას არ მოიგონებს ეს უბედურ დღეზე გაჩენილი კაცი.

– დედამიწაა! – დავიყვირე, ვეშვები მეტეორივით, თავიდან ხო ერთი ბენწო ჩანდა, თანდათან ვუახლოვდები და დიდდება ცოდვის ბურთი. ოკეანეები, ხმელეთი, ტრიალებს ცოდვის ბურთი, მივქრივარ. გადავუქროლე თვალუწვდენელ წყლის სივრცეს. მთები... რა ლამაზია ეს ოხერი. მე მგონი, ცაზე ლამაზია. ჩემმა (მფარველმა ანგელოზმა არ გამიგოს) აგერ! რამხელა დავიყვირე – გუგუნი დაიწყეს მთებმა. თითქო ქარიშხალმა გადაუარა, ალბათ, რამდენიმე ალაგზე ერთი-ორი ხე ფესვებიანად მოგლიჯა ჩემმა ხმამ.

აგერ ჩემი თავი. ადამიანგელოზის მეორე ნაწილი. სად ჯანდაბაში მიდის ნეტა. ეე, ვუყვირი, არ ესმის ჩემი, ვერც მხედავს. ეეეე, დაინგრა ჩემს ხმაზე ყველაფერი. ამას მაინც არაფერი ესმის. მთვრალი მიტოპაობს სოფლის ორღობის გუბეებში. ნეტაი შენც... ანგელოზი კი არა...

●

– დავიღალე რაა! დავიღალე!

მაინც არ ესმის. წელზემოთ გახდილი აივანზე გადაყუდებულა, სიგარეტს მიხრჩოლებს და ფიქრობს ერთ კახპაზე, გუშინ რო ეძალავა, მერე კინაღამ შემოაკვდა ცემაში.

– მოიხედე რა! კაცი არა ხარ?

არ ესმის და ვერც ამჩნევს.

ახლა გუშინწინდელ ჩხუბზე ფიქრობს, მეზობლის ბიჭს რო დანა ჩაარტყეს და

იქიდან ისე „გამოძვრა“, ვითომც არაფერი.

ეს ვინა ყოფილხარ, კაცო!

მამიდაშენს მაინც როგორ მოპარე ბეჭედი... ვიღაც მეზობლის ბიჭს უჩივლა. დაატარებენ დაკითხვებზე იმ უბედურ დღეზე გაჩენილს.

ფეხები თითქო მემტვრევა, ცოტაც და მკვდარი ფრინველივით დავენარცხები მიწაზე. სიგარეტის ნამწვი გადაისროლა. გაფოთქილ იასამანს დაეცა.

მერე გადააფურთხა და ოთახში შემობრუნდა. წამიერად შედგა. თითქო თავის ნაწილის არსებობას გრძნობდა, რაღაც იგუმანა? იბორიალა ოთახში, იბორიალა, მერე პერანგი გადაიცვა, დედის მიერ გაკეთებულ ხატების კუთხეს ისე ჩაუარა, ზედაც არ შეუხედავს და კიბეზე დაეშვა.

●

– აღარ მინდა მფარველი ანგელოზობა...

– აღარ მინდა მფარველი...

– აღარ მინდა...

– აღარ...

ვყვირი, ვგმინავ...

ფეხი წამარტყა ვიღაცამ.

აღარ მინდა მფარველი ანგელოზობ რატო დამღალე, შენი...

– ვინა ხარ, კაცო? – ფეხი წამარტყა ისევ ვიღაცამ, უფრო ღონივრად, უფრო დაუნდობლად.

– ვინა ხარ-მეთქი? – დამიცაცხანა.

თვალები გამოვახილე. მბჟუტავი სინათლე მომხვდა. თანდათან გადავიდა ბურუსი. გაკანთიელდა იქაურობა. წელს ზემოთ გახდილი ვეგდე ძველი თეატრის დამპალ სცენაზე. თავზე ვიღაც მუშა მადგა. იქნებოდა ასე ორმოცამდე, ბრეზენტის სპეცსამოსი ეცვა. გაშტერებული დამცქეროდა. მივხვდი, რო ვიღაც უსახლკარო, მაწანწალა ლოთი ვეგონე.

– ადე, ადე!

ისევ მივჩერებოდი. დამთავრდა როლი. ვბუტბუტებდი...

– რა როლი, ადე-მეთქი!

– ხო, თეატრია? – მიკნავლებული ხმით ვკითხე.

– ადე-მეთქი, არ გეყურება?

– ხო, თეატრია?

– თეატრი ადრე იყო, ახლა სავაჭრო ცენტრი აშენდება.

როგორი სასტიკი მუშაა, თვითონაც უმწეოა, მაგრამ თავისზე უმწეოს რო მხედავს, იმიტომაც წამარტყა ჭვინტი ასე გამეტებით.

დადგება ეხლა და დაშლის ამ დამპალ სცენას, თუმცა მაინც ტყუილა არ ვიდექი?

9 აპნისი, 2016

დიცი

თორნიკე ჭელიძე

●

მხოლოდ მტვერია
მარადიული,
ხოლო საგნები,
რომლებსაც ის
სულ ეფინება,
თვლემენ წყვდიადში,
როგორც სიტყვები
წაუკითხავი,
ამოუთქმელი.

შევბრუნდი ჩემში,
ვნახე როგორ ბრწყინავს სიბნელე,
როგორ ანათებს,
მდინარე ვნახე,
ჩემი წარსულის წმინდა მდინარე, რომელიც მუდამ
სათავისაკენ მიედინება.

ვიკვებებოდი დღეთა თევზებით
და მივცურავდი დასაბამისკენ
გულაღმა მწოლი
და მაინც ვერ ვკარგავდი წარსულს,
აწმყოს, მომავალს,
რომ გამეხილა ვარსკვლავები თვალების ნაცვლად,
მესაუბრა ტყეების ქარით.

●

ვიღაც ყარს ჩემში,
ვიღაც ძვირფასი,
არ ვიშორებ ხსოვნის მიწიდან,
სიყვარული კი,
რაც მისთვის მქონდა,
თანდათან მხოლოდ მუხლამდე ბალახს
და ერთ-ორ მინდვრის ყვავილს ჰყოფნით რომ ამოვიდნენ,

რომ დაფარონ მისი სახელი,
ხოლო მეორე
თავის დაღლილ სხეულში მოკვდა,
ჩემში კი ისევ ცოცხალია
და მიმიმღერის.

●

ბოლოს ჩიტებიც მიწისკენ ფრენენ.
მშვენიერია ცა, თუ მარტოა
და ქაფივით არ ახვევია თეთრი ღრუბლები.
ისინი მშლიან მიწის ფურცლიდან,
მიცურავენ, მიდიან, მშლიან,
მიაქვთ ზღვების და ნავსადგურების
უცხო სურნელი,
ჭრელი დროშების ფრიალის ექო
და დროის სევდა,
რომ სულ ვეძებდი ცხოვრებას მკვდრებში
და არა ხალხში.

●

საქმე შეიცვალა,
ჩანაწერები დაემსგავსნენ ადამიანებს
და მიიღეს სახე, რომელშიც
ირეკლებიან.

ლექსები უფრო მეტს მოითხოვენ,
ვიდრე ისინი,
რაც ვერ დავწერე,
როგორც მკვდრები და ჯერაც ცოცხლები.

უნდა შეჩერდე ამათ ხსოვნასთან,
ყველა მომსვლელს დააჯერო მათი სიკეთე,
რაც დაწერამდე ჰქონდათ უშენოდ.

გიკვირდეს,
თუკი ჩვენი გულები
გარდაცვლილისკენ ბოლო ფრაზას მოიღერებდნენ,
ადვილი გახდა:
– „ლექსი იყავ და ლექსად იქეც“! –
ითქვას და მიწა მიეყაროს,
არა სამშობლოსი, –
დავიწყების.

რომ მოუვლელ ნაწერში
მუხლებამდე გწვდება სიტყვები,
როგორც ბალახი – სასაფლაოზე.

ნიკოლას მაჩაბელი

ხახვები და ნიორები

I

ახალი ოფისი, ახალი იმედები, ახალი თანამშრომლები, ახალი დაბრკოლებები, მაგრამ უცვლელი დაუკმაყოფილებლობა, უცვლელი დაჩაგრულობის შეგრძნება, უცვლელი გამოყენებულობის შეგრძნება, თუმცა ყველაფერი ახალი მაინც საინტერესოა. ეს სიახლის ჟინი და ვნება, შეცნობის პირველი ეტაპი გავიწყებს და თვალს გახუჭინებს მორიგ უსამართლობებზე. რაღაც პერიოდი ჩუმად ხარ, მერე ისევ ინტრიგნად შეგრაცხავენ და მერე ისევ უნდა დაიწყო ამბოხი.

ახალ ოფისში დიდი სამუშაო დარბაზი დამხვდა, თეთრი ჭერით და კედლებით. ჩვენი სამუშაო მაგიდები ერთმანეთისგან შავი, კარდონისმაგვარი ჯებირითაა გამოყოფილი, ისე, რომ მეზობელს ვერ ხედავ ვერც წინ, ვერც გვერდით, მაგრამ იცი, რომ იქ ვიღაც არის, იქ ვიღაც მუშაობს ან შენნაირად მუშაობს, ან შეიძლება შენ გითვალთვალებს. აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა ოფისში, ზოგი მუშაობს, ზოგი კი რაღაც მისიას ასრულებს – ან გითვალთვალებს, ან გაფასებს, ან დაგასმენს უფროსთან.

მაგიდა-ბუდრუგანების გარემოში პირველად მიწევდა მუშაობა. დერეფანში შემომავალი ყველა ადამიანი ჩაუვლიდა ამ ორ რიგად დაწყობილ მაგიდებს და ადვილად შეეძლო გადაეხედა, ვინ რას აკეთებდა.

შუშებიან ფანჯრებში წვიმიანი შემოდგომის დღეები იდგა და ნაცრისფერი დღე ოფისის უჩვეული შუქით ნათდებოდა. ოფისში ჩემი სუპერმანქანით, ჩემი Toyota Prius-ით მივიჩქაროდი, რომელიც მორჩილად მელოდებოდა პარკინგზე და ყველაზე ერთგულ არსებად მიმაჩნდა, რადგან მასავით მშვიდ, გამგებ, დამჯერ და უპრეტენზიოდ არც ერთი სულიერი არ მიმაჩნდა. ნელ-ნელა იმ გზას ვადგებოდი, რომ მანქანა მიყვარდებოდა, რადგან, ადამიანურ ურთიერთობებში ხელმოცარულს, ტიპური ანომალიური, თანამედროვე ზმანება დამეწყებოდა ამ ვერცხლისფრად მბზინავ მექანიკაზე.

ახალ ოფისში, ტრადიციულად, ადვილად ავუღე ალღო ყველაფერს, ძალიან სწრაფად ვასრულებდი დაკისრებულ მოვალეობას, მერე, ცოტა გაბრუებული, დერეფანში გავივლიდი და ჩემსავით მობორიალე თანამშრომლებს ვხვდებოდი. მაშინ ვაანალიზებდი, თუ რატომ იღებენ ამერიკელები ამდენ ფილმს ზომბებზე. დიახ, რუტინისგან დადებილებულ თანამშრომლებს თუ შეხედავთ დერეფანში, როგორი მკვლელი სახეებით დადიან, როგორი უსიცოცხლო და უშინაარსო თვალებით მიმოდიან, როგორ ერთი მიზანი უტრიალებს ყველას თავში: „თვის ბოლოს ხელფასამდე გამაძლებინა“, ადვილი იქნება ამერიკული ჰორორ ზომბების გახსენება, მითუმეტეს, რომ ეს საოფისე

გარემო და სისტემა ამერიკაში უფრო მასიურია, ნიუსტაილ ოჯახის ფორმაა.

აი, აგერ ჩემი თანამშრომელი გილა[1]; სახეზე სისხლივით ჩამოსდის ოფლი, მიღიმის და კბილებს ისე აჩენს, თითქოს შესაჭმელად გააღო; აგერ ზარაბი – თავს ისე ნერვიულად იქექავს, თითქოს, ტვინი გაეხლიჩა და კისერს ისე ატრიალებს, სადაცაააა გადატყდება; შეხედეთ – ნენო თავს ძირს ხრის და გაიგნორებს; ვერ გამჩნევს, მერე ასწევს და „ტყდება"; ეს ყველა კადრი ფილმში კი არ ხდება, ჩემს ახალ ოფისში. ეს აქ ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა.

როგორც ახალი გადმოსულისთვის, ერთგვარი „შესამოწმებელი ქათმისთვის", ინტერნეტი ჩემთვის მიუწვდომელი იყო. თუ სტაჟიანი თანამშრომლები საქმეს მორჩებოდნენ, ახალი საქმის გამოჩნამდე, ინტერნეტში შედიოდნენ და სოციალურ ქსელებისადმი ჩვეულ ავადმყოფურ დამოკიდებულებას ავლენდნენ, მე კი უსაქმოდ უნდა ვყოფილიყავი ან რამენაირად გამეწელა ეს დრო... დრო კი იყო მთელი დღე (გაითვალისწინეთ, რომ ძალიან ახალგაზრდა და სხარტი ვარ და დაკისრებულ მოვალეობას თუ სხვები ხუთ საათს ანდომებენ, მე ნახევარ საათში ვასრულებ). ამიტომაც მოვიფიქრე უჩვეულო რამ, ისეთი რამ, რაც ჩემს ცხოვრებისეულ იდეას, ჩემს პიროვნულ არსს გამოხატავდა, რაც ინტრიგნულიც იყო და გამომწვევიც, რაც ადრენალინს გამომაყოფინებდა, რაც ბეწვის ხიდზე გამატარებდა, ბოლოს კი სასიამოვნო ორგაზმით დამამშვიდებდა და გამახალისებდა, გამაცოცხლებდა და განმაახლებდა; ის, რაც რაიმე გზით აქაურობას დამავიწყდებდა, ამ ზომბებს და ზომბომანებს დამაშორებდა... და, რა უნდა ყოფილიყო ასეთი რამ?

წიგნები!

დიახ. ყოველ დღე სახლიდან გამოსვლისას ჩემს დიდ ბიბლიოთეკას ავხედავდი – აბა, ახალი წიგნები თუ ძველი? ქართული ლიტერატურა თუ უცხოური? საით წავიდე დღეს? სად ვიმოგზაურო? საფრანგეთში წავიდე? ფრანგ ავტორებს შევეხო? თუ გერმანიაში? ძია დოსტოევსკისთან ხომ არ ავიდე „მაღლა" (და არა დედარუსეთში), ოჰ, არა, დღეს უჩვეულოდ ცივა, ძია დოსტოევსკის თავი არ მექნება; მაშ, ამერიკაში ხომ არ გავცურო? კოლუმბის გზას ხომ არ გავყვე? სელენჯერი? თუ ფოლნკერი? იქნებ სტაინბეკი? მოიცა, დავრუნდი ევროპაში – რომენ გარზე რას იტყვი? თუ პენაკებს შევუდგე? მოიცა, ძია პრუსტი? თუ კამიუ? გერმანულ ტყეს ხომ არ მივხედო? ჰესე თუ თომას მანი? იქნებ ძია ჰაქსლი ან ორუელი?! იყო რამდენიმე დღე ქართული, მშობლიური ლიტერატურა რომ მწყუროდა... ხან ნიკოლო მიწიშვილს მივადექი, ხან პაოლოს, ხანაც კლდიაშვილი გავიხსენე და ხანაც აკაკის ზმანებები; საიდან სად დავმოგზაურობდი, ვერ წარმოიდგენთ; ქვეყნები, ეპოქები... იმენა დედას ვუტყ... მოკლედ, ყოველი დილა ბიბლიოთეკასთან იწყებოდა, პატარა წაბაასებით საკუთარ თავთან, შემდეგ ერთ-ერთ წიგნს მოვხვევდი ხელს, იღლიის ქვეშ ამოვიჩრიდი და, როგორც საყვარელ გოგონას, ისე მივაცუცხუხებდი ოფისში. ჩემს მაგიდა-ბუდრუგანაში შევიყუჟებოდი; იმ დღისთვის სპეციალურად შერჩეული წიგნი კომპიუტერთან ნაზად და მეგობრულად მელოდა, სანამ მე საქმეებს არ მოვრჩებოდი, ის იქ იყო – გადაუშლელი, ხელუხლებელი. დასრულდებოდა ჩემი კომპიუტერთან კაკუნი და აი, ისიც; აი, ჩემი ნანატრი ლუკმა; აი, ჩემი პოეზია და ლიტერატურა...

[1]„გილა" – ნაგულისხმევია ქართული სახელი „გელა", ამ ნოველაში ქართული სახელების კომიკურ ვარიაციებს წარმოვადგენ.

აი, ჩემი სხვა სამყარო! შორს!.. შორს!.. დასავლეთით!.. შემდეგ სამხრეთით, მერე ჩრდილოეთით და ბოლოს აღმოსავლეთი (ამ მარშრუტით ვცდილობ, მაგელანის მოგზაურობა გავიხსენო)?

მაგრამ...

და ეს მაგრამ... ისევ ეს მაგრამ... ოხ, ეს მაგრამ... „მაგრამისტების სპეციალური სახელმწიფო პროგრამა“. მოკლედ, ამ ჩემს წიგნსა და წიგნომანიას მთელი დაბრკოლებები ელოდა...

მაშ ასე, მოვრჩი საქმეებს, შევეშვი კომპს და გადავშალე ჩემი იმ დღის სატრფო – მოდი, ვთქვათ და ფონკინოსი; ფონკინოსის „დელიკატურობას“ ვკითხულობ, ქმარს ეს-ესაა დაარტყა მანქანამ და დეპრესიაშია ჩავარდნილი ჩვენი აკურატული გოგონა (ფილმში ოდრე ტოტუ). გადაშლილი წიგნით ვზივარ კომპიუტერის წინ; წარმოიდგინეთ, მთელი ცივლიზაციათა ჯახია, კომპიუტერიდან პირდაფჩენილი, გაკვირვებული სიცისფრე შემომცქერის, მე კი, მის წინ ახალი გამოცემის წიგნით ხელში, მივემგზავრები საფრანგეთში. კომპიუტერი დაიჭყლუპუნებს. ხან რა ამოვარდება, ხან რა, მე კი წიგნში ვარ ჩაფლული, ომი მაქვს გამართული ტექნოლოგიასთან, ჩემი პირადი ბრძოლაა დაქლიავებასთან, დაზომბებასა და კომპიუტერდამოკიდებულებასთან; მე ახლა ფონკინოსთან ერთად პარიზში დავეხეტები, ჩემ წინ კი ჩემი გაოცებული კომპიუტერი ნერვულ ხმებს გამოსცემს. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, აი, მთავარი ახლა იწყებოდა.

გადავშალე წიგნი და თანამშრომელმა ჩაიარა. ოო, შემამჩნია; ჰგონია, უსაქმოდ ვარ; ოო, დაეჭვდა; არ ესიამოვნა, თავი დახარა, საეჭვოდ დაჯდა თავის მაგიდა-ბუდრუგანასთან; ოო, ჩემო წიგნო, დაგვერხა, შეგვამჩნიეს; ასე თავისუფლად და ლივლივით ვეღარ შევძლებთ ურთიერთობას; ხანდახან უნდა დავიმალოთ, ხანდახან უნდა შევიყუჟოთ, რომ ძალიან თვალშისაცემი არ გავხდეთ.

თავისით მოდის გამამართლებელი ფიქრები: „მე ხომ სიგარეტს არ ვეწევი, თქვენ ყველა ეწევით და ყოველ ნახევარ საათში გადიხართ სიგარეტის მოსაწევად, მე არ ვეწევი; მაშ, არა მაქვს უფლება, რომ მოწევის მაგივრად, ის ვაკეთო, რაც მსიამოვნებს? ჩემთვის წიგნის კითხვაა სიგარეტის ქაჩვა“ (ძალიან ბავშვურია).

მოდის უკეთესი ვერსიები: „რომ არ გამოვდებილდე და არ გამოვშტერდე, ასეთი რამ მოვიფიქრე – წიგნს ვკითხულობ ხოლმე დღეში ერთ-ორ ფურცელს“, მაგრამ ამის თქმა არ გამოვა, იმიტომ რომ დღეში ერთ წიგნს ვამთავრებ და მეორე დღეს უკვე ახალი წიგნი მომაქვს. სხვა რამ უნდა მოვიფიქრო:

„აი, ჩემო თანამშრომლებო, ხომ არსებობს სტერეოტიპი, რომ საჯარო სამსახურებში, რუტინულად, მხოლოდ საქმეს ვაკეთებთ, ჩემი ეს წიგნის კითხვა კი პირიქით დიდი მიღწევაა; საზოგადოებას და სამყაროს ვუმტკიცებთ, რომ საჯარო სამსახურში შესაძლებელია წიგნის კითხვაც, მაშასადამე აზროვნება, მაშასადამე ფიქრი“...

„მერედა, ვინ გითხრა, რომ საჯარო სამსახურებში ისეთი კადრები გვჭირდება, ვინც ფიქრობს ან აზროვნებს?“ – იყო ჩემს თავთან გამართული დიაოგის პასუხი; მთავარია, რობოტებივით – „კოპი-პეისტი“, „კოპი-პეისტი“...

მე და ჩემი წიგნები სახიფათო ამბად ვიქეცით, როცა დედაჩემისგან გავიგე, რომ მის უფროსს საკუთარი თანამშრომელი იმისთვის გაუთავისუფლებია, რომ ჟურნალის კითხვისას წაასწრო. აი, სად დაგვერხა... თურმე ასეთი პრეცენდენტი ყოფილა, მე კი არ მინდა უსამსახუროდ დარჩენა; საკუთარი ფულის გარეშე ყოფნა წარმოუდგენელია, მითუმეტეს, რომ კარგა ხანია ჩავები ამ კარიერისტულ, ვირტუალურ თამაშში. მე დაწინაურება მინდა, სათანადო ხელფასი და დაფასება, მაგრამ წიგნებზე უარს ვერ ვიტყვი, წიგნები ჩემი პირადი

ომია ოფისთან, აქაურობასთან, კომპიუტერთან...

ერთ დღესაც ყურებში მაქვს გარჭობილი ყურსასმენები, ვუსმენ მუსიკას და თან წიგნში ვარ ჩარგული – ამელი ნოტომისთან ერთად იაპონიიდან მოვფრინავ; რინრის დავშორდით და ბელგიაში გაგვიწევია – რომ ჩემი სამსახურის უფროსი თავზე წამომადგა. თითქოს ერთი თვალი გავაპარე და ვუყურებ მის რეაქციას, რას იზამს? ახლა ის წამია, როცა ჩემი წინასწარმოფიქრებული ფრაზები უნდა მოვაგროვო და მზად ვიყო ყველანაირი დარტყმისათვის; მზად ვარ. უფროსი ჩემკენ მოდის; მე ნაგლად არ ვწყვეტ კითხვას; ის მიახლოვდება (ამელი ბელგიაში ჩადის და დასთან ერთად იწყებს ცხოვრებას), ხელს მადებს და მე ყურსასმენებს ვიხსნი.

უხერხული წამი.

– რას შვრები?

– რა ვი, ვკითხულობ.

– რას კითხულობ? ხელს ადებს ჩემს წიგნს, გადაატრიალებს და კითხულობს სათაურს; ხმამაღლა წაიკითხავს – „არც ევა, არც ადამი“ და მეუბნება: „რამდენი ხანია, წიგნი აღარ წამიკითხავს“.

ვიცოდი!.. ასეც ვიცოდი!.. ეს ახალი უფროსი საოცარი კაცია! აბა, რომელი სამსახურის უფროსისგან გაიგებდით ასეთ შენიშვნას? მაგრამ თანდათან სერიოზულდება; აბა, ვნახოთ ახლა რას იზამს (ჩემი ექსპერიმენტების პიკში ვარ, მთელი სოციალურ-ფსიქოლოგიური დაკვირვებები მაქვს); ტუჩებს შმუშნის, სახეს ფაკლავს და მორიდებით, გაუბედავად მეკითხება:

– რამდენი გაქვს დაწერილი? უკვე საქმეებს გულისხმობს. ეშმაკურად ჩაკეცილი პროგრამა ერთი კლიკით გავხსენი და ვეუბნები:

– ყველა დავასრულე.

– ჰო, კარგია... და მცილდება.

ჩემი პირველი ბრძოლა წარმატებით დასრულდა. ჩვენ გავიმარჯვეთ; მე და ჩემმა წიგნმა საწადელს მივაღწიეთ, დავჯაბნეთ და მთელ უხერხულობებში ვამყოფეთ ეს ჩვენი უფროსი, რომელიც საკმაოდ კაი ტიპი ყოფილა. ცხოვრებაში პირველად არ გამიმართლა? ასეთი უფროსი რომ გეყოლება! მაგრამ ისიც ვიგრძენი, რომ ჩემ გამო თავს არ გაიფუჭებს და ისიც, რომ რაღაც პონტში უხარია ასეთი ახალგაზრდა, წიგნისმკითხველი თანამშრომელი რომ ჰყავს.

იმ დღეს ისეთი ბედნიერი ვიყავი, წვიმაში რომ გავილუმპე, ისიც მიხაროდა; შეყვარებულმა ახალ „პრიჩოსკაზე“ რომ მომაჯვა, მაგასაც არაფრად დაგიდევდით; საცობში რომ ვიდექი, ვიღიმოდი! ჩემი სამსახურის უფროსი ყველაზე მაგარი უფროსი იყო.

მომდევნო დღეს გილბერტ ადერის „მეოცნებენი“ წავიღე. მთელ ახალგაზრდობას ხომ ევა გრინსა და ბერტოლუჩის იმ სამეულზე გვენძრევინება, სამნი რომ გარბიან ლუვრში რეკორდის დასამყარებლად. მოკლედ, წიგნადაც საინტერესო აღმოჩნდა ფრანგი და-ძმის ინცესტური ეპიზოდები. განსაკუთრებით ამაზრზენად და კარგად არის აღწერილი მათი ზეობისა და უსაქმურობის შედეგი, როცა საჭმელი გამოელევათ, ჭუჭყიანები დადიან, სცივათ და ცხოველებივით სანაგვე ურნაში იქექებიან იქნებ რამე ჭამონ. აი, სწორედ ამ მომენტში ვარ, როცა მათი ამერიკელი მეგობარი აბაზანაში კუჭაშლილი გარბის, რომ კარში პუპუნა შემოდის. პუპუნა... ოოო!

სულ დამავიწყდა, თქვენთვის მთელი იერარქიული სისტემა მომეხსენებინა,. მოკლედ, ჩემი უფროსი ჩვეულებრივი უფროსთაგანია, მისი და მისნაირების უფროსი უკვე პუპუნაა. აი, პუპუნას და ასეთი დიდი საჯარო სამსახურების უფროსი კი უკვე დიდი თუა გახლავთ, თუას ზევით ვინაა, ნუ, არ გვჭირდება ამ წამს, ვაფშე არაა მნიშვნელოვანი.

ჩემი სამსახურის უფროსი კი კაი ტიპი აღმოჩნდა, მაგრამ ეს პუპუნა კი, გამიგია, არც ისე განათლებამოწყურე-

ბული კაცი უნდა იყოს, უფრო აგდებულად და რაძიკაიფით აკაჩავებს ხოლმე თანამშრომლებს.

ჰოდა, ევა გრინი ტუალეტის კარზე უკაკუნებს ამერიკელს – გამოდიო, მეც მეჯვიაო და ამ დროს პუპუნა შემოდის კარში. წიგნი ნელ-ნელა ჩავაცურე მკერდის ჰორიზონტიდან და კლავიატურასთან მივმალე, ყურსასმენები მოვიხსენი და შევხედე. საბედნიეროდ, გარეშემოს ათვალიერებდა და მეც მხოლოდ თვალი მკიდა, ციბრუტივით დაბზრიალდა და უკანვე გავიდა. აი, ეს იყო ყველაზე დიდი ადრენალინი ჩემი და ჩემი წიგნების ისტორიაში. ეს ის მომენტი იყო, როცა მზად არ ვიყავი და ბედს მივენდე, რა მოხდებოდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიგიჟით მელოდნენ წიგნის ფურცლები, რა მოხდებოდა, რა ექსტაზით დასრულდებოდა ეს ეპიზოდი.

II

იზაბელ ებერარდის „მოგზაურობა მაღრიბში“ მქონდა წამოღებული. დავალებებს თავი დავაღწიე და ამ დაბნეულ და დაკარგულ ქალთან ერთად ვმოგზაურობდი მაროკოსა და ალჟირის საზღვრებთან. უაზროდ მეამბოხე ბედუინების შეხლა-შემოხლასა და ევროპელი კოლონისტების ბოლო, სულისმღაფავ დღეებს შევცქეროდი უდაბნოში, რომ ამ დროს სტაჟიორები მოიყვანეს...

სტაჟიორების დანახვაზე ჯერ ხომ ჩემი სტაჟირება გამახსენდა; მთელი კუჭმუცელი ამეწვა და მერე თითოეულზე დავიწყე ძებნა-ძიება, რამდენად გამძლე იქნებოდნენ სისტემისთვის, რამდენად ამტანები, რამდენად კარგი ოჯახური და სოციალური ბექგრაუნდი ჰქონდათ. რა თქმა უნდა, სტაჟიორებს ადვილად გავუგე და მათაც თავისიანად აღმიქვეს. უფროსმა რომ დაანაწილა და გავიდა, უკვე გასაუბრებით, შიდა გადაძახილებით გავერკვიეთ, ვინ ვინ იყო და ვინ რას წარმოადგენდა. ყველა სტაჟიორი პოზიტიური როჟა, ოდნავ დაჩაგრული და ცხოვრებაზე გულაცრუებული მეჩვენა.

ჩვენი მეგობრობა ამ საერთო ნიშით დაიწყო...

დანიელ პენაკის „რომანივით საკითხავს“ ვკითხულობდი, რომ სტაჟიორმა სუფომ შემომთავაზა, სასადილოში მათთან ერთად წავსულიყავი; წიგნმა თითქოს ღიმილით შემომხედა – მიდი, კაცო, მე აქ გელოდებიო. კომპიუტერი ისევ ზერელედ, ცისფრად მანათებდა, სადაცაა ბრაზი მოერეოდა, რომ არ ვეკარებოდი.

სტაჟიორებთან ერთად ვსადილობ, რომ ნაღმი თემა წამოიჭრა:

– მგონი, ესენი არ აპირებენ ჩვენ აყვანას.

– მგონი, კი არა, არ აპირებენ. ჩემმა მეგობარმა თქვა, ასე, იცი, რამდენჯერ მიუღიათ? ხუთი-ექვსი თვე აპახავეს და მერე ნახუი.

– შანსი არაა. ახლა ასე უხელფასოდ უნდა გვიხმარონ და მერე გაგვიშვან?

– მონები ვართ იმენა, ხახვი მაინც მოგვცენ (ერთ-ერთი ხუმრობას ცდილობს).

– თუ ასე მოხდა, რამე უნდა გავაკეთოთ.

– დიდ თუასთან რომ მივიდეთ?

– კაი რა, რა უნდა ქნა, კაი რაა...

– ხო, მაგრამ, მაინც შეიძლება სისტემის შიგნიდან შეფუცხუნება, – წამომცდა მე.

როცა დასაქმებული ამოიღებს ხმას და ასეთ რამეს იტყვის, ახალბედა, სამსახურს მოწყურებული ადამიანების ყურები მაშინვე მისკენ მიტრიალდება.

– როგორ? – კითხულობს ერთ-ერთი პირობითად; რომელიღაცისგან მოდის ეს კითხვა, შეიძლება არც მოდის და მათი მოცქირალი თვალებიდან, საერთო მზერიდან მომესმა – „როგორ?!“ თავის დროზე მე ხომ მარტო ვიყავი და ეს „როგორ“ ვერ ვიპოვე, ახლა კი ამ ახალგაზრდებს უფრო მეტი შეუძლიათ, ისინი ბევრნი არიან, ისინი ჩემსავით დაჩაგრულები და უსუსურები არ არიან;

აგერ ეს გოგო მომხიბვლელია, აგერ ეს ბიჭი ძლიერი ჩანს, აგერ ეს მაღალია, აგერ ეს მსუქანია, აგერ ეს დაბალი და მოხერხებულია; მოკლედ, ამდენი და ასეთი ჭკვიანი და ფიზიკურად გამოსადეგი სტაჟიორი უფრო მეტს იზამს, ვიდრე თავის ნაჭუჭში გამოკეტილი ერთი ნიკოლასი. მაშ, ჩემი მისია იდეების დარიგებაა, მე, როგორც ინოვატორულმა გენერატორმა, ჩემი აუსრულებელი იდეები უნდა გავცე, ისინი მითხოვენ.

– სისტემა უნდა დაინგრეს, ბაზარი არ არის! ხედავთ, რა მივიღეთ მაგით, – მეუბნება ერთ-ერთი. – მაგრამ სისტემას რომ უნდა უჯიკო, ეგ მართალია, სხვა გზა უკვე არაა.

– კაი რა, მართლა ტეხავს ახლა ასე თუ გაგვიშვეს, – წუწუნებს გოგო

– თქვენ შეგიძლიათ, მათ რეპუტაციას დაარტყათ, – ვაგრძელებ, არ ვჩერდები; ახლა უნდა გადმოვალაგო მთელი ფანტაზია. არა, ნიკოლას, შეჩერდი, ნუ მოწამლავ ამ ბავშვებს. – ჰო, თქვენ ერთობლივად შეგიძლიათ ისეთი იდეები გააჟღეროთ, რომ სახეები გახდეთ; ყველა დაგიმახსოვრებთ, ყველგან მიგიღებენ.

– ასეთი რა უნდა გავაკეთოთ?

– თქვენ ისეთ იდეებს გააჟღერებთ, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკაა, რომლებზეც დიდი თუა ხშირად საუბრობს, ისეთ თემებს გააჟღერებთ, რაზეც ტელევიზიები დაირაზმებიან და, პირველ რიგში, თქვენ მოგხედავენ.

– და ეს ყველაფერი როგორ უნდა ვქნათ? – მეკითხება ოდნავ შეშინებული სუფო (მას აშკარად ურჩევნია, უსისხლოდ და ძალადობის გარეშე მიიღონ სამსახურში).

– ამან რაღაც იცის და არ გვეუბნება, – ისევ ხუმრობას ცდილობს ნადორი. ვატყობ, რომ ის ფარულ საქმეებს კარგად გააკეთებს.

– მართლა, მართლა, რას გვეუბნები? – სერიოზულად მეკითხება გაორგი. აი, ეს კი თავი უნდა იყოს ამ ამბოხის, ამ ანშლაგის, ასეთი კონკრეტული და პირდაპირი ტიპები მევასება.

– იმედია, ტერორიზმისკენ არ გვიბიძგებ, – (ეს თან ხუმრობით ნათქვამია, თან მართლა გულისხმობს) ამ ბიჭს, მგონი, რუტი ჰქვია. ამ ბიჭს დავაჯილდოვებ, ისეთებს ჩაიდენს.

– არა, გვითხარი, გვითხარი, რას ამბობ ერთი, – თიონამაც გამოყო ფეხი, კი არა და, კუმ ფეხი გამოყოო, ასეთი ამბავი დაემართა ამ გოგოს, თუმცა ის ყველაზე მეტადაა წამსვლელი ამ მისიაზე, რადგან უსამართლობის საშინელი განცდა ყოველ ნაბიჯზე აქვს გამჯდარი.

– რა უნდა ქნათ და... ქვევით, დიდ სივრცეში, დიდ საკონსულტაციო სივრცეში... ხომ იცით, რამდენი ხალხი მოაწყდება ხოლმე ყოველ დღე?

– კი, მერე?

– მოკლედ, სანამ თქვენ სტაჟირებიდან გაგიშვებენ და პანღურს ამოგკრავენ, ეს უნდა გააკეთოთ – ორი დიდი დინამიკი უნდა იშოვოთ და საკონსულტაციო სახლში შემოიტანოთ. დაცვის ბიჭებს შეგიძლიათ უთხრათ, რომ საქმეს სჭირდება და რომ აქ მუშაობთ. დებილები არიან, ადვილად შემოგატანინებენ. ისეთ დროს უნდა ქნათ, როცა დიდი თუა იქნება, დიდი თუა რომ გვეწვევა. ეს ორი დიდი დინამიკი დადგით ცენტრში, შემაღლებულ ადგილას ავიდეს ერთ-ერთი თქვენგანი და მიკროფონში თქვას თქვენი მოთხოვნები; თქვით, რომ თქვენ ტერორისტები არ ხართ; გულწრფელად უთხარით ხალხს, საკონსულტაციო სივრცეში მოსულ მოქალაქეებს, უთხარით, როგორ აგიყვანეს სტაჟიორად, როგორ გამუშავებენ და როგორ გაგიშვებენ ერთ-ორ დღეში. მოწვეული უნდა გყავდეთ ტელევიზიები, სახალხო დამცველის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები, ყველა, ყველა უნდა დარაზმოთ, ყველას უნდა შეატყობინოთ, რომ ჩვენი სამსახურის მოქალაქეთა საკონსულტაციო მისაღებში იგეგმება დიდი ბრიფინგი, აჯანყებული და ამბოხებული სტაჟიორების ექსპრომტი

და რომ ერთ-ორ საათში ისინი იქ უნდა გაჩდნენ.

– და რას ვიტყვით ამ მირკოფონში? კარგი, დავუშვათ, ეს დინამიკები მოვიტანეთ, პუბლიკაც მოვყარეთ, მერე რა უნდა ვთქვათ?

– რა უნდა თქვათ და აი, შენ! – მივმართავ გაორგის, შენ, მგონი, შეძლებ. დავწეროთ ტექსტი, რასაც წაიკითხავ! აი, ახლავე შეგვიძლია ეს დავწეროთ.

– დავწეროთ! – მეღრიჭება ნადო. რუტი კალამს ამოაძრობს, თიონა ფურცელს შემოაცურებს. მე ვიწყებ ტექსტის კარნახს:

„ნიკოლასის სახელით!

ყურადღება მოქალაქეებო, ყურადღება, ქალბატონებო და ბატონებო!

მოგმართავთ სტაჟიორები! მოგმართავთ, პირველ რიგში, თქვენ დიდო თუა, შემდეგ კი მივმართავთ პრეზიდენტს, მივმართავთ სრულიად სამყაროს, ტელევიზიებს!

ნიკოლასის სახელით!

ჩვენ აგვიყვანეს სტაჟიორებად ექვსთვიანი პროგრამის უფასო სტაჟირებაზე და დაგვპირდნენ, სტაჟირების მერე აგვიყვანდნენ სამსახურში! ექვსი თვე იწურება; თითოეული ჩვენგანი პირნათლად ასრულებდა დავალებას! თითოეული ჩვენგანი მუშაობდა დაუღალავად და იმსახურებს სამსახურში აყვანას, შტატის გამოყოფას და შესაბამის ხელფასს! ჩვენ უარს ვამბობთ დასაქმებულებზე უფრო დაბალ ხელფასზე! ჩვენი ექვსთვიანი უფასო სტაჟირება არის საბაბი იმისა, რომ დაგვინიშნონ ანალოგიური ხელფასი! ჩვენ მოვითხოვთ პასუხს, თქვენ წინაშე მოქალაქეებო, თქვენ წინაშე, ტელევიზიებო!

გავრცელდა ხმა, რომ ყველას გაშვებას გვიპირებენ. წარმოგიდგენიათ? ჩვენ აქ ექვსი თვე ვიმუშავეთ ხახვისა და ნიორის გარეშე! ჩვენ აქ ვიყავით და ვუძლებდით უჟმურ და თვითმარქვია უფროსებს, ხახვისა და ნიორის გარეშე!

დაგვეხმარეთ, მოქალაქეებო! დაგვეხმარეთ, ტელევიზიებო! ჩვენ მოვითხოვთ საკანონმდებლო ცვლილებას – ყველა უფასო სტაჟირება უპირობო დასაქმების გარანტიად!

ხახვისა და ნიორის გარეშე ეგვიპტელი მონებიც არ მუშაობდნენ!

ნიკოლასის სახელით!

ხახვითა და ნიორით ნიკოლასის სახელით!“

არზა დაიწერა; ბავშვები გაოცებულები შემომცქერიან. მე გავჩერდი; ჩემივე ნათქვამის არ მჯერა, არადა ყველაფერი წყალივით წავიდა, კარგად აეწყო; ამდენი იდეა საიდან, რომელ ფილმში ვნახე? თან საკმაოდ შინაარსიანი იდეაც კი გავაძვრე, საკანონმდებლო ცვლილება!

– ახლა ამ ყველაფერს სჭირდება დეკორაცია! დეკორაცია იმისთვის, რომ თქვენ სამუდამოდ დარჩეთ ისტორიაში, მეტიც, ისეთი რამ უნდა მოვიფიქროთ, რაც განაპირობებს თქვენს აყვანას სამსახურში. დიპლომები! ხახვები და ნიორები!

– რაა? უკვე, როგორც გიჟს, ისე შემომცქერიან სტაჟიორები.

– ჰო, ნიორები და ხახვები უნდა გეკიდოთ კისერზე, ხელში კი თქვენი დიპლომები დაიჭირეთ, თქვენი უსარგებლო საუნივერსიტეტო დიპლომები. ოდესმე ხომ უნდა გამოგადგეთ რამეში!

– ჰმ, სტაჟიორები იღიმიან, მაგრამ მათ ღიმილს მხარს არ ვუბამ, ამიტომაც ყველაფერი ნათქვამი და დაგეგმილი მათში ვნებიანი ლეიკოციტივით ჯდება. ჩემი სიტყვები ის წებოა, რომელიც ტვინს აცხიმიანებს, ნერვულ დაბოლოებებს აღაგზნებს; მე აღმგზნები ვარ.

ის დღე ისე გავიდა, სტაჟიორები აღარ შემხმიანებიან, ჩემი ნალაპარაკევი ზედმეტად დამცინავად აღიქვეს, ალბათ, გიჟად შემრაცხეს. ასეც ვიცოდი. ისევ მარტო დარჩი, ნიკოლას! ისევ შევიყუჟე ჩემს მაგიდა-ბუდრუგანაში და ბებერი ფრანგი ბაბუის, პენაკის წიგნი გემრიელად მივასრულე...

წიგნები წიგნებს მისდევდნენ. მიმიხ-

ვდით, ალბათ, „ლუჟინის დაცვას“, „თეთრი ძაღლი“ მოჰყვა, „ლანსაროტეს“ – „მარადი ქმარი“ და ასე მოვადექი ამ დღეს, დღევანდელ დღეს ნაცრისფერს, ოქტომბრის წვიმით მოთენთილს, მდინარის პირას ამერიკული ოცნებასავით, ნიუ-იორკითა და და-ძმით.

სელინჯერის „ფრენი და ზუიში“ ვარ; უკვე ვასრულებ; დღის ბოლო მოდის. ფრენიმ და ზუიმ მაგრა დააყარეს ერთმანეთს. ზუი ღმერთზე ელაპარაკება ფრენის და შეახსენებს, რომ ღმერთი იქ არის, სადაც დედის გემრიელად მომზადებული სადილია. ამ დროს ჟრუანტელმა დამიარა; საკუთარი თავი რომ არ გამხსენებოდა, ასე არ იქნებოდა. მოკლედ, ფრენისთან ერთად მეც ვკანკალებ და ზუის ვეთანხმები, ვეთანხმები, რომ ღმერთი აქაა, დედის მომზადებულ კერძში. აი, იქ, აი, იმ წვნიანში ტივტივებს და უნდა გავყვე ზუის, რომ, რას ვხედავ! ჩემს კომპიუტერ-ბუდრუგანასთან პუპუნა აყუდებულა და იღრიჭება.

გამოვერკვიე.

პუპუნას უკან დიდი თუა დგას! სელენჯერი ხელიდან გამივარდა; გაშეშებული წამოვდექი; პუპუნას ბრაზით ეცვლება სახე და მომახლის: „რას აკეთებ?“ ხმას ვერ ვიღებ, ის კი ტრიალდება და დიდ თუას ეუბნება: „ამას მერე მივხედავ!“ ის პატარა წუწკი ქალი კი უხმოდ დგას და სახე არ ეცვლება – არც იღიმის, არც ბრაზობს, არც სევდიანობს, არც უხარია. დამანახეთ, დიდო თუა, ქალღმერთო თუა, მაჩვენეთ თქვენი რეაქცია, მითხარით რამე...

გადიან და, სრულიად უსიცოცხლო, ადგილზე ვეცემი. ჩემი საქმე წასულია, წიგნების გამო სამსახურს დავკარგავ! ზუი იქიდან მიღიმის – ფურცლებიდან – თანამშრომლები კი უკვე მოსასამძიმრებლად შემოქუჩებულან ჩემ გარშემო, ხმას ვერავინ ვერ იღებს, ისევ მე ვამბობ:

– ახლა გამაგდებენ.

მართლაც, რამდენიმე წუთში უფროსის კაბინეტისკენ მიხმობენ. არ მახსოვს, როგორ დავტაცე ხელი სელენჯერს, ხელში მიჭირავს და ვფიქრობ, რომ პუპუნას ავუხსნა – თუ რა მაგარი წიგნია „ფრენი და ზუი“. მოვიფიქრე ისიც, რომ ციტატები წავუკითხო და ვუთხრა, რომ ღმერთი ცოცხლდება, ქრისტეს აფდეითია, იესო ბრუნდება აქ, ოფისში, ბრუნდება ამ წიგნის საშუალებით, სახარებაა! იქნებ რელიგიაზე აპელირებამ გაჭრას, უფროსებს ხო ასეთი უცნაური თვისება აქვთ – ღმერთის ბრმად სწამთ, საკრალურად, ისე, როგორც პირველყოფილებში! შეიძლება იმისიც სწამთ, რომ ღმერთის ხელი ურევია ახალ ბიუჯეტში.

არ მახსოვს, როგორ შევედი პუპუნას კაბინეტში, სადაც პუპუნა და თავად ის, ის, ჰო დიდი თუა დამიხვდნენ. დიდი თუა ზის, პუპუნა კი დგას, დიდი თუა იწყებს:

– თქვენი CV ვნახე. გიმუშავიათ მასწავლებლად, ჩვენთან სტაჟიორიც ყოფილხართ, აგერ უკვე შვიდი წელია, პირნათლად ემსახურებით სახელმწიფოს, თქვენით ძალიან კმაყოფილი ვარ, ამიტომ წიგნის კითხვის გამო კი არ გათავისუფლებთ, არამედ გაწინაურებთ! თქვენ იქნებით სტაჟიორების მთავარი ზედმახედველი, მთელი სტაჟიორების უფროსი!

მე ვდგავარ... არა, ამას დგომა არ ჰქვია. მიწიდან ოდნავ მაღლა ავიწიე, სელინჯერი ისევ ხელში მიჭირავს, ჩემი დროც დადგა – მაწინაურებენ, უფროსი გავხდები! შვიდწლიანი მუშაობა დამიფასდა, თვით დიდმა თუამ შემამჩნია! ახლა ყველაფერი შეიცვლება! კარგი ხელფასი, კარგი მანქანა; სახლსაც ვიყიდი! ჩემს ცხოვრებას ავიწყობ! მე უფროსი ვხდები!

– გილოცავთ, ბატონო ნიკოლას, – დიდი თუა წამოდგა და ხელს მიწვდის. სელენჯერი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადამაქვს და მარჯვენას დიდ თუას გავუწოდებ. ის ისაა, უნდა გავუშვა ხელი, რომ:

ბბრრრუუუხ!

გარედან ისმის გამჭოლი ხმა. საკონსულტაციო სივრციდან ხმაური ამოდის,

მიკროფონი ჭყრიალებს, ვიღაც ხმას ამოწმებს. სამივე: მე, პუპუნა და დიდი თუა უფროსის ოთახიდან გავდივართ და მესამე სართულის ჯეგირიდან ვიყურებით, ქვევით კი ის ხდება! ქვევით კი უკვე დინამიკები მოუტანიათ, საკონსულტაციო სივრცეში, მოქალაქეთა მისაღებ უზარმაზარ დარბაზში ხახვები და ნიორები ყრია, სტაჟიორებს დიპლომები აუწვდენიათ მაღლა. ჩემი გეგმა! ეს ხომ ჩემი ამბოხი იყო! ჩემ გარეშე გადაწყვიტეს ასრულება? ხომ ვუთარი, დიდი თუა რომ მოვა მაშინ-მეთქი და აი, ისინი ამას ახლა აკეთებენ. ტელევიზიები შემოცვივდნენ კარში; კამერები აჩახჩახდა, მოქალაქეები სტაჟიორების გარშემო იკრიბებიან; გაორგი ავანსცენაზე ადის და ჩემს ტექსტს კითხულობს!

„ნიკოლასის სახელით! ყურადღება მოქალაქეებო, ყურადღება, ქალბატონებო და ბატონებო! მოგმართავთ სტაჟიორები!“ მე გაოცებული ვტრიალდები პუპუნასკენ, ის გაბრაზებული შემომცქერის:

– ეს რა ხდება!?

– სტაჟიორებს არ მოსწონთ თავიანთი პირობები, – ბრძნულად ასკვნის დიდი თუა.

ქვევით გაორგი განაგრძობს არზის კითხვას:

„ექვსი თვე იწურება; თითოეული ჩვენგანი პირნათლად ასრულებდა დავალებას! თითოეული ჩვენგანი დაუღალავად მუშაობდა და იმსახურებს სამსახურში აყვანას“.

დიდი თუა ჩემკენ ტრიალდება:

– მაშ ასე, ბატონო ნიკოლას, თქვენი პირველი დავალებაც უფროსის რანგში! მოაგვარეთ ეს ამბოხი! – და მშორდება. პუპუნა უკან გაეკიდება დიდ თუას, მე ვტრიალდები ჯეგირისკენ და ვუყურებ სცენას.

„ხახვისა და ნიორის გარეშე ეგვიპტელი მონებიც არ მუშაობდნენ!“ ერთხმად ყვირიან სტაჟიორები და დიპლომებს ხელში აფრიალებენ; მოქალაქეები ტაშს უკრავენ, კამერები სხვადასხვა რაკურსით იღებენ ყველაფერს, გაჯგიმული უფლებადამცვლები სეირით ხარობენ, გულანთებული სტაჟიორები ყვირიან:

„ნიკოლასის სახელით! ნიკოლასის სახელით!

ხახვითა და ნიორით ნიკოლასის სახელით!“

კისერზე ჩამოკიდებულ ნიორისა და ხახვის აცმებს მოიხსნიან და ჰაერში ისვრიან, დიპლომებსაც ჰაერში ააფრიალებენ; დომხალია... „ვიღაცამ უნდა დაალაგოს ეს არეულობა!“ – ვეუბნები ჩემს თავს, თან მსიამოვნებს, რა ლამაზი ამბოხი მოვაწყვე! ხელში ისევ სელენჯერი მიჭირავს. ჩემო წიგნებო, სადამდე მიმიყვანეთ; ეს ყველაფერი საიდან დაგროვდა, საიდან გაიბედა? მოქმედების დროა!

ახლა?

ახლა რა უნდა ვქნა? ხომ არ აჯობებს, შევუერთდე და ჩემივე გეგმას ჩავუდგე სათავეში? როგორ, მე ხომ ახლა მათი უფროსი ვარ, სიტუაცია უნდა დავაწყნარო, ყველაფერი უნდა მოვაგვარო! კი, მაგრამ მათ ვუღალატო? თუ თავს ვუღალატო, ამდენწლიანი მუშაობით უფროსობა მოვიპოვე, ახლა რა ჯანდაბა უნდა ვქნა? ვინ ვარ? როგორი ვარ? მეამბოხე თუ სისტემის შვილი?

„ილ კონფორმიზმო“ თუ „მეოცნებენი“ ?

ოი, ბერტოლუჩი!

ოი, შე იტალიელო გარეწარო!

ოი, გვახარია!

ოი, გვახარია!

ბადრი სულაძე

•

შეუცნობელი გზის ქვაკუთხედი, ვგრძნობ
მოურჩენელ დარდშიც გასამდეს,
რადგანაც ღამის მისაკუთრებით აღარ ვეკუთვნი არც
იასამნებს...
შემორკალულა ზეცის თაღედი მდუმარე კიბის ცივ
სახელურზე
და ამ სიცივით შეშლილ თვალებში ცრემლად ვაგუბებ
დიდ საყვედურებს...
როგორ გავუხდე წარსულს მაქებრად თუ ყოველ ჯერზე
მომბაძავს მოთქმით...
მინდა, რომ ვიგრძნო, დახშულ სარქველსაც თუ რა
სიმძაფრით მოაწვა ორთქლი...
თუმცა გამრიყეს ტყის ფერდობებმაც და ჩამომკიდეს
მთვარის კაუჭზე,
ღამურისფერი ცის შემოტევას გავუძელი და კვლავაც
გავუძლებ...

სინათლე

გადაუღებლად როდესაც წვიმდა, ნეტავ რაზე
ვლაპარაკობდით,
როცა ატმისფრად გაკვირტულ დილას, ჩამოვატეხეთ
პატარა ტოტი...
მერე რომ ცრემლშიც ვაფესვიანეთ და შევურჩიეთ
დარდის ქოთანიც...
ჩვენ ერთმანეთში ვნახეთ სინათლე, სავსე დილის და
ღამის ლოცვანით...

ზეცას, ამღვრეულს ნიაღვარივით, ვეღარ აკავებს
მიწის ჯებირი...
წლები კი, გულში ტყვიაგავლილი, სულში ყვავიან
გვირილებივით...

●

მე ვგავარ ღეროს,
ბაბუაწვერას
უსახურ და წერწეტა ღეროს...
ჩემს გარშემო კი
ბობოქარი ოკეანის ტალღები ძრწიან
და ირევიან ფიქრები, როგორც
თეთრი, უმწეო ბუსუსები ქარიშხლის შემდეგ, –
რაც ნიშნავს ქაოსს...
როცა მძაფრდება მონატრება
ვრცელი სამყაროს, ვრცელი მინდვრის
ყვითელი ყვავილის,
რომელშიც ისევ პირველყოფილი
სული კიაფობს...
და ვეჭიდები ამ უსასრულო ოკეანის
ოქროსფერ ტალღას,
ისევ და ისევ ჩემი სულის გადასარჩენად...

●

როგორ მომწონდა მინდვრის სიმწვანე, –
ფერი ბაყაყის... პეპლის... კალიის...
ახლა კი შიშის დიდი სიცხადე
ჩემს მარტოობას ეკვრის რკალივით...

გამოვერიდე გზას ჭაობიანს,
თუმცა მდინარის პირზეც ისლია...
სიცარიელემ ცა ჩამობინდა
და გზას ვადგავარ ისევ ნისლიანს...

ნისლი სულაც რომ მცმოდა ორწყებად,
კვლავ მოლოდინი მქონდა იების...
ახლა კი ლანდად ცოდვა მომყვება, –
ვერშეუმდგარი მონანიების...

●

თუმცა წვიმასაც ავუწყვე ფეხი,
სულ არ უცდია, ჩემთვის აეხსნა, –
რატომ ნაღვლობდა წარსულზე ვერხვი,
მუხას რომ ჭვრეტდა ტყეში ნამეხარს...
ვერ გავარკვიე ბედის რაობა,
თუმცა კი ვსდიე ნისლშიც ქოშინით...

ვერც მწუხრის მთვარემ ვერ მიმატოვა,
წარამარა რომ მიცვლის ქოშივით...

ადრე ფიქრითაც ვგავდი ნიშა ხარს,
რქებით რომ ვჩხვერე მიწის ბელტები...
ახლა კი ვდგავარ დარდის ჭიშკართან
და უსაშველო წვიმით ვსველდები...

შემოდგომა

ჩამოიფერთხა გაყვითლებული ბოლო ფოთოლი
ბებერმა ვაშლმა...
მთელი გული რომ ერთ ამოსუნთქვას ამოაყოლა...
და გამახსენა ბებიაჩემი, –
კაბაზე მიკრულ ლობიოს ფოთლებს ეჭვნარევად
რომ იშორებდა –
ღმერთი მომავალ ლობიობას თუ მომასწრებსო...

ბეთანიამდე

დამიმარტოვა მონატრების სევდამ კედელზე
და ლამის ფიქრიც ფრესკად მექცა ბეთანიაში...
ჩემი სხეული, როგორც ნავი სველმა მეთევზემ,
კვლავ შევაცურე შემოდგომის ფერთა რიალში...

მოვცილდი ნაპირს, რადგან ბედმა უნდა მატაროს,
როგორც ფოთოლი, მოწყვეტილი ვერხვის ტოტიდან...
ღამის ჭიდილში განწირული სუნთქვაც ამტანობს,
როცა ხის ძირში თვითონ ღმერთიც ვერ მიპოვიდა...

სველი ლაბადით დამძიმებულ სხეულს მივათრევ,
შუბლით შევიგრძნობ მიწას, როგორც მეტანიაზე...
გამოიმეტებს ვერცხლის მთვარე ჩვეულ სინათლეს
და გზას გამიკვლევს... გზას გამიკვლევს... ბეთანიამდე...

ნუ შემაჩვენებ...

როდესაც მთვარის მცირედი ვერცხლიც წააგავს ლამფის
შუშის ნამსხვრევებს,
შენ ელოდები სხივების მეჯლისს, ფშანებს რომ ცისკრის
შუქში გახვევენ...
შენ გინდა, ვნება მოგაწვეს კვირტის, ატმის ხესაც რომ
მარჯნით დაფიფქავს,

მაგრამ არ გინდა, რომ ჩასწვდე ტკივილს... ბალახის
ტკივილს და მის საფიქრალს...
ტბასშეჩვეული უკვე იხვებიც ფრთას სულ თავიდან გუბეს
აჩვევენ...
და ჩემს ტკივილსაც თუ ვერ მიხვდები... თუ ვერ
მიხვდები... ნუ შემაჩვენებ...
მე მქვია სიტყვა, რომელსაც ეძებ... ჩიტმა რომ ფრთების
ფორმით გაშალა,
მაგრამ მპოულობ ეკლიან ძეძვზეც, ანდა ხავსიან ყორის
ნაშალთან...

●

ახლა შენ იარე ფეხაკრეფით,
შენი პატარა ანგელოზის საწოლთან ახლოს,
მთვარეულის მოზომილი ნაბიჯებით...
ისე, როგორც მე დავდიოდი...
ახლა შენ უცვალე საფენები დილა-საღამოს,
ნახევრად გამოუძინებელმა და ფერდაკარგულმა...
ახლა შენ უზომე ლუკმების დოზა
ბელურასავით, უხერხულად რომ არ გადასცდეს...
მერე კი, ტიკჭორასავით გატიკნილი შემოსვი
მაგ დაღლილ მხრებზე და ათასმეერთედ გაუმეორე, –
„აჩუ, აჩუ, ცხენო, საით გაგაჭენო...“
ახლა შენ ჩამოჯექი ნიკელისთავებიან,
ზამბარიან საწოლზე და იხტუნავე მასთან ერთად,
ნანაააა... ნანااა-ს ძახილით,
სანამ შენ თვითონ არ ჩაგეძინება
და მისი უეცარი შეკივლება
არ გამოგაფხიზლებს...
ახლა შენ... ისე, როგორც მე, თავის დროზე...
მანამდე, სანამ...
შენი პატარა არ დაიწყებს ფეხაკრეფით სიარულს,
თავისი პატარა ანგელოზის საწოლთან ახლოს,
მთვარეულის მოზომილი ნაბიჯებით...
ისე, როგორც შენ დადიოდი...
და მერე იგრძნობ, ეს ნიშნისმოგებით საუბარი
თუ როგორ უდრის დამღლელ სიცოცხლეს...
დამღლელს, მაგრამ დიდი ბედნიერებით სავსეს...

ფერისცვალებით...

ნეტავი ახლაც, ძველ ფიცრულ სახლთან
იდგეს ბოჩოლა,
წაბლისფერ შუბლზე მთვარესავით დიდი ნიკორით...
და მოფუსფუსე ბებიაჩემი

თუჯის კარდალით
შრატს უდგამდეს დაცვარულ დრუნჩთან,
მარილებისგან დახუთული ხელის ცახცახით...
და ამ საქმით დიდ საფიქრალს შეერეოდეს,
როგორც ახალ რძეს მორჩენილი ძველი ნაწველი, –
ფერისცვალებით...
თანაც ჩურჩულით ადიდებდეს ამ დროს მაცხოვარს...
და მარილიან ხელისგულებში აფაფუკებდეს
ყაჭივით გუნდას,
განატეხების გამოსაცხობად...
მოხარშულ სიმინდს
და ერბოსფერში მოხარშულ გოგრას ეფინებოდეს
თაფლისფერი დილის ნათელი...
და ევსებოდეს, ირმის ცურივით ებერებოდეს
გამომშრალ ვაზსაც მტევნები და
სიმინდებს კი ხმელი მარცვლები, –
ფერისცვალებით...
ნეტავი ახლაც, ძველ ფიცრულ სახლთან
იდგეს ბოჩოლა,
წაბლისფერ შუბლზე მთვარესავით დიდი ნიკორით...

●

ვერ დავიჯერე
წუთისოფლის ამაოება
და ჩასაქრობად
განწირული ღადარივით
სულს გიბერავდი...
არ მიმატოვეს
ჩუმი ლოცვის საღამოებმა
და ისევ გიცდი,
სააღდგომოდ შეკერილი
ლურჯი პერანგით...

●

ოჯახს თავისი წესები აქვს... ვიცი – ხრამია...
დიდი ხანია, ვერც წვალებით ვითვლი ბიუჯეტს,
მაგრამ მავანთა გასაკვირად, ის მიხარია,
სულში რომ წვეთავს კესანების დიდი სილურჯე...

ვერც ის სიმუნჯე ველარ მირღვევს წონასწორობას,
სახლის ტელეფონს რომ შეჰყრია ხაზზე ბაცილად...
ვერ დავარღვიე იასამნის რტოსთან სწორფრობა
და მზის სამოსიც გაუხდელად ტანზე მაცვია...

როგორც მთის წყარო, ყელზე მომდგარ ყინულის ნადნობს,
დენის და გაზის გადაუხდელ ქვითრებს ვიკედლებ,
მაგრამ საფიქრალს მოურჩენელ სენივით ვანდობ
გულში ქურდივით შემოპარულ ყვითელ იელებს...

...მიცარიელებს და ფიქრებში ნაყავს უჯრედებს,
თვლის, რომ არ დამრჩა არაფერი ხელშესახები, –
მაგრამ ცხოვრებას, ამგვარ ხრიკებს აღარ ვუჯერებ
და ზამთრის პირზეც, გადაღლილ მზეს ვეძებ ძახველში...

რომ ამოვენთო და ცეცხლივით მოვედო ზეცას,
თუმცა, ქარებმა ფოთოლივით თავსაც მომწყვიტეს...
მინდა, ძახველის მტევნისფერი პერანგი მეცვას
და იასამნის სწორფრად ყოფნაც აღარ მომწყინდეს...

მზით გახუნებულ ფიჭვის კედლებზეც დრო ამოაძრობს
ჟანგიან ლურსმნებს...
თუმცა, დილაც კი ცრემლნარევ ბგერებს, თვალებზე
მომდგარ სიჩუმედ უსმენს...

თუმცა, ღრუბლების ჭაობშიც ჩავრჩი, ფიქრით კვლავ
დავსდევ მწიფე კუნელებს...
მე ვეფერები ბებიის აჩრდილს, დარდით შეჭმულს და
მაინც უვნებელს...

ხორხე ლუის ბორხესი

უანგარო მკვლელი ბილ ჰარიგანი

არიზონის მიწების ხედი – ეს პირველია, რაც წარმოსახვაში გიჩნდება; არიზონის მიწების ხედი და ნიუ-მეხიკოსიც, ამ მიწების ოქროსა და ვერცხლის ღირსშესანიშნავი ნიადაგებით, აჩრდილისებრი და გამაოგნებელი მიწების, სასტიკი ზეგანის მიწებისა და ნაზი ფერების, ფრინველთა მიერ თეთრ ბზინვარებამდე გაწმენდილ ჩონჩხთა მიწების. ამ მიწებში მეორე, რაც წარმოსახვაში ჩნდება, ბილი მკვლელის სახეა – ცხენს შეზრდილი მხედრის; ბოროტი დამბაჩიანი ჭაბუკის, უდაბნოს გამაყრუებლის – უხილავ ტყვიებს რომ აგზავნის, ისინი კი შორ მანძილზე კლავენ, თითქოსდა ჯადოსნურად.

უდაბნო, ლითონებით გაჯერებული, უნაყოფო და მოელვარე. თითქმის ბიჭუნა, ოცდაერთი წლისა, საიქიოს გასტუმრებული, გადაუხდელი ვალით ადამიანთა სამართლიანობის ანგარიშში ოცდაერთი მოკლულის სულისთვის (მექსიკელებზე რომ არაფერი ვთქვათ).

ჭუპრის სტადია

1859 წელს, სადღაც ნიუ-იორკის მიწისქვეშა ჯურღმულებში ქვეყნიერებას მოევლინა ადამიანი, რომელსაც დიდებამ და შიშმა უბოძა მეტსახელი –

მკვლელი ბილი. ამბობენ, სიცოცხლე მას მისცა ირლანდიელი ქალის დაქანცულმა მუცელმა, მაგრამ ზანგებთან გაიზარდა. სიმყრალესა და შავი ძენძის ქაოსში ბილს ამაყ სიხარულს ანიჭებდა ჭორფლები და წითური ქოჩორი. იმით ყოყოჩობდა, რომ თეთრი დაიბადა. იყო შურისმაძიებელი, ღვარძლიანი და ცბიერი. თორმეტი წლისამ დაიწყო მოქმედება „ჭაობის ანგელოსთა“ ხროვაში – კლოაკებში მოთარეშე ციურ ქმნილებებთან.

ღამღამობით, გავარვარებული ჯანღის სუნით გაჟღენთილნი, ისინი მყრალი ლაბირინთიდან გაჩნდებოდნენ ხოლმე, კვალდაკვალ დაედევნებოდნენ გერმანელ მატროსს, კეფაში ჩარტყმით წააქცევდნენ, ყველაფერს ართმევდნენ ქვედა საცვლებამდე და დროის გასატარებელ სხვა ადგილისკენ მიეშურებოდნენ. მათ მეთაურობდა ჭაღარათმიანი ზანგი გეზ ჰაუზენი ჯონსი, რომელზეც ამბობდნენ, რომ ცხენის გათვალვა შეეძლო.

ზოგჯერ ჩამდინარე წყლის ღარის გვერდით მდგარი გადაღრეცილი ქოხის სხვენიდან ქალი ფერფლიან ვედროს დაცლის გამვლელის თავზე. ადამიანი ხელებს ასავსავებს და იხრჩობა. მაშინვე თავს ესხმიან ჭაობის ანგელოსები, სარდაფში მიათრევენ და კუდის რიკამდე ძარცვავენ.

ასეთი იყო ბილ ჰარიგანის განსწავლის წლები, მომავალი მკვლელი ბილის. მისი ყურადღების მიღმა არც თეატრალური სანახაობები რჩებოდა. მოსწონდა ცქერა (ალბათ, არანაირი წინათგრძნობით, რომ თავისი ბედის ნიშან-სიმბოლოს ხედავდა) კოვბოური მელოდრამების.

Go West[1]

გადაჭედილ თეატრებში ბოვერიზე (სადაც მაყურებლები ღრიალებდნენ: „ასწიე ძონძი“, როცა ფარდა ოდნავ აგვიანებდა) მელოდრამები ჭარბობდა – ტყვიებითა და კოვბოებით, ეს კი ძალიან მარტივად აიხსნება: ამერიკას ანდამატივით იზიდავდა დასავლეთი. ჩამავალი მზის მხარეში იმალებოდა ნევადისა და კალიფორნიის ოქრო. ჩამავალი მზის მხარეში იყო სეკვოია, ნაჯახი რომ არ გაჰკარებია, და ბაბილონურად უზარმაზარი ბიზონის ფიზიონომია, მაღალციანი ქუდი და ბრაიამ იანგის[2] განიერი სარეცელი, წითელკანიანთა ადათ-ჩვეულებები და რისხვა, უდაბნოს უღრუბლო ცა, ვეება პრერიები, მადლიანი ყამირი, რომლის სიახლოვე გულს აიძულებდა, უფრო მძლავრად ეძგერა, ისე, როგორც ზღვების სიახლოვეს. შორეული დასავლეთი იხმობდა. უთვალავ ცხენთა უწყვეტი თქარათქური ავსებს იმ წლებს: თქარათქური ათასობით ამერიკელის, დასავლეთს რომ იპყრობენ. ამ პროცესიას შეემატა ყველა საქმიდან მუდამ მშრალად გამომსვლელი ბილ ჰარიგანიც, 1872 წელს გამოქცეული ციხის საკნიდან.

მექსიკელის მკვლელობა

ისტორიას (რომელიც ზოგიერთი რეჟისორის მსგავსად, არ იცავს სცენათა თანმიმდევრობას) ახლა გადავყავართ უბრალო ტავერნისკენ, უკიდეგანო უდაბნოში რომ ჩაკარგულიყო, ვით ღია ზღვაში. მოქმედების დროა 1873 წლის ავდრიანი ღამე; მოქმედების ადგილი – ლიანო ესტაკადო (ნიუ-მეხიკო). მიწა თითქმის არაბუნებრივად გლუვზედაპირიანი, მაგრამ ცა აჩეხილი ვეებერთელა ღრუბლებში,

1 დასავლეთისკენ (ინგლ.).

2 1801-1877წწ.თავკაცი მორმონების სექტისა, რომელიც მრავალცოლიანობას უშვებს.

3 მექსიკური ფული, პესო.

ქარით და ნახევარმთვარით რომ ქუცმაცდება – თითქოს მთები და უფსკრულები მოძრაობენ. პრერიაში გამოთეთრებული ძროხის თავის ქალა, ღმუილი და კოიოტის თვალები სიბნელეში, ტანადი რაშები, შუქის ზოლი ტავერნის კარიდან. შიგნით – ბარის დახლზე იდაყვებდაბჯენილი, დაქანცული და ძლიერი ჭაბუკები ამაფორიაქებელ სპირტიან სასმელებს შეექცევიან და ხმამაღლა აჟღარუნებენ არწივისა და გველის[3] გამოსახულებიან ვერცხლის დიდ მონეტებს. რომელიღაც მთვრალმა ნაღვლიანი სიმღერა გააბა. ვიღაც გაუთავებელ „ეს“-ებიან ენაზე ლაპარაკობს, ალბათ, ესპანურზე, მაგრამ ისინი, ვინც ასე საუბრობენ, საზიზღარი ხალხია. ბილ ჰარიგანი – ჯურღმულების წითური ვირთხაც დახლთანაა ამ მსმელებში. მან უკვე რამდენიმე სირჩა გადაკრა და ერთიც უნდა, ალბათ, იმიტომ, რომ ერთი სენტავოც აღარ აქვს. მას თრგუნავენ ამ ვაკეების მკვიდრნი. ისინი ეჩვენება მძვინვარეებად, ბრწყინვალეებად, იღბლიანებად, საშინლად მოხერხებულებად, ველურ ცხენებსა და ოჩან ულაყებს რომ იმორჩილებენ.

უცებ სრული სიჩუმე დგება. ამაზე არაფერი იცის მხოლოდ იმ მთვრალმა მომღერალმა. შემოდის რკინისმკვნეტელ ჭაბუკებზე მძლავრი მექსიკელი, ხნიერი ინდიელი ქალის სიფათიანი. ცუდი ინგლისურით იგი მშვიდობიან ღამეს უსურვებს ყველა გრინგოს, მამაძაღლებს, ტავერნაში მოქეიფეებს. გამოწვევაზე არავინ უპასუხებს. ბილი კითხულობს, ვინაა. მას ფრთხილად წასჩურჩულებენ, ეს დიეგოაო, ანუ ის დიეგო თუ ბელიასარიო ვილიაგრანი ჩიუაუადან. აქვე გასროლამ იქუხა. მძლავრ ზურგთა პარაპეტს ამოფარებული ბილი ტყვიას ახლის კადნიერად მოსულს. სირჩა ვარდება ვილიაგრანის ხელიდან, მერე სხეულიც ეცემა. მეორე ტყვია ზედმეტია. ბილმა პეწენიკის ცხედარს მზერა არ აღირსა, საუბარს განაგრძობს. „ნუთუ? – ამბობს იგი. – მე კი ბილ ჰარიგანი ვარ ნიუ-იორკიდან“. მთვრალი მღერის, ყურადღებას არავის აქცევს.

შეიძლება წარმოვიდგინოთ აპოთეოზი. ბილს ხელს ართმევენ და მისთვის ქება-დიდებას არ იშურებენ. ვისკით უმასპინძლდებიან, თან გაჰყვირიან – „ვაშა!“ ვიღაცამ მოიფიქრა ეთქვა, რომ ბილის რევოლვერს არა აქვს ნაჭდევი და დროა პირველის აღნიშვნა ვილიაგრანის მოკვლის პატივსაცემად. მკვლელი ბილი ამ ადამიანის დანას იტოვებს სამახსოვროდ ასეთი შენიშვნით: „მექსიკელებისთვის მეტისმეტი პატივი ხომ არაა“. მაგრამ საქმე, როგორც ჩანს, არ მთავრდება. დაღლილი ბილი მოსასხამს გაშლის მიცვალებულის გვერდით და ყველას თვალწინ იძინებს მზის ამოსვლამდე.

მკვლელობა მკვლელობისთვის

ამ ბედნიერი გასროლით (თოთხმეტი წლის ასაკში) დაიბადა მკვლელი ბილი, გმირი, და მოკვდა გაქცეული ტუსაღი ბილ ჰარიგანი. ნაძირალა, რომელიც მიყრუებულში ძარცვავდა, ამაღლდა კოვბოიმდე, უწესოდ იქცეოდა საზღვრებზე. ცხენზე დაჯდა და უნაგირზე სწორი ჯდომა ისწავლა, ისე, როგორც ვაიომინგში და ტეხასში დადიან, და არა უკან გადახრით, როგორც ჯირითობენ ორეგონსა და კალიფორნიაში. მან ვერ მოახერხა, ცხოვრებაში მასზე შექმნილი ლეგენდისთვის ხორცი შეესხა, თუმცა ამასთან ახლოს იყო. ამ კოვბოიში ყოველთვის რაღაცა რჩებოდა ნიუ-იორკელი ქურდისა. მექსიკელები ისევე სძულდა, როგორც ზანგები, მაგრამ უკანასკნელი სიტყვები (უწმაწური) ესპანურად წარმოთქვა. ხეტიალის ხელოვნება კვალმაძიებლებისგან შეიძინა. მეორე ხელოვნება აითვისა, უფრო ძნელი – ადამიანებზე მბრძანებლობა. ერთიც და მეორეც დაეხმარა, რომ მარჯვე ცხენიპარია გამხდარიყო. ზოგჯერ მეხიკოს გიტარები და ბორდელები იზიდავდა.

ძილზე უარს ამბობს, ოთხი-ხუთი დღე-ღამე გადაბმულად ატარებს დროს

ყაჩაღთა კომპანიაში. და როცა ორგია ყელში ამოსდის, ანგარიშს ტყვიებით ასწორებს. ვიდრე თითი სასხლეტზე ედო, ყველაზე ავბედითი (და იქნებ, ყველაზე არარაობა და მარტოხელა) კოვბოი იყო იმ არემარეში. ბილის მეგობარმა გარეტმა, შერიფმა, მერე მას ტყვია რომ უთავაზა, ერთხელ თქვა: „მე გულმოდგინედ ვვარჯიშობდი ზუსტ სროლაში, კამეჩებს ვკლავდი". „მე ვვარჯიშობდი კიდევ უფრო გულმოდგინედ, ვკლავდი ადამიანებს", – თავაზიანად შენიშნა ბილმა. დეტალები ძნელად აღსადგენია, მაგრამ იცის, რომ მის სინდისზე ოცდაერთი მოკლულია, „მექსიკელებზე რომ არაფერი ვთქვათ". შვიდი ყველაზე ფათერაკიანი წლის მანძილზე იგი სარგებლობდა ისეთი ფუფუნებით, როგორიც უგუნურობაა.

1880 წლის 25 ივლისის ღამით მკვლელი ბილი თავის ჩალისფერ ცხენს მიაჭენებდა ფორტა სამერის მთავარ ან, იქნებ, ერთადერთ ქუჩაზე. იდგა დამთრგუნველი ბუღი, არავინ ანთებდა ფარნებს. ვერანდაზე, სარწეველა სკამზე მჯდომმა კომისარმა გარეტმა იძრო რევოლვერი და ტყვია მუცელში დაახალა. ცხენი რბოლას განაგრძობდა, მხედარი მოუკირწყლავ ქუჩაზე იკრუნჩხებოდა. გარეტმა კიდევ ერთი ტყვია გაგზავნა. ხალხმა (რომ გაიგო, მკვლელი ბილი დაჭრილია) ფანჯრები მაგრად ჩარაზა. აგონია ხანგრძლივი იყო და ცის შემბილწავი. როცა მზე შუბის წვერზე იდგა, მასთან მივიდნენ და იარაღი ააცალეს. ის მკვდარი იყო. და უმაქნის ბარგს ჰგავდა, როგორც ყველა მიცვალებული.

ბილი გაპარსეს, შემოსეს მზა ტანსაცმლით და საფრთხობელად და სალიზღოდ გამოფინეს საუკეთესო მაღაზიის ვიტრინაში. მესამე დღეს კვლავ გაპარსეს და შეალამაზეს. მეოთხე დღეს კი სიხარულით დაკრძალეს.

დაღლილი კაცის უტოპია

უწოდებდნენ მას „უტოპიას", ბერძნული სიტყვით, რაც ნიშნავს, რომ ასეთი ადგილი არ არსებობს.

კევედო

არ არსებობს ორი ერთნაირი მთა, მაგრამ ვაკე ყველგან ერთნაირია. მივდიოდი ტრამალის გზაზე. საკუთარ თავს სხვათა შორის ვეკითხებოდი, ნეტა, ოკლაჰომაში ვარ, ტეხასში თუ იმ ადგილას, რასაც ლიტერატორები პამპას უწოდებენ. არც მარჯვნივ, არც მარცხნივ ცეცხლი არ ჩანდა. უწინდებურად ვჩურჩულებდი ემილიო ორიბეს სტრიქონებს:

უკიდეგანო პანის მინდვრებში
ბრაზილიასთან ახლოდ, –

რაც სულ უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ ჟღერდა.

გზას ძლივს ვარჩევდი. წამოწინწკლა. ორასი-სამასი მეტრის მანძილზე უცებ შუქი და ფანჯარა დავინახე. სახლი დაბალი იყო, მართკუთხა და ხეებს ამოფარებული. კარი ისე მაღალმა კაცმა გააღო, რომ თითქმის შემეშინდა. შავები ეცვა. ვიფიქრე, ვილაცას ელოდებიან-მეთქი. კარი ჩაურაზავი დაეტოვებინათ.

ხის კედლებიან გრძელ ოთახში შევედით. ჭერში ლამპა ეკიდა, იგი მოყვითალო შუქს აფრქვევდა. მაგიდამ,

1 ძველი ფრანგული პროვინციის – ლიმოჟის მცხოვრებთა კილო.
2 კუნძულ კიურასაოს მცხოვრებთა კილო (მცირე ანტილიის კუნძულები).

ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. მასზე იდგა წყლის საათი, ახლა პირველად რომ ვხედავდი, თუ ძველებურ გრავიურებს არ მივიღებთ სათვალავში. კაცმა სკამზე მიმითითა.

მე მას სხვადასხვა ენაზე მივმართავდი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. როცა მისი ჯერი დადგა, ლათინურად დაიწყო. მეხსიერება დავძაბე, სკოლაში შეძენილ ცოდნას მოვუხმე და საუბრისთვის მოვემზადე.

– შენი ტანსაცმლის მიხედვით ვხვდები, რომ სხვა საუკუნიდან მოხვედი, – მითხრა მან. – ენათა განსხვავებულობა გამოწვეულია თემთა განსხვავებულობით, ასევე ომებით. მაგრამ მსოფლიო ლათინურს დაუბრუნდა. ვიღაცა შიშობს, რომ იგი ისევ წახდება და კვლავ გადავლენ ფრანგულზე, ლემოზინსა და პაპიამენტოზე, მაგრამ ეს უბედურება არცთუ მალე დატრიალდება. თუმცა არც ის, რაც იყო, და რაც მომავალში გველოდება, არ მაღელვებს.

მე გავჩუმდი, მან კი დაამატა:

– თუ სხვისი ჭამის ცქერა ზიზღს არ გგვრით, იქნებ, დამეწვიოთ.

მივხვდი, დაბნეულობა შემნიშნა და დავეთანხმე.

გადავჭერით გვერდითაკარიანი დერეფანი და შევედით სამზარეულოში, სადაც ყველაფერი ლითონისა იყო. უკან დავბრუნდით სავახშმო ლანგრებით. ზედ ეწყო თასები მოხარშული სიმინდით, ყურძნის მტევანი, უცხო ხილი, გემოთი ლეღვს რომ მოჰგავდა, და უზარმაზარი წყლიანი დოქი. პური არ იყო. ჩემს მასპინძელს მკვეთრი სახის ნაკვთები ჰქონდა, თვალთა გამომეტყველება აღუწერლად უცნაური. რა დამავიწყებს ამ კუშტ და ფერმკრთალ სახეს, რომელსაც აღარასდროს ვნახავ. კაცი ჟესტების გარეშე საუბრობდა. მბოჭავდა ლათინურის ეთიკა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მეკითხა:

– არ გაგაოცა ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ?

– არა, – მიპასუხა მან. – ასეთი ვიზიტები ხდება ხოლმე საუკუნიდან საუკუნემდე. დიდხანს არ გრძელდება, ჰა, ჰა, ხვალ უკვე შინ იქნები.

მისმა დამაჯერებელმა ხმამ დამამშვიდა. აუცილებლად ჩავთვალე, თავი წარმედგინა:

– ეუდორო ასევედო. დავიბადე 1897-ში, ქალაქ ბუენოს-აირესში. შემისრულდა სამოცდაათი წელი. ვასწავლი ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურას, ვწერ ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობებს.

– მახსოვს, არცთუ უინტერესოდ წავიკითხე ორი ფანტასტიკური თხზულება, – მიპასუხა მან, – კაპიტან ლემიუელ გულივერის მოგზაურობანი, რომელსაც ბევრი სინამდვილედ მიიჩნევს, ასევე "Summa Teologica". მაგრამ ფაქტებზე ნუ ვისაუბრებთ, ფაქტები აღარავის აღელვებს, ეს ამოსავალი წერტილებია შეთხზვისთვის და მსჯელობისთვის. სკოლაში ყველაფერში ეჭვის შეტანასა და დავიწყების უნარს გვაჩვევენ. უპირველეს ყოვლისა, პირადულისა და კერძოს დავიწყებას. ჩვენ დროში ვარსებობთ, რომელიც ხელში გვადნება, მაგრამ ვცდილობთ, ისე ვიცხოვროთ, Sub Specie aeternitatis[1]. წარსულიდან ერთეული სახელები გვრჩება, მაგრამ ისინი ქრებიან ჩვენი მეტყველებიდან. ჩვენ თავს ვარიდებთ არასაჭირო დაზუსტებებს. არც ქრონოლოგიაა, არც ისტორია, სტატისტიკაც არა. შენ მითხარი ეუდორო მქვიაო. მე არ შემიძლია ჩემი სახელი გითხრა, რადგან „ვინმეს" მეძახიან.

– მამაშენის სახელი რაა?

– მას არ ჰქონია სახელი.

კედელზე თარო შევნიშნე. რაღაც ერთი წიგნი გადავშალე. ასოები მკაფიო, უცნობი იყო, ხელით ნაწერი. მათმა კუთხოვანმა ფორმებმა რუნიული დამწერლობა გამახსენა, რომელსაც მხოლოდ საკულტო წარწერებისთვის იყენებდნენ. გავიფიქრე, რომ მომავლის ადამიანები

არა მხოლოდ მაღალნი იყვნენ, არამედ გერგილიანებიც. უნებლიეთ მის თხელ, მოგრძო თითებს დავხედე.

და გავიგონე:

– ახლა იმას დაინახავ, რაც არასდროს გიხილავს.

მან მოწიწებით მომაწოდა მორის „უტოპიის“ ეგზემპლარი, ბაზელში გამოცემული 1518 წელს. წიგნს მრავალი ფურცელი და გრავიურა აკლდა.

თავმომწონედ ვთქვი:

– ეს ბეჭდვითი გამოცემაა. შინ ესენი ორი ათასზე მეტი მაქვს, თუმცა არა ასეთი ძველი და ძვირფასი, – და ხმამაღლა წავიკითხე სათაური.

მან გაიცინა.

– არავის შეუძლია ორი ათასი წიგნის წაკითხვა. ოთხი ასეული წლის მანძილზე, მე რომ ვიცხოვრე, ნახევარ დუჟინზე მეტი ვერ ავითვისე. გარდა ამისა, წაკითხვა ისე მნიშვნელოვანი არაა, როგორც ხელთავიდან გადაკითხვა. ბეჭდვა, რომელიც ახლა გაუქმებულია, კაცობრიობის უსაშინლესი ბოროტება იყო, რაც არავისთვის საჭირო ტექსტების ჭკუიდან შეშლამდე გამრავლების საშუალებას იძლეოდა.

– ჩემს ცნობისმოყვარე წარსულში, – მივუგე მე. – მეფობდა ველური ცრურწმენა: სირცხვილად ითვლებოდა, არ გცოდნოდა ყველაფერი, რაც ყოველდღე ხდებოდა დილიდან საღამომდე. პლანეტა გადატენილი იყო მოჩვენებითი გაერთიანებებით, როგორებიცაა კანადა, ბრაზილია, შვეიცარიული კონგო და საერთო ბაზარი. თითქმის არავინ იცოდა წინარე ისტორიები ამ პლატონური წარმონაქმნების შესახებ. სამაგიეროდ, გათვითცნობიერებულნი იყვნენ მასწავლებელთა უკანასკნელი კონგრესის წვრილმანებში, დიპლომატიური ურთიერთობების გადაწყვეტის საკითხებში და საპრეზიდენტო გზავნილებში, რომლებიც შედგენილია მდივანთა მდივნების მიერ იმ ბრძნული ბუნდოვანების ფორმულირებით, რაც ამ ჟანრს ახასიათებდა. ყველაფერს კითხულობდნენ მყისიერად დასავიწყებლად, რათა ძველი მალევე შეეცვალათ ახალი ხრიკით. პოლიტიკა ყველა საქმიანობიდან უთუოდ იყო ყველაზე თვალში საცემი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ელჩებსა და მინისტრებს ხეიბრებივით დაატარებდნენ მოტოციკლისტებითა და ცერბერებით გარშემორტყმული გრძელი, აბღავლებული ავტომობილებით, რომლებსაც გახარბებული ფოტოგრაფები უსაფრთებოდნენ. მათ თითქოს ფეხები მოკვეთესო, ამბობდა ხოლმე დედაჩემი. ასახვა და ბეჭდვითი სიტყვა უფრო რეალური იყო, ვიდრე სინამდვილე. ჭეშმარიტებად მხოლოდ გამოქვეყნებული ითვლებოდა. Esse est percipi (არსებობ – უნდა აგსახონ). ასეთი იყო პრინციპები, საშუალებები და მიზნები ჩვენი ცხოვრების თავისებური კონცეფციის. ჩემს წარსულში ადამიანები გულუბრყვილოები იყვნენ, სწამდათ, რომ შესანიშნავი ისაა, რასაც ამტკიცებენ და რაზეც გაუთავებლად გვიჩიჩინებენ მისი მწარმოებლები. უნდა ითქვას, რომ ხშირად ქურდობაც ხდებოდა, თუმც ყველამ იცოდა, ფულს არც დიდი ბედნიერება მოაქვს, არც ღრმა სიმშვიდე.

– ფული? – გაიმეორა მან. – ახლა უკვე ვეღარ ნახავთ მსგავს მტანჯველ სიღარიბეში ჩავარდნილთ, ვერც ისეთ სიმდიდრეს, რომელიც უმსგავსობის ყველაზე გამაღიზიანებელ ფორმად აღიქმება. ყველა მსახურობს.

– როგორც რაბინი? – მივუგე მე.

ჩანდა, ვერ მიმიხვდა და განაგრძობდა:

– ქალაქები უკვე აღარაა. ბაიი ბლანკის ნანგრევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც ცნობისმოყვარეობის გამო გამოვიკვლიე, არც მაინცადამაინც ბევრი დაგვიკარგავს. იმდენად, რამდენადაც არ არის საკუთრება, არც მემკვიდრეობა არსებობს. როდესაც ადამიანი – ასი წლისა – ჩამოყალიბდება, იგი მზადაა, აიტანოს საკუთარი თავიცა და მარტოობაც, რადგან მაშინ

აღზრდის თავის ერთადერთ ვაჟს.

– ერთადერთს? – ჩავეკითხე მე.

– დიახ, მხოლოდ ერთადერთს. არ ღირს ადამიანის ჯილაგის გამრავლება. ვიღაცას ჰგონია, რომ ადამიანი სამყაროს შეცნობის ღვთიური იარაღია, მაგრამ დარწმუნებით არავის შეუძლია თქვას, არსებობს კი თვით ეს ღვთაება? მიმაჩნია, რომ ახლა განიხილება მოგება და დანაკარგი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დედამიწის ბინადართა ნაწილობრივი ან ზოგადი და ერთდროული თვითმკვლელობა. თუმცა თემას დავუბრუნდეთ.

თავი დავუქნიე.

– ას წელს მიტანებულ ადამიანს შეუძლია შესძულდეს სიყვარულიც და მეგობრობაც. ამიერიდან მას არც ავადმყოფობა ემუქრება, არც სიკვდილის შიში. იგი დაკავებულია ერთ-ერთი ხელოვნებით, ფილოსოფიით, მათემატიკით ან, ბოლოს და ბოლოს, ჭადრაკს ეთამაშება თავის თავს. თუ მოესურვა, თავს მოიკლავს. ადამიანი საკუთარი სიცოცხლისა და საკუთარი სიკვდილის ბატონ-პატრონია.

– ეს ციტატაა? – ვკითხე მე.

– რასაკვირველია. ციტატების გარდა რაღა დაგვრჩენია. ჩვენი ენა ციტატების სისტემაა.

– რას იტყოდი ჩემი ეპოქის უდიდეს მოვლენაზე, – ვუთხარი. – სივრცეში გაფრენაზე?

– უკვე მრავალი საუკუნეა, უარი ვთქვით ასეთი სახის გადაადგილებებზე, რაც, უთუოდ, შესანიშნავი იყო. მაგრამ ვერასდროს გავთავისუფლდებით გაგებებისგან – „აქ“ და „ახლა“.

და ღიმილით დაუმატა:

– გარდა ამისა, ნებისმიერი მოგზაურობა სივრცეში გადაადგილებაა – პლანეტიდან პლანეტაზე თუ მეზობელ სოფელში. როდესაც ამ სახლში შემოხვედი, სივრცეში ერთ-ერთი მოგზაურობა დაასრულე.

– რა თქმა უნდა, – ვუპასუხე. – ჩვენთან ბევრს ლაპარაკობდნენ, აგრეთვე, ქიმიურ პროდუქტებზე და ცხოველთა გადაშენების შესახებ.

თუმცა კაცი ზურგით დადგა ჩემკენ და ფანჯარაში იყურებოდა. გარეთ თეთრად მოჩანდა ველი – მდუმარე თოვლისა და მთვარის ქვეშ.

შეკითხვის მიცემა გავბედე:

– გაქვთ თქვენ მუზეუმები, ბიბლიოთეკები?

– არა. ჩვენ წარსულის დავიწყება გვინდა, რომელიც მხოლოდ ელეგიების შესათხზავად თუ გამოდგება. არ გვაქვს ხსოვნის თარიღები, ასი წლისთავის იუბილეები და გარდაცვლილთა გამოსახულებები. ყველამ საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა განავითაროს ის მეცნიერებანი და ხელოვნებები, რომელთა მოთხოვნილებასაც გრძნობს.

– ესე იგი, ყველა არის თავისი თავის ბერნარდ შოუ, არის თავისი თავის იესო ქრისტე, თავისი თავის არქიმედე?

მან დუმილით გამოხატა თანხმობა. მე შეკითხვების მიცემა განვაგრძე:

– მთავრობებს რაღა დაემართათ?

– მათ, ტრადიციისამებრ, თანდათანობით აღარ გამოიყენებდნენ. მთავრობები ნიშნავდნენ არჩევნებს, აცხადებდნენ ომებს, კრებდნენ გადასახადებს, ახდენდნენ ქონების კონფისკაციას, აწარმოებდნენ დაპატიმრებებს და შემოჰქონდათ ცენზურა, მაგრამ დედამიწის ზურგზე მათ პატივს არავინ სცემდა. პრესამ შეწყვიტა მათი დეკლარაციებისა და ფოტოების გამოქვეყნება. პოლიტიკოსები იძულებულნი გახდნენ, ღირსეული საქმიანობა მოეძებნათ: ერთმა ნაწილმა კომიკოსობას მოჰკიდა ხელი, მეორემ – ექიმბაშობას. სინამდვილეში, რასაკვირველია, ყველაფერი ბევრად უფრო რთულად იყო, ვიდრე ამ ჩემს მონათხრობში.

იგი სულ სხვა ტონალობით განაგრძობდა:

– მე ჩემი სახლი ისეთივე ავაშენე, როგორიც ყველა დანარჩენია. და-

ვამზადე ავეჯი და ყველა სხვა ნივთი. მოვხანი მინდორი, რომელსაც ახალი ადამიანები, ვის სახეებსაც ვერ ვხედავ, ჩემზე უკეთ მოხნავენ. შემიძლია ზოგიერთი რამეც გაჩვენო.

ფეხდაფეხ შევყევი მეზობელ ოთახში. მან აანთო ჭერიდან ჩამოკიდებული ლამპა. კუთხეში არფა შევნიშნე – არცთუ ბევრსიმიანი. კედელზე კვადრატული და მართკუთხა ტილოები ეკიდა, რომლებზეც ყვითელ ფერთა გამა ჭარბობდა.

– ეს ჩემი ნაწარმოებებია, – გამომიცხადა მან.

დავათვალიერე ტილოები და შევჩერდი ყველაზე პატარასთან, რომელიც გადმოსცემდა ანდა მოგაგონებდა მზის ჩასვლას და თავის თავში რაღაც უსაზღვროებას მოიცავდა.

– თუ მოგწონს, შეგიძლია წაიღო იგი მომავალი მეგობრის სამახსოვროდ, – მითხრა თავისი მშვიდი ხმით.

მადლობა გადავუხადე, თუმც სხვა ტილოებმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვერ ვიტყოდი, რომ ისინი თეთრები იყო, მაგრამ მოთეთროდ მეჩვენებოდა.

– ესენი იმ საღებავებითაა დახატული, რომლის აღქმაც შენს ძველისძველ თვალებს არ ძალუძს.

ხელები რბილად შეეხო არფის სიმებს, მაგრამ ძლივს გავარჩიე ცალკეული ხმები.

და ზუსტად მაშინ კარზე კაკუნი გაისმა.

მაღალი ქალი და სამი თუ ოთხი მამაკაცი შემოვიდნენ. შეიძლება გეფიქრა, რომ ყველანი ნათესავები იყვნენ ან ისინი დრომ დაამსგავსა ერთმანეთს. ჩემმა მასპინძელმა ქალს მიმართა:

– ვიცოდი, რომ ამ ღამით შენც მოხვიდოდი. ნილსს ნახულობ ხოლმე?

– ზოგჯერ, საღამოობით. კვლავ მხატვრობითაა შეპყრობილი.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ვაჟიშვილი მეტს შეძლებს, ვიდრე მამამისი.

ხელნაწერები, სურათები, ავეჯი, ჭურჭელი – ყველაფერი გამოვზიდეთ ამ სახლიდან.

ქალი კაცებთან ერთად შრომობდა. მრცხვენოდა ჩემი უღონობის, თითქმის რომ არ მაძლევდა მათი დახმარების საშუალებას. კარი არავის მიუხურავს, და ჩვენ გამოვედით მთელი ავლადიდებით დატვირთულნი. შევნიშნე, რომ სახლის სახურავი ორმხრივად დაქანებული იყო.

თხუთმეტი წუთის სიარულის შემდეგ მარცხნივ გავუხვიეთ. სულ ახლოში გავარჩიე გუმბათიანი რაღაც კოშკისმაგვარი.

– კრემატორიუმია, – თქვა რომელიღაცამ. – შიგნით სიკვდილის კამერაა. ამბობენ, თურმე იგი ერთმა „ფილანტროპმა“ გამოიგონა. როგორც მახსოვს, მას ადოლფ ჰიტლერი ერქვა.

გუშაგმა, ვისი სიმაღლეც აღარ მაკვირვებდა, ცხაურა კარი გაგვიღო. ჩემმა მასპინძელმა რამდენიმე სიტყვა წაიდუდუნა. ვიდრე შიგნით შევიდოდა, ხელის დაქნევით დაგვემშვიდობა.

– ისევ მოთოვს, – ამოთქვა ქალმა.

ჩემს კაბინეტში, მეხიკოს ქუჩაზე, ვინახავ ტილოს, რომელსაც ვიღაცა მოხატავს... ათასი წლის შემდეგ... მასალებით, დღეს მთელ პლანეტაზე რომაა მოფანტული.

ესპანურიდან თარგმნა ***ლალი ბრეგვაძე-კახიანმა***

ვლადას ბრაზიუნასი

სიტყვების ნუ გეშინია

ვლადას ბრაზიუნასი – თანამედროვე ლიტველი პოეტი და მთარგმნელი. არაერთხელ ყოფილა საქართველოში. ის ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარია; თხუთმეტი წლის განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნალს „ლიტერატურა და ხელოვნება“. პირველი კრებული 1974 წელს გამოსცა, მაგრამ მთელი შვიდი წლის მანძილზე, როგორც „იდეურად გაუაზრებელსა და არასაიმედოს“ ოფიციოზი არ სწყალობდა. 2002 წლიდან ლიტვის მთარგმნელთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია; არის ევროპის პოეტთა საერთაშორისო მოძრაობის Cap a l'Est წევრი. მინიჭებული აქვს უამრავი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პრემია, როგორც ლიტვაში, ისე საზღვარგარეთ.

წერილი ენკენისთვისთვის

შემოდგომაა ნამდვილი ჩვენთან,
ყავისფერდება სულები ხეთა.
ჩვენ სულებში კი ამ ჭკნობის ფასად
რა სილამაზე აღვივებს მარცვალს.

სულსაც უცვივა ფოთოლი მორცხვად,
მაგრამ მოისხამს ღვიძილის მორჩსაც
და გაღეღილი დედამიწის სვედ
დაეშვებიან საენკენისთვედ.

სიხარულის ტვირთს მოიშორებენ
და დაგუბდება მშვიდი შორეთი.
ნესტიანი და გრძელი ღამის ჟამს
ან დღისით, გულს რომ ჟანგი გამიჭამს,

როცა არც წმინდა ტყუილის მჯერა,
მაქვს ხოლმე ასე დუმილი ჩვევად.

მაგრამ, სიტყვებო, გვერდს ნუ ამივლით,
ნუ გაჯიქდებით, ჟინის სამხილით
ღელვით შფოთავენ, არ ოკდებიან: არ სურთ მაცალონ,
თავს დამძახიან: დაუთესავო, მუჭა მარცვალო!
და მეც მზეს გავცქერ, წითელს და მაღალს,
ფურნის პურივით გამომცხვარ საგზალს.

დაჭრილი ქარი

უკიდეგანო ველებს
ესხათ ქარები ვრცელი.
ჩაჰგუგუნებდნენ ჭეებს და
დღე დიდდებოდა ნელა.
დედამიწა კი ძაღლის
ტყავივით მჟღერი ბგერით
მწუხრის კენწეროს ება
დახლილი ტყვიისფერად.

●

რომელ ხელსაწყოს შეუძლია, გაზომოს მრუდი
შენი სულის გამძლეობის ამ ზიგზაგებზე,
ამ ბორბლებზე, ასაქცევებზე
რამდენს გაუძლო, გალეული როგორ დაბრუნდა
ზუსტად იმავე ნათელთან სული,
იმავე ბოსტნის კიდეზე ზუსტად,
შეშის საწყობის ოდნავ იქით,
ლენცოფასა და ბოცვერს შორის,
ხელოვნებას და შენს შორის ზუსტად
და იმ ჰაერის რხევათა შორის,
რომელზეც თრთოლით იჟღინთებიან
ვარსკვლავების ჩუმი ტალღები
მცხუნვარე მზეში, ისეთ მზეში,
საჩეხის მიწის იატაკიც რომ იწყებს ლღობას.

●

ღამის შავ ფსკერზე გაბაცდა
კვალი უთვალავ ვარსკვლავთა.
ცა მოიარეს უჩქამოდ
მთვარეებმა და იჩქარეს
რაფებზე სხივისმტევნობა
და ქცევა გუშინდელობად.

●

ვინც დაიღუპა, ვინც დაიკარგა,
ვინც არასოდეს არ მოვა უკან,

დაქვრივებულმა ღამემ შეკრიბა,
გზად გაუფინა ომების სუფრა.

და ნესტიანი სარდაფის ბოლოს,
ჯვრებს შორის, სხივი რომ კრთება მკრთალად,
კვლავ ეფინება იმ თეთრ ვაშლისხეს –
კილოკავების პრუსიულ გამას.

ხსოვნა

სახლის სული ხსოვნაში დევს,
კუთხეებში აცხია ქვებს,
ლოგინს უდის ბოსლის სუნი.
დეკეული პალოს უვლის.
ყველაფერი სადღაც არის:
გვარის ბედი, ისლი, ქარი.
ბაგაც საკურთხევლის დარად,
გაწვდილ ხელში ზღურბლი მალავს
ღმერთს, უჩინარს, სახლის სამანს
და მშვენიერ თავისსავე პანაშვიდზე
არც ელის და აღარც ფიქრობს
უძღებ შვილზე.

ძიება

სიტუაციათა ტყეში ეხეტები,
მოქმედების ადგილი სახლი როდია.
სიკვდილსაც გულზე აღარ ეხატები
და აგონიაში მყოფთან მოდიან

თანამგზავრები: ოიდიპოსი და ფაუსტი,
დასჯილხარ მათ გამო და ბრაზობ,
შენ და შენ ჯარისკაცურ ფარაჯას
სისხლის ყინული აზრობს.

ამ კაცს ელინივით ლირის სიმებზე
ცრემლი რომ დასდიოდა წინათ
სიმძიმეც დაუდევს და ხელიც დაუშვია
თითქოს სიმშვიდეში სძინავს

თითქოს მოიკვეთა, თავი განიდევნა,
მიწაზე დაბრუნდება მაშინ,
როცა ქედის მოხრა აღარ დაჭირდება,
მსგავსად მშობლიური ხალხის.

დაჭედვა

დღეო, ნეკერჩხლის კუბოში ჩადი,
ჩაწექ ლუსკუმას,
თუ ჩემთან ერთად არ კარგავ და აპნევ
შენ ხელუკუღმა.

ვინაც მოიხვევს
თმენის ქარვის მოცისფრო მძივს,
მას მეშვიდე ძმა მორჩილებას შეაგებებს
ამ ყველაფრის წილ.

წყურვილი

გაგვიმხილეს სიმართლე, არასასურველი:
ჩვენ ვყოფილვართ ჩრდილები და ნურაფერს ველით.
ზღვები ჩაიღვრებიან წვეთში ყოველ დილას
და ჩვენ გვიწილადებენ სველი სილის მირაჟს.

ნეტა, მახარებელმა რად გვაუწყა, თითქოს
არ არსებობს ცხოვრება, რომელზედაც ვფიქრობთ.
რომ ის გვალვის ალხშიაც ვერ შეიცვლის სახეს,
რომ გვბოჭავს და ბაგეზე მხოლოდ ლაქას გვაცხებს

მარილისას... ჯიუტად ვაღიარებ უფსკრულს,
ყინვისა და ცეცხლისგან დაცულ ნათელ უკუნს
და ტკბილ ტვინთა ძვლებამდე, რომ ცხოვრება ჰქვია
მზეს, შემომჯდარს მწვერვალზე და სხივების ციალს.

●

არ მაქვს დრო, კაცად ვიქცე თანდათან,
გიმტკიცო გაზრდა, არ შემწევს ღონე,
გადაწითლებულ ბორცვებზე, როცა თვალსაც არიდებ,
დედა სისხლიან თოვლს როგორ ბოჭავს ხელებით ხოლმე
მინდვრის ქვებს შორის. გვარში უფროსი აღარ გვყავს
როცა,
როგორც ფერები დაჭრეს, სინათლე შესაბრალია,
ლოცვისას დედა შვილის სახელს ახსენებს ცოცხლად,
თავს იტყუებს, რომ სიზმრად მაინც ერთად არიან.
რომ ერთად ყოფნა ცხადი არის და რომ დღეები
ღმერთებია და ბინდი – ველი მოსვენებისა,
გზაზე დამდგარიც და წასულიც ისე ხევდები,
ვერც გაზრდას ასწრებ, ვერც სიბერეს შენი ნებისად.

ალყა

წვეთის წკაპუნის მოთმენაა თურმე ცხოვრება,
კაცს ზურგიდან რომ მიპარვით კლავენ,
გაქცევაა, გაქცევაა შეუჩერებლად,
რომ მიუყვები შავნისლიან მინდვრების მხარეს.

მოკლეა, როგორც ჭირხლის გვიმრა ფანჯრის მინაზე,
გრძელია, როგორც სანთელი მამის თავსასთუმალთან,
მოულოდნელი რამ უნდა მოხდეს, მოულოდნელი,
სანამ ყინულს და სანამ ცეცხლსაც ნაბიჯს უმართავ.

სანამ ყვავილი ამოხეთქავს, ან დავნაყრდებით,
ტყავს გაგვაძრობენ, ფეხებდაშაშრულ უძლურს და ძაბუნს,
დანაპირები ხვალისდღე სანამ გათენდებოდეს
და სანამ ყველა წვეთი ერთად შეწყვეტდეს წკაპუნს...

სექტემბრის დასასრული

ეს სექტემბერიც ინისლება რულით, თვალს ხუჭავს
უკანასკნელი ჩამომჭკნარი დღე,
ჩაიწკრიალებს ხეივნებში ჟანგგვირგვინოსნის
დიდებით სული და თავის თავს სადღაც წაიღებს.

შრიალებს მუხის ფოთოლი და ისე ქანაობს,
თიხას დარჭობილ ისარივით ჰაერს რომ აპობს.
კალის თვალებით მიშტერებია მეშვიდე მიწას,
უცხო მატერიკს – დაგულებულს თავისთვის, სამყოფს.

შეკრული მუჭით და ბაგეებით იომებს მხოლოდ,
მივა სიცრუის და სიმდიდრის გარეშეც, მარტო.
იომებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რადგან
სამყაროს ძვირფას ოქრომრავალ საგანძურს ნატრობს.

იგრიხებიან ძარღვები და წნავენ თოკს თოკზე,
უნდა გაუძლოს შენმა ლოდმა, ქვამაც გაუძლოს.
ეს ყველაფერი მაინც მოკლავს შენს ჭიასაც და
ერთადერთ დღესაც, რომ გახსოვს და შენთან საუბრობს.

თარგმანი ***მარიამ წიკლაურისა***
ლიტვურიდან პწკარედები მოამზადა ***ნანა დევიძემ***

ბექა ქურხული

ვოვა

ჩემო გურამ! ძალიან ბევრზე მსურს გელაპარაკო, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ მალე პირადად განახავ და მაშინ მოგიყვები ყველაფერს. ახლა ერთი თხოვნა მაქვს – მინდა, გუნდში დავბრუნდე შენთან ერთად. რაც შეიძლება მოკლე დროში, ხვალვე ჩამოდი და გთხოვ, რომ ოცდაექვსში ბოლო საკონტროლო თამაშში მიიღო მონაწილეობა. ამას გთხოვ მე და ამას გთხოვს ახალი მწვრთნელი სოლოვიოვი. პირველი, რაც მან თქვა, ეს იყო, რომ გურამი და შოთა გუნდში თუ არ დაბრუნდებიან, მე ვერ ვიმუშავებო.

ახლა, რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო გურამ, შენს სახლში, ცხინვალში ვწერ ამ წერილს დედაშენის და მამაშენის თანდასწრებით. მივიღებ, ჩვენი ძმობის დასტურად, ხვალ შენს თბილისში ჩამოსვლასა და „დინამოში“ თამაშის დაწყებას. გურამ ცხოვრებოვს. შენი ძმა შოთა იამანიძე.

20.03.67 ცხინვალი
(დემიკო ლოლაძე, „შოთა იამანიძე“)

თბილისის „დინამოში“ ოსი ფეხბურთელების თამაშს დიდი ხნის ისტორია აქვს და ცალკე ამბავია. ანდრო ზაზროევი, ლეგენდარულ 35-ე სკოლაში ერთადერთი იყო, ვინც ჯერ კიდევ მაშინ ყველასათვის უცნობ მიხეილ მესხს გამოესარჩლა, რომელსაც ეჩხუბებოდნენ – უკან რატომ არ ჩამოდიხარო: „როდის იყო, თქვე შობელძაღლებო, არაა, სნაიპერი ტყვია-წამალსა თვითონ ეზიდებოდაო!“

ზაურ კალოევი, რომელიც გივი ჩოხელთან, სლავა მეტრეველსა და მიხეილ მესხთან ერთად მეოთხე ქართველი ფეხბურთელი იყო 1960 წლის ევროპის ჩემპიონატზე, (თუმცა მოედანზე არ გამოსულა).

გურამ ცხოვრებოვი, ვლადიმერ გუცაევი, ბახვა თედეევი, ზაურ ხაპოვი... მაგრამ ვლადიმერ გუცაევი ამათში ყველაზე ტიტულოვანი, გამორჩეული ნიჭისა და გაქანების ფეხბურთელი იყო. მას განსაკუთრებული იღბალი დაჰყვა. შეიძლება ბევრს არც ახსოვს, რომ 70-80-იანი წლების ვარსკვლავური შემადგენლობიდან ყველაზე დიდხანს, 1971-1986 წლებში, ანუ თხუთმეტი სეზონი ითამაშა თბილისის „დინამოში“ და ყველაზე მნიშვნელოვანი გოლებიც გაიტანა! „ლივერპულთან“ 1979 წლის ჩემპიონთა თასზე – თბილისში, თასების თასის მეოთხედფინალში „ვესტ ჰემთან“ – ლონდონში, ნახევარფინალში – „ფეიენოორდთან“ და ბოლოს ფინალში – „კარლ ცეისთან“ და ახლა, 13 მაისს, ამ ფინალის დღეს, როდესაც აგერ უკვე 35 წელია, მთელს საქართველოს ახსენ-

დება კოტე მახარაძის ხმა: „შენგელია აბვიოლ ადნავო, ვტაროვა, გუცაევ!.. უდარ!.. გოლ! გოოლ! გუცაევ, ვალოდია, მალადეც!“ და იმის მერე, მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, ოჩამჩირელი აფხაზი ბიჭის, ვიტალიკა დარასელიას ფანტასტიკური სლალომი, ცაციათი შეგდებული და მერე ყიფოს მხრებზე გაჩერებული ბურთი. მე სულ სხვა, თუ არ ვცდები, გუცაევის ბოლო თამაში გამახსენდა თბილისის „დინამოში“.

ვლადიმერ გუცაევის კარიერის დასაწყისი „დინამოს“ კრიზისს დაემთხვა, თუმცა ამ კრიზისს მალე ვარსკვლავური აღმაფრენა მოჰყვა 1976-დან 1982 წლამდე და თასების თასის აღებიდან მეორე წელს, ამავე გათამაშების ნახევარფინალში, ერიკ გერეტსის ლიეჟის „სტანდარტთან“ დამარცხებით, ვიტალი დარასელიას ტრაგიკულად დაღუპვით და დავით ყიფიანის ფეხბურთიდან ნაადრევად წასვლით დასრულდა. ამის შემდეგ, 1983 წლიდან თბილისის „დინამოში“ და ქართულ ფეხბურთში დაიწყო კრიზისი, რომელიც დღევანდელი კატასტროფით დამთავრდა.

მაშინ კი, 1985 წელს, ეს მორიგი კრიზისი გვეგონა და ალაგ-ალაგ გამონათებებით გულმოცემულები მაინც იხტიბარგაუტეხლად ვიყავით. ვლადიმერ გუცაევი კი თავის კარიერას ამთავრებდა და უკვე მოგებული ჰქონდა ყველაფერი, რისი მოგებაც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელსა და ნახალოვკაში გაზრდილ ოს ბიჭს შეეძლო. ის ამ გუნდის ლეგენდა და თილისმა გახდა.

იმ სეზონზე, 1985 წელს, „დინამოში“ ნოდარ ახალკაცი დაბრუნდა და თითქოს რაღაცას ავფართხალდით. მეხუთე ადგილზე გავედით, მაგრამ ეს ის არ იყო. ალექსანდრე ჩივაძეს, თენგიზ სულაქველიძეს და რამაზ შენგელიას ასაკი დაეტყოთ, გუცაევი სულ უფრო და უფრო ხშირად იჯდა სათადარიგო სკამზე, ახალგაზრდები კი ვერ ქაჩავდნენ, მუშტაეთის ბაღის ძველ გულშემატკივრების ხმები დადიოდა მაგათ რა უნდა ითამაშონ, ანაშას ეწევიანო.

მოკლედ, 1985 წელი იყო და ერთ წვიმიან დღეს, ოღონდ ეგ აღარ მახსოვს – გაზაფხულის წვიმა იყო თუ შემოდგომისა, ზაფხულისა ნაღდად არ იყო და ზამთრისა ხომ აღარ და აღარ, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ ვეთამაშებოდით. ეს ის დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ აღარ იყო, სულ რამდენიმე წლით ადრე სადაც დავიჭერდით სულ 5:1 რომ ვუგებდით. 1983 წელს სწორედ იმ სეზონზე, ჩვენ რომ კინაღამ უმაღლესი ლიგიდან გამოვვარდით, პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მერე 6 სეზონი მესამე ადგილს აღარ ჩამოსცილებია, 1988 წელს კი ისევ მოიგო ჩემპიონატი. იმ წელსაც ძალიან მაგარ ფორმაში იყო და აი, ამ „დნეპრს“ გადაეყარა ეს ჩვენი დაბერებული და განახევრებული თბილისის „დინამო“...

უკრაინული საფეხბურთო სკოლა, მოგეხსენებათ, კიევის „დინამოდან“ და ვალერი ლობანოვსკიდან დაწყებული დნეპროპეტროვსკის „დნეპრით“ და დონეცკის „შახტიორით“ დამთავრებული, თავისი ფიზიკური მონაცემებით და მომზადებით იყვნენ განთქმულები. ტექნიკითაც არავის ჩამოუვარდებოდნენ და ახლაც კენტავრებივით დაჭენაობდნენ „დინამო“ სტადიონზე და წვიმდა. მეორე ტაიმის შუა წელი იყო, 1:0-ს გვიგებდნენ და მთელი თამაში მაგათ მიჰყავდათ, რამდენჯერმე სასწაულით გადავრჩით. ოლეგ პროტასოვი, ვლადიმერ ლიუტიი, ოლეგ ტარანი ისე დაშხუოდნენ ჩვენი სტადიონის მწვანე გაზონზე, კოკისპირული წვიმისგან დამდგარ გუბეებზე რომ გაირბენდნენ, წყლის ლაწალუწის ხმა ტრიბუნებზე ამოდიოდა. თბილისის „დინამოს“ ძველი და დიდი ბანდიდან მოედანზე ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელიაღა იყვნენ და ისევ მაგათ ეჭირათ თამაში... მახსოვს, როგორ ცდილობდა შენგელია

თავისზე ორჯერ მაღალ მცველებს დასხლტომოდა; ცენტრში სიბრაზისგან და დაღლილობისგან ქაღალდისფერდადებული ალექსანდრე ჩივაძე იდგა, რომელიც მარჯვენა, კაპიტნის სამკლაურიან, ხელს „დნეპრის“ კარისკენ მთელ სიგრძეზე იშვერდა, განუწყვეტლივ რაღაცას ყვიროდა. როგორც ყოველთვის, გავეშებული, სახემოქცეული თენგიზ სულაქველიძე, მხარს თუ ჩაუდგამდა, იქვე აჩერებდა უკრაინელ ფეხბურთელებს. მართალია, ჯანით ვერ ჯაბნიდნენ, მაგრამ სისწრაფეში უჭირდა. ამ სამ ბებერ გვარდიელზე იდგა მთელი გუნდი და ამათაც არაქათი გამოეცალათ. ვლადიმერ გუცაევი კი მთელი ტაიმნახევარი სათადარიგო სკამზე იჯდა და წვიმდა, ცა ფეხად ჩამოიღვარა – ისე წვიმდა. დნეპროპეტროვსკელ ფეხბურთელებს კი დაღლის არაფერი ეტყობოდათ, აწყვეტილები დარბოდნენ და მაგრად გვაწვებოდნენ.

დასავლეთის ტრიბუნაზე ვისხედით. ფეხბურთზე ძირითადად ჩემს კლასელ გიორგი ხანთაძესთან და მის უფროს ძმასთან მიშასთან ერთად დავდიოდი. ერთ ეზოში ვიზრდებოდით. მამაჩემი ჯემალა გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების რედაქტორი იყო, ამათი მამა გურამა ცეკაში მუშაობდა და ყოველ წელს ჰქონდათ დასავლეთის ტრიბუნაზე სამთავრობო ლოჟასთან აბონემენტები. დავითრევდით ამ ჩვენი შიშკა მამების აბონემენტებს და მივდიოდით. მართლა მაგარი ადგილი იყო, მაგრამ ახლა ადგილი და „ზაპადნი“ აღარ გვენაღვლებოდა, ძალიან ცუდად გვქონდა საქმე, მეორე ტაიმის დამთავრებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა, ვაგებდით და სიმწრის ცრემლები და თავსხმა წვიმა ერთმანეთში გვერეოდა. ჩემს გვერდით ერთი უზარმაზარი, მოხეული ბიძა იჯდა პატარა ბიჭივით ცქმუტავდა, თავში ხელებს იშენდა და „დინამო, დინამო“-ს ყვირილისგან ჩახლეჩილი ხმით ქადაგივით განუწყვეტლივ იმეორებდა: „ბედი არა გვაქვს, წვიმა ამათ აწყობთ, იქ სულ წვიმს, მიჩვეულები არიან წვიმაში თამაშს, წვიმაში უფრო მაგრად თამაშობენ ეს ჩათლახები, ამათ ბედზე იწვიმა, მაგის დედა ვატირეო!..“ – და ეგეთები, თუმცა ეგეთივე წვიმაში „დნეპრისთვის“ კი არა, „ლივერპულისთისაც“ გვქონდა გადარბენილი და 3:0 მოგებული, მაგრამ ის სხვა დრო იყო. ახლა კიდევ - წვიმა კი არა, ვაჟა-ფშაველას „ძია ესტატეს“ კატისა არ იყოს, „უნარი რომ არ გახლავსთ“ გვჭირდა. თან მართლა მაგრად წვიმდა და საშველიც არ ჩანდა.

და სადღაც 15 წუთი რომ აკლდა თამაშის დამთავრებას, აი მაშინ დაიწყო... რაღაც უცნაური, მასობრივი ფსიქოზი დაიწყო. ჩამკვდარ და გულგატეხილ სტადიონზე, როდესაც ტრადიციულ საბრძოლო შეძახილ „დინამო! დინამო!“-საც კი აქაიქ თუ ვინმე წამოიყვირებდა, არ მახსოვს რომელი

ტრიბუნებიდან და საიდან, მაგრამ ჯერ კანტიკუნტად, მერე კი ერთხმად დაიწყო შეძახილები. უცებ მთელი სტადიონი ჭკუიდან შეიშალა, აგუგუნდა და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო...

„ვოვა! ვოვა! ვოვა! ვოვა!“ – გაჰყვიროდა რამდენიმე ათასი კაცი ერთხმად და უცებ მთელს სტადიონზე და საფეხბურთო მინდორზეც აშკარად რაღაცა შეიცვალა. „ვოვა! ვოვა! ვოვა! ვოვა!“ ხმაური სულ უფრო ძლიერდებოდა... „ვოვაა!“ – იღრიალა ჩემს გვერდით მჯდომმა მოხეულმა ბიძამ და კი არ დაიძახა, დაუძახა, როგორც ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილში“ ყიზილბაშებისგან შევიწროვებული ქართველები ეძახიან საშველად თავის ბებერ მეომარს ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილს, და წვიმდა.

ეს გუგუნი რამდენიმე წუთით გაგრძელდა. სტადიონზე დაწყებული სტიქიური გრიალი თანდათან მატულობდა და რაღაც მუქარიანი, მრისხანე და თან წინასწარმეტყველურიც კი იყო.

„ვოვა!.. ვოვა!.. ვოვა!.. ვოვა!..“ გულშემატკივრებს თითქოს გულმა უგრძნოთ. ისინი თავიანთ ლეგენდას ითხოვდნენ...

და სარბენ ბილიკზე ვოვა გუცაევი გამოჩნდა. ტრიბუნებმა ვულკანივით იფეთქეს. ისეთი იხუვლეს, როგორც ეს მხოლოდ გოლის გატანის დროს ხდება. თუმცა გოლი ჯერ არსად იყო. სარბენ ბილიკებზე ტანმორჩილი ვეტერანი თავდამსხმელი, „დინამოს“ უკანასკნელი დიდი გარემარბი იდგა და საკუთარ მშობლიურ სტადიონზე ღვართქაფად წამოსული წვიმა ასველებდა. ახლაც თვალწინ მიდგას ლურჯი ფორმა 13 ნომერი, აი ეგეთი, ციფრებში კიდევ შიგ ჩახაზული ზოლებით, ნეონების შუქით განათებული, თითქოს შევერხლისფერებული ხუჭუჭი თმით...

ვოვა გუცაევი სტადიონზე შევიდა და ეგრევე აუტის ხაზთან მიიღო ბურთ. გუცაევის ბურთთან შეხება და სტადიონზე რამდენიმე წუთის წინ დაწყებული სიგიჟე რაღაც უცნაურ მისტიკურ ტრანსში გადავიდა. მართლა წინასწარმეტყველურ ტრანსში. ალალად არც მისტიკის, არც ტრანსის, არც წინასწარმეტყველების, არც სხვა განზომილებების და არც უცხოპლანეტელების არაფერი მწამს, არც მჯერა, არც მაინტერესებს. ვნახავ მაგ სხვა განზომილებას ან ინოპლანეტელს – დავიჯერებ, მანამდე კარგად იყვნენ და ეს კიდევ ჩემი თვალით ვნახე 12 წლის ლაწირაკმა და აგერ 41 წლის ბებერს გუშინდელ დღესავით მახსოვს. და ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე ათეულმა ათასმა თბილისელმა ნახა, რომლებმაც ისეთი ყიჟინა დასცეს – როგორც კი გუცაევი ბურთს შეეხო, რომ ჩემი თვალით დავინახე, სტადიონის პროჟექტორების შუქზე მბრწყინავი, მიჯრით, მკვრივად წამოსული წვიმის წვეთები როგორ აბრუნდნენ უკან ცისკენ...

ვოვამ ბურთი წამოიღო და ფრთაზე გავარდა. ჩვენ ყველამ ვიგრძენით, რომ რაღაცა უნდა მომხდარიყო, რაღაც სასწაული. მთელი სტადიონი ფეხზე წამოვხტით და ისე ვღრიალებდით. რომ, ნიაგარას ჩანჩქერის ხმისა არ იყოს, ხმაური იყო თუ სიჩუმე – ვეღარ გაარჩევდი, ყურები რომ გიგუბდება რა...

წამოიღო ბურთი და იქვე, ფრთაზე, ჯერ ერთ მცველს გასცდა, ფრთაზევე წამოიკიდა მეორე მცველი, მკვეთრად შემობრუნდა მარცხნივ, „დნეპრის“ საჯარიმოსკენ მესამესაც აჭამა, მეოთხეს ფეხზე წამოედო და ზუსტად ისე ოხრულად გაცურდა მუცელზე, როგორც მაშინ, როცა ევროპის საფეხბურთო გრანდებს პენალტს აჰკიდებდა ხოლმე. ოღონდ ეს საჯარიმოს გარეთ იყო, ზედ ხაზთან, მაგრამ გარეთ. სტადიონზე აწონადობა დაიწყო. ეს ამხელა, ჯადოსნური, ქართული და თბილისური სულით გაჟღენთილი, განათებული თასი ლამის იმ წვიმის წვეთებს აჰყვა ცაში.

ბურთთან ალექსანდრე ჩივაძე მივიდა.

იმ დღეს ჩივაძემ რამდენჯერმე დაარ-

ტყა ჯარიმა და ვერაფერი, იმის მიუხედავად, რომ ალექსანდრე ჩივაძე მსოფლიოს იმ სამ ლიბეროს შორის არის, ვისაც ყველაზე მეტი ბურთი აქვს გატანილი, გერმანელ ფრანც ბეკენბაუერთან და არგენტინელ დანიელ პასარელასთან ერთად, მაგრამ აქ ყველამ ვიცოდით, რომ გოლი გავიდოდა. ჯერ კიდევ მაშინ ვიგრძენით, როცა ტრიბუნებმა ჯერ კანტიკუნტად, მერე კი ერთხმად „ვოვა! ვოვა!"-ს ძახილი დაიწყეს, მერე, როცა ვოვა მოედანზე გამოვიდა, ბურთი მიიღო, ფრთაზე გავარდა და პირველი მცველი წამოიღო მატაობით.

ალექსანდრე ჩივაძე ბურთთან მივიდა, ხელში აიღო, გაასწორა და დადო. და წვიმდა.

მე არ დამინახავს ბურთი როგორ გავიდა. მგონი, არც არავის დაუნახავს, მათ შორის არც ალექსანდრე ჩივაძეს და ვოვა გუცაევს. ბოლოს, რაც დავინახე, ის იყო, მთელი საღამოს ომით გადაქანცული და ფეხებდაწყვეტილი ჩივაძე ნელი სირბილით როგორ დაიძრა ბურთისკენ, თეთრ მაისურებში გამოწყობილი, ცოცხალ კედლად ჩამდგარი დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელები, სამხრეთის ტრიბუნებთან, აი სადაც „პაჟარნი კამანდა" და სასწრაფო დგება, კარის კუთხე, მარჯვენა „კრესტავინა", მსხვილი წვიმის წვეთები, ალექსანდრე ჩივაძის ზურგი ლურჯი ფორმით და 3-იანით.

გოლი რომ გავიდა, იმითაც მივხვდი, რომ ჩემს გვერდით მჯდომმა სიხარულისგან გონზე გადასულმა მოხეულმა ბიძამ ხელი მტაცა და იმ სიმაღლეზე შემისროლა, ჩემს ქვევით ტრიბუნები დაპატარავდა. მე არ მახსოვს – დამიჭირა თუ არა იმ ბიძამ, დავეცი თუ გადავრჩი, მახსოვს, რომ გავგიჟდი, მახსოვს, რომ მთელი სტადიონი გადაირია, მახსოვს, რომ რაღაც სასწაული მოხდა, რაღაც ამოუხსნელი და ეს მოხდა ამდენი ათასი ადამიანის თვალწინ.

ცოტა ხანში გაისმა საფინალო სასტვენის ხმა და თამაში დამთავრდა. მოედანს ტოვებდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელები, რომლებიც კიდევ ხუთ ტაიმს ითამაშებდნენ, არაქათგამოლეული ძველი გვარდიელები და ვოვა გუცაევი, რომელმაც თავისი დაბერებული და განახევრებული გუნდი დამარცხებისგან იხსნა, და უცებ ტრიბუნებზე, სულ რამდენიმე წუთის წინ აპოკლაფსურ ვულკანს რომ ჰგავდა, უცნაური, საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. არც „დინამო"... არც „ვოვა!", არც ტაში, არაფერი!.. სრული სიჩუმე!.. სტადიონი მიხვდა, რომ დღესასწაული დამთავრდა. თვითონ ვოვა გუცაევიც თავჩაღუნული მიდიოდა. თავიც არ აუწევია, ისე შევიდა გასახდელის გვირაბში.

და წვიმდა! წვიმდა, ეგ ბოზიშვილი!

აი ეგ იყო, მგონი, ვლადიმერ გუცაევის ბოლო თამაში. მე მეტი მოედანზე აღარ მინახავს...

აი, რა გამახსენდა 2016 წლის 13 მაისს, 1981 წლის 13 მაისიდან 35 წლის შემდეგ.

Бека Курхули

Фæстаг фыстытæ
Вова

«Мæхи Гурам!» Тынг бирæ цæуылдæртыл мæ фæнды демæ аныхас кæнын, фæлæ, мæ ныфс ис, цæмæй тагъд фембæлдзыстæм æмæ дын уæд радзурдзынæн алцыдæр, ныр та мæм иу курдиат ис, фæнды мæ къордмæ демæ иумæ æрбаздæхын. Цас гæнæн ис уыйас тагъд рæстæджы, райсом æрцу æмæ дæ курæг дæн, цæмæй дыууын æхсæзæмы фæстаг контролон хъазты райсай. Уый дæ курæм æз дæр æмæ ног тренер Соловев дæр. Фыццаг, цы загъта, уый уыд, цæмæй дам Гурам æмæ Шота цалынмæ командæмæ не рбаздæхой, æз дам нæ бакусдзынæн.

Ныр цыма бирæ дарддæр кæнон, мæхи Гурам, Цхинвалы, дæ хæдзары, фыссын ацы фыстæг дæ мад æмæ фыды цур. Не фсымæрдзинадæй дын сомы кæнын, райсом Тбилисмæ куы нæ рцæуай æмæ «Динамойы» хъазын куы нæ райдайай. Цхурбаты Гурамæн. Дæхи фсымæр Иаманидзе Шота.

23. 03. 67 Цхинвал
Лоладзе Демикъо, Иманидзе Шота

футболистты хъазтæн рагон истори ис æмæ хицæн хабар у. Уыдонæй сæ иу Зазроты Андро уыдис, кæцыйы легендарон 35-æм скъолæйы иунæг уый сæвзæрста нырма уæдалкæмæндæр æнæзонгæ Михеил Месхи, кæцымæ хыл кодтой, фæстæмæ дам цæуылнæ æрбаздæхыс. Къалоты Зауыр, кæцы Чохели Гивиимæ, Метъревели Славаимæ æмæ Месхи Михеилимæ цыппæрæм гуырдзиаг футболист

уыд 1960 азы Европæйы чемпионатыл, фæлæ фæзуатмæ нæ рахызтысты уæд, Цхуырбаты Гурам, Гуцаты Владимир, Тедеты Бахуа, Хапов Зауыр…

Уыдон æхсæн Гуцаты Владимир алкæмæй титулон æмæ равзаргæ курдиаты хицау футболист уыдис. Сæрмагонд амонд ын уыд хъазты. Гæнæн ис æмæ бирæты зæрдæйы нал læууы, æмæ 70-80 азты стъалыджын скондæй алкæмæй фылдæр, 1971-1986 азты, ома 15 сезоны ахъазыдис Тбилисы «Динамойы» æмæ алкæмæй нысаниуæгджын голтæ дæр бакодта, «Ливерпулимæ». 1979 азы чемпионты кубокыл Тбилисы, кубокты кубокы цыппæрæм хайы финалы «Вест хемимæ» Лондоны, æрдæгфиналы «Фейнорданимæ» æмæ стæй фæстагмæ финалы «Карл Цейсимæ». Æмæ ныр 13-æм майы, уыцы финалы бон, кæцы ныр мæнæ 35 азы размæ уыд, æппæт Гуырдзыстоны йæ алчи дæр хъуыды кæны Махарадзе Къотъейы хъæлæс: «Шенгелиа абвел аднаво, втарова, Гуцаев!.. Удар!.. Гол! Гоол! Гуцаев, Валодиа, маладец!» æмæ уымæй фæстæмæ, матчы фæуынмæ 3 минуты раздæр, очамчираг абхазаг лæппуйы, Дараселиа Виталикы фантастикон слалом, галиукъахæй баппаргæ æмæ стæй Хъипойы уæхсчытыл æруромгæ пурти. Мæнæн, кæд нæ рæдийын, æрлæууыд мæ зæрдыл, Гуцаевы фæстаг хъазт Тбилисы «Динамойы».

Гуцаты Владимиры карьерæйы райдайæн «Динамойы» кризисы рæстæгимæ æрхаудта. Фæлæ ацы кризисæн тагъд йæ фæстæ стыр размæцыд уыд 1976 азæй 1982 азы онг, æмæ кубокты кубокы райсынæй дыккаг азы, ацы хъазты æрдæгфиналы, Эрик Геоетсы Лиежы «Стандартимæ» фембылдæй, Дараселиа Виталикы трагикон цауæй æмæ Давит Хъипианийы футболæй æнафон рацыдæй фæцис. Уый фæстæ, 1983 азæй Тбилисы «Динамойы» æмæ гуырдзиаг футболы райдыдта кризис, кæцы абоны онг катастрофæйыл фæуд кæны.

Уæд та, 1985 азы, ай радон кризис æнхъæл уыдыстæм æмæ цыдæр иугай хъæзтытæй нæ ныфс уæддæр нæ састам, уæддæр ныфсджын уыдыстæм. Гуцаты Владимирæн та йæ карьерæ кæронырдæм цыд æмæ йын ныридæгæн уыд æмбылд алцыдæр, цæйдæриддæр рамбулын Тбилисы «Диномойы» футболистæн æмæ Нахаловкæйы хъомыл ирон лæппуйæн йæ бон сси

Уыцы сезоныл 1985 азы «Динамомæ» Ахалкъаци Нодар æрбаздæхтис æмæ цыма цыдæр базмæлыдыстæм. Фæндзæм бынат бацахстам, фæлæ ай уый нæ уыдис. Чивадзе Александр, Сулаквелидзе Тенгиз æмæ Шенгелиа Рамазыл сæ кар фæзындис, Гуцаев арæхæй-арæхдæр бадтис фæстауæрццон бандоныл, æрыгæттæ та уыййас нæ хъазыдысты, Муштаеты багъийы зæронд болелшикты хъæлæстæ хъуыст, уыдон дам цы хъуамæ агъазой, анаша дам дымынц.

Цыбырæй, 1985 аз уыд, æмæ иу къæвдабоны, æрмæст уый нал хъуыды кæнын – уалдзыгон къæвда уыд æви фæззыгон, сæрдыгон æнæмæнг нæ уыдис æмæ зымæгон дæр, Днепропетровскы «Днепримæ» хъазыдыстæм. Ай уыцы Днепропетровскы «Днепр» нал уыдис, цалдæр азы размæ цыран 5:1 рамбылдтам. 1983 азы растдæр уыцы сезоныл, мах чысыл ма бахъæуа уæлдæр лигæйæ рахаудтаиккам, фыццаг хатт ссис Советон цæдисы чемпион æмæ уый фæстæ 6 сезоны æртыккаг бынаты уыд, 1988 азы та фæстæмæ рамбылдта чемпионаты. Уыцы азы дæр иттæг хорз формæйы уыд æмæ уыцы «Днепримæ» фембæлд Тбилисы «Динамо»…

Украинаг футболы скъолæ, зæгъын хъæуы уый æмæ, Киевы «Динамойæ»

æмæ Валери Лобановскийæ райдайгæйæ, Днепропетровскы «Динамойæ» æмæ Донецкы «Шахтерыл» фæугæйæ, сæ физикон ратгæтæй æмæ цæттæдзинадæй уыдысты зындгонд. Уæдæ техникæйæ дæр фæстæ никæмæй лæууыдысты æмæ ныр дæр иттæг цæрдæгæй хъазыдысты «Динамойы» стадионыл уыцы къæвдайы. Дыккаг таймы æмбис уыд, 1:0-æй нæ æмбылдтой æмæ æнæхъæн хъазты уыдон уыдысты разæй, цалдæр хатты аирвæзтыстæм. Олег Протасов, Владимир Лиути, Олег Таран, афтæ хъуыст сæ къæхты уынæры цъыввытт, не стадионы цъæх газоныл, тæрккъæвдайы фæстæ цы цæдтæ сырæзтис уым иу куы алыгъдысты, доны хъыррысты уынæр иу трибунæйы онг хæццæ кодта. Тбилисы «Динамойæ» зæронд æмæ стыр бандæйæ стадионыл уыдысты Чивадзе Александр,Сулаквелидзе Тенгиз, Шенгелиа Рамаз хъазыдысты ацы матчы… Хъуыды ма йæ кæнын, куыд архайдта æмæ тырныдта Шенгелиа йæ хицæй дыууæ хатты стырдæр æмæ бæрзонддæр хъахъхъæнджыты асайын, центрмæ баирвæзыныл, æмæ пурти бакæнынмæ. Фæллад æмæ мæстыйы лæууыд кодта Чивадзе Александр, æмæ йæ къухæй амыдта галиуфарс «Днепры» къулдуарырдæм, æппынæдзух цыдæр хъæр кодта, тызмæг цæсгомæй Сулаквелидзе Тенгиз, кæцы иу йе уæхскæй æрурæдта украинаг футболистты, тыхæй ыл нæ тых кодтой, фæлæ цырддзинадæй уымæй цырддæр уыдысты. Стæй фæллайгæ дæр тынг бакодтой. Ацы æртæ зæронд гвардиæгты ныфсæй уыдысты æнæхъæн командæ æмæ адонæн дæр сæ тых сæттын байдыдта. Гуцаты Владимир та æнæхъæн тайм æмæ æрдæг фæстауæрцон бандоныл бадтис, уарыд, арв дæлæмæ хаудта – афтæ уарыд. Днепропетроваг футболисттыл та сæ фæллад æппындæр нæ зындис, æнæрлæугæйæ радугъ-бадугъ кодтой æмæ ныл тыхджын æнцадысты.

Н ы г у ы л æ н ы т р и б у н æ й ы л бадтыстæм. Футболмæ сæйрагæйдæр мемкъласаг Хантадзе Георгиимæ æмæ йæ хистæр æфсымæр Мишæимæ иумæ цыдыстæм. Иу кæрты хъомыл кодтам. Мæ фыд Джемаг газет «Комунисты» редактор уыд, адон фыд Гурам та Цекайы куыста æмæ иу сын алы аз дæр уыд ныгуылæйнаг трибунæйыл хицауадон ложæйы абониментæ. Рахæссын иу кодтам Микайæн йæ фыды абониментты æмæ иу ацыдыстæм. Æцæгдæр тынг хорз бынат уыд, фæлæ нæ ныр бынат æмæ «запанд» нал æндæвта, тынг æвзæр уыд нæ хъуыддаг, дыккаг таймы фæудмæ къаддæрæй къаддæр рæстæг задис, æмбылды кодтам æмæ судзгæ цæссыгтæ æмæ тæрккъæвдайы æртæхтæ иумæ æмхæццæ кодтой. Мæ фарсмæ иу егъæуттæгонд, мохеваг бидза бадтис æмæ чысыл лæппуйау хæкъуырцкуыд кодта, йæ сæры дыууæ къухæй цавта æмæ «Динамо, Динамо»-йы хъæрæй фæсус хъæлæсæй кадæггæнæгау æдзухæй фæлхатт кодта: «Амонд нын нæй, къæвда адонæн хуыздæр у, сæхимæ иуыл къæвда уары, ахуыр сты къæвдайы хъазыныл, къæвдайы ноджы хуыздæр хъазынц ацы чатлахтæ, адон амондæн уары!..» - æмæ ахæмтæ, фæлæ ахæм къæвдайы «Днепримæ» нæ фæлæ, «Ливерпулимæ» дæр уыд хъазт æмæ 3:0 рамбылдтам, фæлæ уæд æндæр рæстæг уыдис. Ныр та – къæвда нæ фæлæ, Важа-Пшавелайы «Дзиа Эстатейы» гæдыйау загъдау, æххуыс нæ хъæуы. Æцæгдæр тынг уарыд æмæ æххуысгæнæг ничи зынд.

Æмæ растдæр 15 минуты ма хъуыд хъазты фæудмæ, йе уæд райдыдта… цыдæр æнахуыр, массивон психоз байдыдта. Æрхуым æмæ зæрдæсаст стадионыл, традицион символон

хъæр «Динамо! Динамо!» дæр ма иу кæмдæрты чидæр схъæр кодта, нал æй хъуыды кæнын кæцы трибунæтæй æмæ цыранæй хъуыст, фæлæ нырма иугай, уый фæстæ æмхъæлæсæй райдыдтой хъæр кæнын. Æвиппайды æнæхъæн стадион сæрра ис, хор-хор кодта æмæ уый æрмæст райдайæн уыдис… «Вова! Вова! Вова! Вова!» - хъæр кодта цалдæр мин адæймаг æмхъæлæсæй æмæ æваст æнæхъæн стадионыл æмæ футболон фæзуатыл цыма цыдæр фæивта. «Вова! Вова! Вова! Вова!» Хъæр тынгæй тынгдæр кодта… «Вовааа!» - ныхъхъæр кодта мæ фарсмæ бадæг мохеваг бидза æмæ æрмæст хъæр нæ кодта, фæлæ йæм фæхъæр кодта, мæнæ куыд Илья Чъавчъавадзейы «Никъолоз Гостъашабишвили» хъизылбаштæй хъыгдард гуырдзиæгтæ сидынц æххуысмæ сæ зæронд хæстонмæ Никъолоз Гостъашабишвилмæ, æмæ уарыд.

Ацы хор-хор цалдæр минуты даргъ кодта. Стадионыл ацы хор-хор цалдæр минуты даргъ кодта. Стадионы хъæлæба нæ сабыр кодта, тынгæй тынгдæр Вова!.. Вова!..» болельщиктæ цыма цыдæр хатыдтой. Уыдон сæ лæгæндæйы куырдтой... Æмæ лидзæн къахфæндагыл разындис Гуцаты Вова. Трибунæтæ вулканау стыдтой. Ахæм хъыллист хъуыстис, раст гол баконды рæстæджы иу куы вæйиы. Фæлæ гол нæ уыдис нырма. Лидзæн къахфæндæгтыл рæхснæг ветеран бырсæг, «Динамойы» фæстаг стыр бырсæг лæууыд æмæ йæ сæрмагонд райгуырæн стадионыл арвæй кæлæгау рацæугæ къæвда хуылыдз кодта. Ныр дæр мам æ цæстыты раз лæууы цъæх формæ 13 номеримæ, мæнæ ахæм, цифрæты мидæг ноджы хæххытимæ, неонты рухсæй рухскалгæ, цыма æвзистхуызгонд къæбæлдзыг хъуынтимæ…

Гуцаты Вова стадионмæ бахызтис æмæ уым ауты хаххы цур райста пурти. Гуцаевы пуртимæ февнæлд æмæ стадионыл цалдæр минуты размæ райдайгæ æррадзинад цыдæр æнахуыр мистикон трансмæ ахызтис. Æцæгдæр развæлгъаузонæгон трансмæ. Раст-зæгъгæйæ мæ нæдæр мистикæйы, нæдæр трансы, нæдæр развæлгъаузонæгты, нæдæр æндæр бæрæггæнæнты æмæ нæдæр æнæзонгæ планетæгты ахæмтæ мæ ницы уырны, нæдæр мæ цымыдис кæнынц. Фендзынæн æндæр бæрæггæнæн кæнæ инопланетæйагы æмæ мæ бауырндзæнис, уæдмæ уал дзæбæх уæд æмæ уый та мæхи цæстæй федтон 12 аздзыд къуыдипп æмæ мæнæ 41 аздзыд зæрондæн зноны боны хуызæн мæ зæрдыл лæууы. Мемæ ма иумæ ноджы цалдæр дæсгай мины тбилисаг йæхи цæстæй федта, куыддæр Гуцаев пуртимæ февнæлдта, стадионы прожекторты рухсмæ æрттивгæйæ рацæугæ къæвдайы æртæхтæ фæстæмæ куыд аздæхтысты арвырдæм…

Вова пурти йæ разæй рахаста æмæ фæрсырдæм агæпп ласта. Мах æй иуылдæр фæхатыдыстæм, æмæ цыдæр хъуамæ æрцыдаит, цыдæр диссаг. Æнæхъæн стадион къахыл слæууыдыстæм æмæ афтæ хъæр кодтам, цæмæй ивылд доны уынæрау, хъустæ къуырма кодтой…

Рахаста пурти æмæ уым, кæрæттыл, нырма иу хъахъхъæнгæй ахызтис, уым йæ фæстæ ралыгъд иннæ хъахъхъæнæг, цæхгæр фæзылдис галиуырдæм, «Днепры» штрафнойы рдæм æмæ æртыккагæй дæр йæхи атыллив кодта, цыппæрæмы къæхтыл йæхи скъуырдта æмæ растдæр афтæмæй оххытæгæнгæ абырыд гуыбыныл, куыд-иу уæд, Европæйы футболон грандæтæн иу пеналти куы скæнын кодта. Æрмæст ай штрафнойы æдде уыдис, тæккæ хаххы уæлæ, фæлæ æдде. Стадион сабыр кæнын байдыдта. Ай уыййас,

кæлæнгæнæг, гуырдзиаг æмæ тбилисаг удæйдзаг, рухскалгæ тасы чысыл ма бахъæуа къæвдайы æртæхтимæ ацæуа æрвмæ.

Пуртимæ Чивадзе Александр бацыдис.

Уыцы бон Чивадзе цалдæр хатты ныццавта штрафной фæлæ ницы, уымæ æнæгæсгæйæ, æмæ Чивадзе дунейы уыцы æртæ либеройы æхсæн ис, кæцыйæн алкæмæй фылдæр гол ис конд, германаг Франц Бекенбауеримæ æмæ аргентинаг Даниел Пасареласимæ иумæ, фæлæ ам иуылдæр зыдтам, цæмæй гол хъуамæ уыдаид. Нырма йæ ноджы уæд фæхатыдыстæм, трибунæты иугай-иугай кæмдæрты куы хъуыст хъæртæ, стæй та уæд æмхъæлæсæй «Вова! Вова!» куы райдыдтой хъæр кæнын, стæй, Вова стадионмæ куы рахызтис, пурти райста, кæроныл ахызт æмæ йæ фыццаг хъахъхъæнæг рахаста хъазгæ. Чивадзе Александр бацыдис æввахс пуртимæ йæ къухмæ йæ систа æмæ йæ раст æрæвæрдта. Къæвда уарыд.

Æз уый нæ федтон пурти куыд ахызтис. Æнхъæл дæн æмæ йæ ничидæр федта, нæдæр æй Чивадзе федта æмæ нæдæр Гуцаев. Фæстагмæ, цы федтон, уый уыд, æнæхъæн изæры тохæй ныффæлайгæйæ æмæ къахыл нал лæугæйæ куыддæр Чивадзе йæхи сындæггай пуртийырдæм ауагъта, урс майкæты мидæг конд , удæгас къулæй æрлæугæ Днепропетровскы «Днепры» футболисттæ, хассары трибунæты цур, цыран «пажарни каманда» æмæ тагъдæххуыс лæууы, къулдуары къуым, галиуфарс «креставина», къæвдайы ставд æртæхтæ, Чивадзе Александры чъылдым цъæх формæйы æмæ 3-имæ.

Гол куы бакодта, уæд ма уый дæр фæхатыдтæн, æмæ мæ фарсмæ бадæг фырцинæй фæсуруæвæг мохеваг бидза мæ йæ къухты куыд фелвæста æмæ мæ хæрдмæ сæппæрста, мæ бынмæ трибунæтæ ныгыццыл сты. Мæнæн мæ зæрдыл нал лæууы – æрцахста мæ æви нæ уыцы бидза, æрхаудтæн æви фервæзтæн, æрмæст ма хъуыды кæнын уый, æмæ сæрра дæн, хъуыды ма йæ кæнын, æмæ æнæхъæн стадион сæрра, хъуыды йæ кæнын, цæмæй цыдæр диссаг кæй æрцыд, кæцыйæн нæй бамбарынгæнæн æмæ уый æрцыд æппæт уыйыйас мин адæймаджы цæсты раз.

Чысыл фæстæдæр айхъуыстис финалон æхситты хъæлæс æмæ хъазт фæцис. Стадионы ныууагътой Днепропетровскы «Днепры» футболисттæ, кæцытæ ма ноджы фондз таймы ахъазыдаиккой, тыхфæллад зæронд гвардионтæ æмæ Гуцаты Вова, кæцы йæ зæронд æмæ æрдæгыл баззайгæ командæйы састы баззайынæй фервæзын кодта, æмæ æваст трибунæтыл, цалдæр минуты размæ апоклапсон вулканы æнгæс куы уыд, уæд ныр цыдæр æнахуыр, тæссаг сабырдзинад æрхаудта. Нæдæр «Динамо»… нæдæр «Вова!», нæдæр æмдзæгъд, ницы æппындæр!... Бынтон сабырдзинад!.. Стадион бамбæрста, цæмæй бæрæгбон фæцис. Йæхæдæг Вова Гуцаевдæр сæргуыбырæй фæцæйцыд. Йæ сæрыл дæр не схæцыд, афтæ бахызтис гардеробы туннелмæ.

Къæвда уарыд! Æмæ уарыд, уыцы дæлæмæхауинаг!

Æуый уыди, æнхъæл дæн, Гуцаты Владимиры фæстаг хъазт. Æз æй уымæй фæстæмæ стадионыл нал федтон…

Уæдæ, цы æрлæууыдис мæ зæрдыл 2016 азы 13-æм майы, 1981 азы 13-æм майæ 35 азы фæстæ.

ალინა ქადაგიშვილი

ტრადიციული მუსიკა, როგორც ასეთი...

გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის დღიურები

ტრადიციული მუსიკა ის სფეროა, სადაც კონსერვატიზმი თავისთავად გარდაუვალია, თუმცა სიახლე ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იჩენს თავს. დროთა განმავლობაში იცვლება და იხვეწება საშემსრულებლო ტექნიკა – ეროვნულ ინსტრუმენტებს უცხოურიც ემატება; სულ უფრო მრავალმხრივია მუსიკის მეცნიერული კვლევის მეთოდები; ზოგჯერ ისიც საკამათოა, რა უნდა მივიჩნიოთ ტრადიციად და რა არა. უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ თაობათა მიერ შექმნილი მუსიკალური საგანძური ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია...

4, 5 და 6 ნოემბერს ბათუმმა მეთერთმეტედ უმასპინძლა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს, რომლის მიზანიც არა მარტო ქართული მუსიკალური ტრადიციების შესწავლა და პოპულარიზაცია გახლდათ, არამედ უცხოელ ეთნომუსიკოლოგებსა და ტრადიციული მუსიკის შემსრულებლებთან თანამშრომლობაც. ამ ფესტივალმა, რო-

მელსაც 2006 წელს ბათუმში ჩაეყარა საფუძველი, უკვე არაერთ მუსიკოსსა თუ მუსიკალურ ჯგუფს მისცა შემოქმედებითი განვითარების საშუალება. 2012 წლიდან კი ის გიორგი გარაყანიძის სახელს ატარებს. 30 წლის ასაკში მოულოდნელად შეწყდა უნიჭიერესი მეცნიერისა და შემოქმედის სიცოცხლე. „მიუხედავად ახალგაზრდობისა, მან შეძლო ღრმა კვალი დაეტოვებინა ჩვენი ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში“, – წერდა სამძიმრის წერილში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

თავად გიორგი გარაყანიძის პიროვნება და მოღვაწეობა გამოდგება იმის მაგალითად, თუ როგორ აცოცხლებს და აქტუალურს ხდის ტრადიციას შემოქმედებითი, ნოვატორული მიდგომა, ახალი სისხლის გადასხმა ძველ არტერიებში. „ჩემი შორეული წინაპრებიც მღეროდნენ და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ფოლკლორთან. ყველაფერმა ამან კი ჩემზე ისეთი გავლენა მოახდინა, რომ დავუკავშირდი, უფრო სწორად კი, არ დავუკავშირდი, ცხოვრების წესად მექცა ფოლკლორი“, – ვკითხულობთ ბროშურაში, რომელიც 2012 წელს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გამოიცა და სადაც გიორგი გარაყანიძის ავტობიოგრაფიული ცნობებია წარმოდგენილი.

მამის, ედიშერ გარაყანიძის მიერ დაწყებულ ეროვნულ საქმეს ღირსეული გამგრძელებელი ესაჭიროებოდა. უკვე 2001 წლიდან ანსამბლ „მთიებს“ გიორგი ხელმძღვანელობდა. მაშინ მხოლოდ 19 წლისა იყო. „არ მინდოდა, ედიშერის დაწყებული საქმე გაჩერებულიყო, როგორც სამეცნიერო, ისე ანსამბლის და სტუდიის თვალსაზრისით“, – იხსენებდა გიორგი. ანსამბლსა 2004 წლიდან ეწოდა „ედიშერ გარაყანიძის ეთნომუსიკის თეატრი „მთიები“, რომელიც დღეს ქალ-ვაჟთა ანსამბლია, ხოლო სტუდიაში ლურჯ მონასტერთან არსებული საყმაწვილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „ამერ-იმერი“ იგულისხმება, რომელსაც აგრეთვე გიორგი უძღვებოდა. ასევე გახლდათ თბილისის წმიდა ანდრია პირველწოდებულის ტაძართან არსებული ეთნოკულტურის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი. დაუჯერებელია, რამდენს ასწრებდა ეს სიყვარულით გულანთებული ადამიანი: ზემოჩამოთვლილის გარდა, ის მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო კონფერენციებში; გახლავთ ავტორი მონოგრაფიისა „ქართული ეთნომუსიკის თეატრი და მისი საწყისები“; წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო 1999 წლიდან, უკვე ჩვიდმეტი წლის ასაკში, ატარებდა ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასებს, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის პროფესიონალ და მოყვარულ ჯგუფებთან. ბათუმის ფესტივალის გარდა, რომელიც მის სახელს ატარებს, არსებობს გიორგი გარაყანიძის სახელობის პრემიაც, რომელიც ყოველი წლის 14 მაისს გადაეცემა ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის ახალგაზრდა მკვლევარებს.

მაინც რა სიახლეზე მსურდა საუბარი და როგორ უკავშირდება ეს გიორგი გარაყანიძის სახელს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად რამდენიმე ათწლეულით უკან უნდა დავიხიოთ და, მართალია, ის საკითხები, რომლებზეც ვისაუბრებ, საიდუმლოს არ წარმოადგენს, მაინც საჭიროდ მიმაჩნია მათი შეხსენება ჩვენი მკითხველისათვის.

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მთიები“, რომელიც ედიშერ გარაყანიძემ 1980 წელს დააარსა, იმ დროს უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში XIX საუკუნის ბოლო წლებიდან ფოლკლორული ანსამბლების შექმნა დაიწყო, მათი ხელმძღვანელები აკადემიური, კლასიკური შესრულების მანერას ირჩევდნენ. ედიშერ გარაყანიძემ კი თავის ანსამბლში გააერთია-

ნა არაპროფესიონალები, რომელთაც ერთმანეთთან ქართული მუსიკალური ტრადიციების სიყვარული აკავშირებდათ, „რადგან „მთიების“ სახით უნდა გაცოცხლებულიყო პირველადი, თვითმყოფადი ფოლკლორი, ანუ ფოლკლორული ნიმუშები შესრულებულიყო ისეთივე სახით, როგორსაც ყოფაში ასრულებდნენ, სასცენო დამუშავების გარეშე“.

ანსამბლის წევრები სცენაზე იმდაგვარი სამოსით გამოდიოდნენ, როგორიც ადრე ქართველ გლეხებს ეცვათ. მაყურებელი ამას შეჩვეული არ იყო და პირველ ხანებში სპეციალისტებიც კი კრიტიკულად შეხვდნენ „მთიების“ ამგვარი „გლეხური“, „არასაგარეო“ ტანსაცმლით სცენაზე გამოსვლას, „მაგრამ დროთა განმავლობაში, ედიშერ გარაყანიძემ, მეცნიერული მიდგომით, ეს სკეპტიკური დამოკიდებულება გაფანტა და ძალიან მალე „მთიები“ არათუ მისაღები, მისაბაძიც კი აღმოჩნდა“, – გვამცნობს ბროშურა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სიახლე პირიქით, სწორედ საწყისებთან დაბრუნების, ავთენტურობის მიღწევის სურვილში გამოიხატებოდა და არა ტრადიციის გათამედროვებაში, გაევროპულებაში (რისი მაგალითიც დღეს უხვად მოგვეპოვება). ავიღოთ, თუნდაც სუხიშვილ-რამიშვილის ანსამბლი).

ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, ცივილიზაციამ ისიც მოიტანა, რომ ტრადიციული, ხალხური ცეკვა-სიმღერა ყოველდღიური ყოფიდან განიდევნა და ახლა უმთავრესად მხოლოდ პროფესიონალური ანსამბლების მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება. რაც უფრო „განვითარებულია“ ქვეყანა, მით უფრო დიდია ამისი ალბათობა. სამწუხაროდ, ამ ტენდენციას ვერც საქართველო გადაურჩა. ედიშერ გარაყანიძემ, პირველ ყოვლისა, ამ საფრთხის წინააღმდეგ გაილაშქრა: „მთიების“ რეპერტუარი იმ სიმღერებითაც ივსებოდა, რომლებსაც ანსამბლისა თუ სტუდიის წევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილი ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს ადგილობრივი მცხოვრებლებისგან ისმენდნენ. აი, რას იხსენებდა გიორგი გარაყანიძე „ხორუმთან“ დაკავშირებით: „ეს სიმღერა ზემო აჭარაში უშუალოდ გლეხებისგან ვისწავლეთ. მაშინ პატარები ვიყავით, ედიშერს ვყავდით ექსპედიციაში, თუმცა დღეს სოფლებშიც კი ძალიან ცოტა ვინმე თუ მღერის ძველ სიმღერებს. ექსპედიციებში სპეციალურად ვთხოვთ ხოლმე ხანდაზმულ ადამიანებს, გაიხსენონ ძველი სიმღერები. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდა თაობა აღარ ისმენს მათ მიერ შესრულებულ ფოლკლორს. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის, რომ ახალგაზრდებმა მოისმინონ და ნახონ ყოფითი სიმღერები.

„ჩვენს სამეცნიერო კონფერენციებში გიორგი გარაყანიძეს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა, ისევე როგორც „მთიებს“ საკონცერტო პროგრამაში. 2007 წლის ფესტივალი ედიშერ გარაყანიძის ხსოვნას მიეძღვნა. ამ დროს გიორგი ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობდა, მიუხედავად იმისა, რომ მამასთან დაკავშირებული მოგონებების გამო მისთვის ეს სულაც არ იყო ადვილი, ხოლო ფესტივალის საპატიო წევრმა, „სამოსელი პირველის“ გენერალურმა დირექტორმა, ლუარსაბ ტოგონიძემ, რომელმაც ბატონი ედიშერის ფოტოარქივი შეადგინა, თბილისიდან ბათუმამდე მისი ტრანსპორტირება სხვას არავის ანდო და თავადვე ჩამოიტანა. ბატონი ლუარსაბი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ამსახველ უნიკალურ ფოტომასალას ფლობს და პირველ ფესტივალზე მან მოაწყო გამოფენა „ქართველი საეკლესიო მოღვაწეები“, – გვიამბობს ფესტივალის ორგანიზატორი, მუსიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი ხათუნა მანაგაძე.

„2004 წლის სექტემბერში თბილისში

გამართული ტრადიციული პოლიფონიის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმში ვიღებდი მონაწილეობას. აქ განხორციელებულმა სამეცნიერო და შემოქმედებითმა სამუშაომ იმდენად გამიტაცა, რომ მოვისურვე, ჩემს ქალაქშიც ჩატარებულიყო მსგავსი ღონისძიება. ასე გაჩნდა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციისა და ფესტივალის იდეა. აქვე დავძენ, რომ ბათუმის კონსერვატორიის მაშინდელ რექტორთან, ქეთევან გოგოლაძესთან ერთად, გარკვეული ბარიერის გადალახვის შედეგად მოვახერხეთ პირველი ფესტივალის ჩატარება“, – იხსენებს ქალბატონი ხათუნა.

სხვადასხვა წლებში სამეცნიერო კონფერენციასა და ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ მუსიკოლოგები, მუსიკალური ჯგუფები და ცალკეული შემსრულებლები შემდეგი ქვეყნებიდან: საქართველო, ინგლისი, საფრანგეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, რუსეთი, უკრაინა, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი.

სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ წელს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი თითქმის დაუფინანსებელი დარჩა, სამი დღის ნაცვლად ორ დღეს გაგრძელდა და, რომ არა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანადგომა, შესაძლოა, სულაც არ ჩატარებულიყო, თუმცა, ფესტივალის გადარჩენა უმთავრესად, მისი ორგანიზატორებისა და მონაწილეების დამსახურებად მიმაჩნია, რომლებსაც მხოლოდ ენთუზიაზმი და საქმის სიყვარული ამოძრავებდათ. მწირი ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა ზოგიერთი უცხოელი მუსიკოსის მოწვევა. სამწუხაროდ, კონფერენციის სამი მონაწილე ბათუმში ვერ ჩამოვიდა. ამის მიუხედავად, წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, გიორგი გარაყანიძის სახელობის ფესტივალი მოვლენებით იყო დახუნძლული: სამეცნიერო ნაშრომების პრეზენტაცია და განხილვა, ეთნოგრაფიული შინაარსის ფილმების ჩვენება, მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა... მათ, ვინც დღის განმავლობაში კონფერენციას და ფესტივალს ესწრებოდა, დასვენების საშუალება მხოლოდ გვიან საღამოს ჰქონდათ. ამ დროს, როგორც წესი, გულითად საუბარს სახელდახელო კონცერტი მოსდევდა...

სამეცნიერო კონფერენცია ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ულამაზეს შენობაში ტარდებოდა. იმ დღეებში ამინდიც ხელს გვიწყობდა – მშრალი, მზიანი დღეები იდგა, ნოემბრის კვალობაზე ნამდვილ ფუფუნებას რომ წარმოადგენს. 4 ნოემბერს, დილით, იმთავითვე ხალისიანი განწყობით შევედი საკონფერენციო დარბაზში და, როცა მონაწილეთა შორის დავით შუღლიაშვილი დავინახე, თავი ბედნიერად ვიგრძენი. „ანჩისხატის“ გუნდი, განსაკუთრებით ჩვენი თაობისთვის, ანსამბლზე გაცილებით მეტია. ესაა ნიჭის, პროფესიონალიზმისა და ერთგულების სიმბოლო, რომელიც ოც წელზე მეტია, ამშვენებს ჩვენს ცხოვრებას... სულ მთლად ახალგაზრდები გვახსოვს, თითოეულ მათგანს სახეზე ვცნობთ, ვხედავთ, როგორ იცვლებიან წლების მანძილზე, მდიდრდება მათი შემოქმედება, წარმატებას აღწევენ და მაინც ისეთივე თავმდაბალ, ღრმა და საინტერესო პიროვნებებად რჩებიან. იმ დღეს ბატონი დავითი უძღვებოდა კონფერენციას, თითოეულ მომხსენებელს ყურადღებით უსმენდა, კითხვებს უსვამდა და მცირე შენიშვნას გამოთქვამდა. აღფრთოვანებული ვუსმენდი... ჩემთვის ხელი არ შეუშლია იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ არ ვიყავი მუსიკის სპეციალისტი; მის მიერ გამოთქმული თითოეული მოსაზრების, ნებისმიერი შეკითხვის უკან საფუძვლიანი თეორიული მომზადება და საკუთარი მრავალწლიანი გამოცდილება იკითხებოდა.

კონფერენციამ ორი დღის განმავლობაში საკმაოდ დატვირთული პროგრამით იმუშავა. მოხსენებები ეხებოდა ტრადიციული მუსიკის ისტორიისა და თეორიის საკითხებს, ეთნოგრაფიულ კვლევებს, ექსპედიციებში მოპოვებულ აუდიო და ვიდეო მასალას და სხვ. საკმაოდ დიდი ნაწილი საეკლესიო მუსიკას დაეთმო. მხოლოდ რამდენიმე ნაშრომს ჩამოვთვლი: „ზიარების ციკლის საგალობელთა კვლევის საკითხისათვის მართლმადიდებლურ ტრადიციაში“ (მონაზონი ნინო სამხარაძე); „რვახმის სისტემა საუფლო დღესასწაულთა ჰიმნოგრაფიულ კანონებში (შორენა მეტრეველი)“; „საგალობლის ძირითადი ფორმაქმნადი პრინციპის გამოვლენისთვის ნევმურ დამწერლობაში“ (ეკა ონიანი). დამსწრე საზოგადოების წინაშე საინტერესო

მოხსენებებით გამოვიდნენ: ეკატერინე ყაზარაშვილი, თამარ ჩხეიძე, ნინო რაზმაძე, მაგდა სუხიაშვილი, ოთარ კაპანაძე, თინათინ ჭაბუკიანი და ეკა ჭაბაშვილი.

ჩემთვის, როგორც რიგითი მუსიკის მოყვარულისთვის, ვიწრო დარგობრივი მოხსენებების მოსმენა, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, სასარგებლო და შემეცნებითი აღმოჩნდა. არ დავმალავ, რომ განსაკუთრებულად დამაინტერესა ორმა ნაშრომმა, რომლებიც ფართო მკითხველისთვისაა განკუთვნილი: „უორდროპები და ქართული ტრადიციული მუსიკა (ნინო კალანდაძე-მახარაძე)“ და „ქართული ხალხური სიმღერების ნოტირების საწყისებთან (დავით შუღლიაშვილი)“. ეს მოხსენებები თემატურად იმდენად მდიდარი და ამაღელვებელი იყო, რომ შესაბამისი განვრცობის შედეგად, თითოეული მათგანი მონოგრაფიის მასალად გამოდგებოდა. სამეცნიერო ნაშრომს კი არა, ამ ორი დრამატული სიუჟეტის გამოყენებით რომანს დაწერდა კაცი...

ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომები უმთავრესად ეხებოდა აჭარის რეგიონს, ასევე თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოფასა და მუსიკალურ ტრადიციებს, მაგალითად: თეონა რუხაძის „ტრადიციული საქორწილო მუსიკა აჭარაში“ ანდა გიორგი კრავეიშვილის „საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების მუსიკალური ფოლკლორი“, სადაც ავტორი, გარდა ლაზეთისა, მიმოიხილავდა აგრეთვე ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის, ჰერეთის ფოლკლორს. კონფერენციის უცხოელმა მონაწილეებმა: ვასილი ჟოვანიკმა (კიევი, უკრაინა) და ნამე იარკინმა (სტამბული, თურქეთი) ის ტრადიციული საკრავები წარმოადგინეს, რომლებზეც თავად უკრავენ და ინგლისურ ენაზე წაიკითხეს მოხსენებები თემებზე: „უკრაინული ტრადიციული საკრავის – ბანდურას ისტორია და პრაქტიკა (ვასილი ჟოვანიკი)“ და „საკომპოზიციო ტექნიკა მეთვრამეტე საუკუნის ოტომანების მუსიკაში (ნამე იარკინი)“. კონფერენციას კიდევ ორი უცხოელი მონაწილე ჰყავდა: აბდულა აკათი და გიოქჰან ალთინბაში (ტრაპზონი, თურქეთი). 4 ნოემბერს სამუშაო დღის დასასრულ გაიმართა გივი ნახუცრიშვილის წიგნის პრეზენტაცია: „ფოტოხელოვანის თვალით დანახული აჭარის არქიტექტურული ძეგლები“, ხოლო 5 ნოემბერს – რეჟისორ თინათინ ჭაბუკიანის დოკუმენტური ფილმის, „ლეჩხუმის განძის“, ჩვენება შედგა. ძალიან მალე ბათუმში გამოიცემა 2016 წლის სამეცნიერო კონფერენციის მასალების სქელტანიანი კრებული, რომელსაც, ფესტივალის მონაწილეებთან ერთად, მეც მოუთმენლად ველი...

ფესტივალი ბათუმის სამუსიკო თერთმეტწლედის საკონცერტო დარბაზში 4 და 5 ნოემბრის, საღამოს მიმდინარეობდა, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, კეთილგანწყობილ, მეგობრულ გარემოში. ეს სასიამოვნო ატმოსფერო ჩვენი მასპინძლების, განსაკუთრებით კი, ქალბატონი ხათუნა მანაგაძის დამსახურებაა, რომელიც, მიუხედავად დატვირთული სამუშაო დღისა, ყურადღებას და ზრუნვას არ აკლებდა ფესტივალის მონაწილეებს – განწყობის ასამაღლებლად მისი ღიმილიც გვყოფნიდა.

ფესტივალის ფარგლებში მაყურებლის წინაშე წარსდგნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ფოლკლორული კოლექტივები: აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი, მგალობელთა გუნდი (ბათუმი), ანსამბლები: „შუახევი (შუახევი)“, „იაგუნდი (ქედა)“, „კოლხა (ხელვაჩაური)“, „რეხეული (შემოქმედი)“, „იადგარი (ქუთაისი)“, ოდოია (ზუგდიდი)“, ტრიო „ხელხვავი“, სამტრედიის საკათედრო ტაძრის გუნდი. დროგამოშვებით მრავალხმიან ქართულ სიმღერას ან ხალხურ საკრავებს... სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ფესტივა-

ლის უცხოელი მონაწილეები. აბდულა აკათი ტრაპიზონის კონსერვატორიის ახალგაზრდა რექტორი და შესანიშნავი მუსიკოსია. მან თურქთის შავიზღვისპირა რეგიონში გავრცელებულ ტრადიციულ საკრავზე, ქემენჩეზე დაუკრა და იმღერა. იმ დღეებში ხან სცენიდან, ხანაც მეგობრულ თავყრილობებზე რამდენჯერმე მოვისმინე აბდულას ნამღერი და ყოველთვის ისეთი გრძნობით ასრულებდა, რომ „სანთელივით დავდნები, შაქარივით დავტკბები“ გამახსენა და ვუთხარი კიდეც... კონსტანტინე გამსახურდიას რომ უთქვამს, ეს ტკბილი თურქული ენაო, ალბათ, ამას გულისხმობდა... ვასილი ჟოვანიკი თვალდახუჭული უკრავდა და მღეროდა. ძველი უკრაინული ტრადიციის მიხედვით, მის საკრავზე – ბანდურაზე – უკრავდნენ ბრმა მუსიკოსები, მხოლოდ მამაკაცები, რომელთათვისაც ეს საქმიანობა თავის რჩენის საშუალებას წარმოადგენდა, ხოლო ჯანმრთელებს, პირიქით, სასტიკად ეკრძალებოდათ. ოცი წლის ვასილი ძველი უკრაინელი „კობზარების“ სევდიან ეპიკურ სიმღერებსა და ბალადებს დიდი რუდუნებით ასრულებდა, ხოლო თავის მრავალსიმიან საკრავს უფრო ეფერებოდა, ვიდრე უკრავდა მასზე. „ცისკრის“ მკითხველისთვის უკვე ნაცნობი სტრასბურგელი მოგზაური მუსიკოსი ბარიშ აიჰანი ამჯერად ორი თურქული ტრადიციული საკრავით – ჯურათი და ბაგლამათი „შეიარაღებული“ ეწვია ბათუმს. ფესტივალის პირველ დღეს მასთან ერთად კონცერტში მონაწილეობდა სტამბულის კონსერვატორიის პროფესორი ნამე იარკინი, რომელიც სტამბულურ ქემენჩეზე უკრავდა და მღეროდა.

6 ნოემბერს, დილით, შუახევის რაიონში დაიწყო შეპირებული ფოლკტური, რომელიც წელს მეორედ ჩატარდა. ქართველი და უცხოელი მუსიკოსებისგან შემდგარ მცირე ჯგუფს ფესტივალის ორგანიზატორები და ჟურნალისტებიც თან ახლდნენ. შუახევის კულტურის ცენტრის დიდ დარბაზში, სიცივის მიუხედავად, მშვენიერი კონცერტი გაიმართა, რომელშიც უცხოელ სტუმრებთან ერთად ამ რაიონის

რამდენიმე ფოლკლორული კოლექტივი მონაწილეობდა: ცეკვის ანსამბლი „ფესვები“, სიმღერის ანსამბლები: „უჩამბა“, აგრეთვე „ნაი“, „შუახევი“ და „ჭვანა“, რომლებსაც ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი და შუახევის კულტურის ცენტრის ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელი ლოლიტა სურმანიძე უძღვება. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა ნატალია ზუმბაძემ წარმოადგინა და განიხილა შუახევის რაიონში ამ წელს ჩატარებული ექსპედიციის მასალების ვიდეოჩანაწერი. ამ კვლევის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ხალხური მუსიკის შემსრულებლობის საკითხებს, ასე ვთქვათ, ადგილზე იკვლევს, ე. წ. არაპროფესიონალი მუსიკოსებისა და მომღერლების შემოქმედების მაგალითზე.

შუახევის ზღაპრულმა ბუნებამ და აჭარულმა სუფრამ ფესტივალის მონაწილეები კიდევ უფრო დააახლოვა. ქართულ ხალხურ სიმღერებში მასპინძლებს ზოგჯერ გიოქჰან ალთინბაში და ბარიშ აიჰანიც აჰყვებოდნენ ხოლმე, ხოლო აბდულა აკათმა ბანდურას ალღო აუღო და ძველი თურქული სიმღერების შესრულებამაც არ დაახანა... ფოლკტურის ერთგვარ კულმინაციას წარმოადგენდა საღამოს თოვლიან მდელოზე შესრულებული თურქული და ქართული ფერხულის ილეთები. არა მგონია, რომელიმე ჩვენგანს დაავიწყდეს ეს მხიარული მოგზაურობა, შუახევის მუნიციპალიტეტის ღია ბარათებივით კოხტა ხედები: სოფელ ფურტიოს თაღოვანი ხიდი, თეთრად აქაფებული მდინარე აჭარისწყალი და მისი შემოგარენი...

ISSN 1987-5762

ფასი 3 ლარი